ქართველობის გადასარჩენად

გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

ილორი

E-mail: r.jalagania@mail.ru

№193 (252) 23-30 ოქტომბერი 2012 სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო 30 თეთრი

საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი განვითარების სტრატეგია და ეროვნული იდეა

ეს ფუნდამენტური ნაშრომი სახალხო მოძრაობა “სამეგრელოს” თავმჯდომარემ ბატონმა ალექსანდრე ჭაჭიამ ჯერ კიდევ 2000 წელს შექმნა, როცა ქვეყანას სისხლს სწოვდნენ წურბელებად ქცეული ედუარდ შევარდნაძე და მის მიერ გამოზრდილი ახალგაზრდა “რეფორმატორები”. როცა ამ კონცეფციას გაეცნობით, დარწმუნდებით, რომ იგი სრულად იძლევა ქვეყნის ეკონომიკური და სულიერი გაძლიერების ორიენტირებს, მისი შემდგომი განვითარების დინამიკას, რომლის გარეშე წარმოუდგენელია არამც თუ ქვეყნის წინსვლა, არამედ მისი არსებობაც კი. მაგრამ ამ ღირებული დოკუმენტისათვის მაშინ არავის მიუქცევია ყურადღება, შემდგომმა წლებმა კი დაგვარწმუნეს, რომ შევარდნაძის, სააკაშვილისა და მათი პოლიტიკური ხროვის ძირითად მიზანს წარმოადგენდა არა საქართველოს გაძლიერება, არამედ მისი დაშლა-განადგურება.

ხაზგასასმელია ისიც, რომ საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე არცერთ პოლიტიკურ ძალას არ შეუქმნია მსგავსი ქარტია, რაც შემდგომში მისი იდეოლოგიის ქვაკუთხედად იქცეოდა. უფრო მეტიც – პოლიტიკური ძალის ეგიდით სახელმწიფოს სათავეში უხეში ძალის გამოყენებით (სახელმწიფო გადატრიალების, არჩევნების გაყალბების და სხვა სიმახინჯეებით) მოსულ, ჯერ ედუარდ შევარდნაძის, შემდეგ კი მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლებას წამსვე ავიწყდებოდა ქვეყნის მართვის იდეოლოგიური საფუძვლები და მოძალადე ადმინისტრაციულ ძალად ტრანსფორმირდებოდა ხოლმე, მათი პოლიტიკური და ეკონომიკური მისია კი ჰაიჰარად აღებული ციფრების ჟონგლირებით ამოიწურებოდა...

ახლა, როცა საქართველოს მართვის სათავეში მოვიდა პოლიტიკური ძალა, რომელიც ორიენტირებულია ქვეყნის აღმშენებლობაზე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია აღნიშნული ნაშრომის გამოქვეყნება, რათა კიდევ ერთხელ დავარწმუნოთ მავანნი, რომ ქვეყნის მართვის პროგრესული მეთოდების რეალიზება გამორიცხულია მყარი იდეოლოგიური საფუძვლების გარეშე!

ერისა და ქვეყნის განვითარება შეუძლებელია განვითარების არსზე, მიზნებსა და მიმართულებებზე სადი წარმოდგენის არარსებობის პირობებში. ამავე დროს, უკვე წლების განმავლობაში ქართველი ერი ცხოვრობს ყოველგვარი მკვეთრად განსაზღვრული იდეებისა და ამოცანების, ნათლად გაცნობიერებული ეროვნული ინტერესებისა თუ სოციალური პრიორიტეტების გარეშე. ამგვარად არსებობას მხოლოდ საზოგადოებრივი შეგნების დეგრადაციამდე, ერისა და სახელმწიფოს დაშლამდე შეუძლია მიგვიყვანოს, რისი ტენდენციაც აშკარად ჩანს. ქვეყანამ და ხალხმა არ შეიძლება იცხოვრონ ყოველი არჩევნების წინ დაპირებული **“აყვავების”** იმედით თუ დასავლეთევროპული ან ამერიკული ნიმუშებიდან გადაწერილი პარტიული პროგრამებით, რომლებსაც ქართულ სინამდვილესთან არაფერი აქვთ საერთო.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში არ არსებობს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ძალა, რომელსაც ძალუძს ქვეყნის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი განვითარების კონცეფციის წამოყენება და რეალიზება, მაინც მიმაჩნია, რომ მისი შემუშავება უნდა გაგრძელდეს და ამ პროცესში აქტიური მონაწილეობა თვით ქართულმა საზოგადოებამ უნდა მიიღოს. მადლობა ღმერთს, საქართველოში ჯერ კიდევ არსებობს საკმარისი ინტელექტუალური პოტენციალი...

პროექტში, რომელსაც საზოგადოებას ვთავაზობ, ჩამოყალიბებულია საქართველოს ძირითადი ეროვნული ინტერესები, თანამედროვე ეტაპის სოციალური პრიორიტეტები, საზოგადოებრივი ცხოვრების საბაზო სფეროებში მთავარი ამოცანები და განვითარების სტრატეგიული მიზანი. აქვე შევეცადე ქართული ეროვნული იდეის, როგორც ერისა და სახელმწიფოს არსებობისა და განვითარების ქვაკუთხედის, განსაზღვრას. დარწმუნებული ვარ, რომ ნებისმიერი პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური კონსტრუქცია საქართველოში განწირულია, თუ იგი არ ეყრდნობა ტრადიციულ **სულიერებას**, არ არის **სამართლიანობის** იდეით გამსჭვალული და ხალხის **კეთილდღეობაზე** მიმართული.

პროექტი წარმოადგენს საწყის, საბაზო თეორიულ დოკუმენტს და განსაზღვრავს განვითარების იდეას, მიზანს, მიმართულებებსა და პრინციპებს, ანუ, ქვეყნის განვითარების სტრატეგიას. ყოველი მისი დებულება მოითხოვს დამატებით ახსნას, დაკონკრეტებას, გაშლილ დასაბუთებას. ამიტომ პროექტის საფუძველზე უნდა შეიქმნას კონკრეტული, ნათელი და ყოველი მოქალაქისათვის გასაგები, ქვეყნის განვითარების ყოვლისმომცველი ზოგადეროვნული პროგრამა, რომლის ჩემეულ ვარიანტს მე ასევე გამოვაქვეყნებ პრესაში.

ქართული ეროვნული იდეა, განვითარების სტრატეგია და მისი რეალიზაციის პროგრამა ერთად შეადგენენ საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი განვითარების კონცეფციას, რომელმაც უნდა განსაზღვროს ქართველი ხალხის არსებობა XXI საუკუნეში.

X X X

ქართული საზოგადოების პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურულ-ზნეობრივი მდგომარეობის ანალიზი ცხადჰყოფს, რომ იგი კვლავ რჩება მძიმე სისტემურ კრიზისში. ქვეყნის სავალალო მდგომარეობის ძირითად მიზეზს წარმოადგენს უკანასკნელ წლებში გატარებული დამღუპველი “რეფორმების კურსი”, რომელიც კატეგორიულად უგულვებელყოფს მსოფლიო ეკონომიკური განვითარების ძირითად ტენდენციებს, რეალური მეცნიერების მიღწევებს, საქართველოს სამეურნეო კომპლექსის სპეციფიკას, ქართველი ხალხის კულტურულ თავისებურებებს და ტრადიციულ ფასეულობებს. მიმდინარე “რეფორმები” უპირისპირდებიან ქართული ისტორიის მსვლელობას, მოქალაქეთა უმრავლესობის ნებას, კონკრეტული ადამიანის ინტერესებს. სახელმწიფოს დონეზე განხორციელებულმა ტოტალური ნგრევის კონცეფციამ, ეროვნული ინტერესების, მიზნებისა და იდეების დაკარგვამ თუ გაუგებლობამ გამოიწვიეს ის, რომ “რეფორმების” პროცესში ყალიბდება საზოგადოება, რომლისკენაც არავინ ისწრაფვოდა და რომელიც არავის უნდოდა.

ქართული საზოგადოების რეფორმირების საფუძველში ჩადებული იქნა რიგი სოციალურ-ეკონომიკური მითებისა, რომლებმაც მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში დაადასტურეს საკუთარი უსუსურობა, მაგრამ მიუხედავად ამისა, უსიტყვოდ იქნა მიღებული სახელმძღვანელოდ მმართველი პოლიტიკური ელიტის მიერ. “რეფორმატორული კონცეფციის” ქვაკუთხედი გახდა მითი საგეგმო ეკონომიკის სრული ნგრევის აუცილებლობისა და ცარიელ ადგილზე საბაზრო ეკონომიკის შექმნის შესახებ, სახელმწიფოს მარეგულირებელი და მაკონტროლებელი როლის გარეშე.

ამავე დროს მსოფლიო გამოცდილება, მსოფლიო ეკონომიკური მეცნიერება მოწმობს, რომ საბაზრო ეკონომიკის აშენება საქონლის წარმოების კატასტროფული შემცირების პირობებში არა მხოლოდ პარადოქსული, არამედ ღრმად აბსურდულიცაა. ეკონომიკური პოტენციალის მიზანმიმართულ ნგრევასთან ერთად საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროში ფართო გავრცელება მიიღო ყველაფერი უცხოურის დაუფიქრებელი მიბაძვის, ჩვენს სოციალურ სინამდვილეში იმ პოლიტიკური და საზოგადოებრივი ინსტიტუტების ხელოვნურად გადმოღების მავნე პრაქტიკამ, რომლებიც ათეული და ასეული წლების განმავლობაში ყალიბდებოდნენ სხვა ქვეყნებში, სხვა საზოგადოებაში, სხვა ხალხების მიერ, გამომდინარე მათი ისტორული გამოცდილებიდან, მათი ეროვნული სპეციფიკიდან, მათი მენტალიტეტიდან.

რა მიიღო ქართულმა საზოგადოებამ ახლანდელი “რეფორმატორული კურსის” პრაქტიკული რეალიზაციის შედეგად როგორც ცხოვრების პრაგმატულ, ასევე სულიერ სფეროში?

ეკონომიკურ სფეროში – იმ რეალური საბაზრო ეკონომიკის ფაქტიური არქონა, რომელიც ეფუძნება საქონლის წარმოების სფეროში კონკურენციას საქონლის მსოფლიო ბაზარზე გასვლით და, როგორც შედეგი, სამრეწველო და სოფლის მეურნეობის წარმოების უპრეცენდენტო დაცემა, მეურნეობის მეცნიერებატევადი დარგების ფუნდამენტური ნგრევა, ახალი ტექნოლოგიების უქონლობა, ეკონომიკის სტრატეგიული დარგების უცხოური კაპიტალისათვის გადაბარება, ძველი სამეურნეო კავშირების გაწყვეტა და ახლის არარსებობა.

პოლიტიკურ სფეროში – სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის წარუმატებლობა, ცენტრალური სახელისუფლებო სტრუქტურების უუნარობა და არაკომპეტენტურობა, ხალხის ინტერესებისა და განწყობისაგან მათი მოწყვეტა, მმართველი პარტიის კორუმპირებულობა და კრიმინალიზაცია, საზოგადოების დაქუცმაცება პოლიტიკური, ეროვნული, რელიგიური, ტერიტორიული ნიშნით, პიროვნების ძირითადი უფლებების შელახვა და იგნორირება.

სოციალურ სფეროში – სოციალური სახელმწიფოს იდეის უარყოფა, საზოგადოების მკვეთრი პოლარიზება მდიდრებსა და უღატაკესებზე, სოციალური წინააღმდეგობის გამწვავება, ეროვნებათშორისი დაძაბულობა, ხალხის ფიზიკური და ზნეობრივი ჯანმრთელობის გაუარესება, სიცოცხლის ხანგრძლივობის შემცირება, ჯანმრთელობის დაცვისა და განათლების სისტემის დაშლა.

სულიერ სფეროში – ეროვნული კულტურის დაცემა, მეცნიერების დაშლა, ქართული საზოგადოებისათვის ტრადიციული ზნეობრივი და კულტურული ფასეულობების განდევნა, მათი შეცვლა უცხოური კულტურული სტანდარტებით, ცხოვრების უცხო წესის ნორმებით და, როგორც შედეგი, პიროვნების მორალური გაორება.

საერთაშორისო სფეროში – საკუთარი ეროვნული ინტერესების დაცვაში დამოუკიდებლობის არარსებობა, ერთიანი სახელმწიფოს ფაქტიური დაშლა იურიდიული დაკანონებით, ტერიტორიული მთლიანობის დაკარგვა, კოლონიალურ ქვეყნად გადაქცევის ტენდენცია.

ქართული საზოგადოების განვითარების ძირითადი მაჩვენებლების ანალიზი და მსოფლიო პრაქტიკაში მიღებულ კრიტიკულ მაჩვენებლებთან მათი შედარება მოწმობს, რომ ჩვენ გადავაბიჯეთ იმ ზღვარს, რომელსაც მოჰყვება ქვეყნის დეინდუსტრიალიზაცია, საზოგადოების არსებობის სტრატეგიული დამოკიდებულება იმპორტზე, ეკონომიკის კოლონიალურ-სანედლეულო სტრუქტურა, მისი ტექნოლოგიური ჩამორჩენა, ქვეყნის სამეცნიერო პოტენციალის დაშლა. სხვადასხვა კატეგორიის მოქალაქეთა შემოსავლის თანაფარდობა, სიღატაკის ზღვარს მიღმა მცხოვრები მოსახლეობის წილი, უმუშევრობის დონე, მიუთითებენ სოციალური ცხოვრების მკვეთრ ანტაგონიზმზე, მოსახლეობის ლუმპენიზაციაზე, მოსახლეობის სოციალურად დაჩაგრული კატეგორიების არნახულ ზრდაზე. შობადობისა და სიკვდილიანობის მაჩვენებლები, მოსახლეობის საერთო რაოდენობაში 65 წელს გადაცილებულთა რიცხვი მოწმობს ინტენსიურ დეპოპულაციას, თაობათა მარტივი ცვლის არარსებობასაც კი, საზოგადოების ცხორებისუნარიანობის დაქვეითებას, ქვეყნის მოსახლეობის კატასტროფულ დაბერებას.

(გაგრძელება მე-3 გვერდზე)

მოგზაურობანი

სოხუმ-ზუგდიდის გზატკეცილი – თ. დ. გოლიცინის გავლა ამ გზაზე. – სამურზაყანოელთა და ცალკე ილორელთა საჩივარი. – ოქუმისაკენ. – ჭირნახულს ცუდი პირი უჩანს. – ოჩამჩირული ტაიჭი. – ოქუმი. – ოქუმის ქართული წიგნსაცავი.

ხიდები გზაზე არის, მაგრამ იმისთვის კი არა, რომ ადამიანმა ზედ გაიაროს. გზიდან ხიდზე გადასვლა არ შეიძლება, რადგან ხიდსა და გზას შუა ადგილი მიწით არ ამოუვსიათ. ასე რომ ისევ წყალში უნდა გახვიდე და ხიდი კი განზე დასტოვო.

ერთი უცნაური გარემოებაც: ოჩამჩირედან მოყოლებული მთელ გზას ისე გაივლით, რომ, გარდა ილორისა, ერთ სოფელს ვერ შეხვდებით. განგებისად დავთვალეთ და ილორიდან მოკიდებული 15 კილომეტრის მანძილზე მხოლოდ 4 მოსახლე ვნახე ამ გზის პირას!.. ასე რომ, გზა გაკეთდა სოფლელთა ხარჯით და სოფლელთათვის კი თითქმის მიუწვდომელია; იმათ თავი დავანებოთ, თუ რა ღირსებისაა ეს გზა, ამდენ ტანჯვად დამჯდარი.

ამ ზაფხულს სახელმწიფო საბჭოს წევრმა თავადმა გოლიცინმა გამოიარა ზუგდიდიდან ზემოთხსენებულ გზაზე. მდინარე ენგურიდან მოკიდებული ყველგანა ხვდებოდნენ სამურზაყანოს სხვადასხვა სოფლები და ყველგან თხოვნა მიართვეს: ამდენი ფული გადაგვხვდა და გზა კი მოკლებულია ყოველ იმ ღირსებას, რაც ნამდვილ გზას უნდა ჰქონდესო. სხვათა შორის, ამ შინაარსის თხოვნით დაუხვდნენ ილორელებიცა. 9 მანეთის გადახდამ გაგვატყავაო და უგზოობამ უარესი დაგვმართაო.

– მერე, ვინ გამოგართვათ 9 მანეთი? – ჰკითხა თავადმა ილორელებს.

– გვიბრძანეს: ნებით რომ არ მივეცით, ძალით წაგვართვესო. – უპასუხეს ილორელებმა.

– ჭკუა წაგიგიათ, რომ მიგიციათო. – უბრძანა თავადმა, გამოეთხოვა და დანარჩენი გზის დათვალიერებას შეუდგა.

ილორელთ, **"სოფლელნი და მდინარის"** არ იყოს, იმედი ჰქონდათ:

"ჩვენს შეწუხებას წყაროსგან, რა იგი ესრედ შეისმენს,

მათა შეტუქსავს, წაართმევს და მოგვცემს დანაკარგსა ჩვენს"-ო.

ის კი არა, ერთხელ კიდევ დარწმუნდნენ, რომ მართლა სატანჯველად ყოფილან გაჩენილნი და მათი პატრონი და გულშემატკივარი ქვეყანასა ზედა არავინ არისო.

"მცირედ ხანს, გაოცებულნი, მწარედ სოფლელნი უმზერდნენ!

მერე შეხედეს ერთმანეთს და თავდაკიდვით დაბრუნდნენ".

და ამით ინუგეშეს თავი:

"იქ სამართალი ვით ჰპოვოს საწყალმან, ანუ უძლურმან,

სადაცა..."

ოჩამჩირიდან მე-17 კილომეტრზე ოქუმის გზა მარცხნივ გადაუხვევს: კილომეტრნახევარი გზა ტყეზეა გასავლელი, საცა გზის იქეთ-აქეთ აქა-იქ ოთხი-ხუთი ოთხკუთხი საყენი ტალახია ჩარჩენილი, – თვით მკათათვის მწვავე მზე არ აშრობს ამ ტალახსა. შიგ დიდი განცხრომით ჰგორაობენ სქელ-ტყავიანი კამეჩები და ისეთ სპეციფიკურ სუნს აყენებენ გარშემო, რომ თუ ცხვირი არ დაიცვა ადამიანმა, დაჰბნევდავს. ამ ტალახს მეგრულად სპეციალური სახელი ჰქვიან – **"ოლონტყეში"**, ესე იგი კამეჩის, გინა ღორის საგორავებელი ტალახი.

მერე იწყება მთელი 6-ოთხკუთხი კილომეტრი ნაყოფიერი ჭალები, მდინარეების ოხოჯესა და ოქუმ-წყლის გარშემო მდებარე, მთელ ექვს კილომეტრ გზას ისე გაივლით, იქით-აქეთ სიმინდის ერთიანი ყანების მეტს ვერაფერს დაინახავთ. აქა მაღალ ხეებზე გაშვებულია ვაზები, ცოტა მოშორებით ვეება კაკლის ხეები ფართოდა ჰფენს თავის ჩრდილს ქვეშ შეფარებულ სიმინდსა. ოქუმ-წყალი გამალებული მირბის, მიჰხუვის, მიაგორებს უშველებელ ქვებსა. საშინელ მიდრეკილებას იჩენს დაუდგრომლობისადმი. დღეს რომ აქა აქვს კალაპოტი, ხვალ მთელ ნახევარ კილომეტრზე მოშორდება ამ ადგილს. მიაქვს ყანები, ჰგლეჯს ძირიანად ასწლოვან ხეებსა, ბობოქრობს.

– – –

მოსავალს ძალიან ცუდი პირი უჩანს. ჯერ იყო და წვიმები თიბათვის ნახევრამდე არ შეწყვეტილა. ქვეყანა დალპა ამდენი წყლისაგან. სიმინდის თესვა ნაგვიანევი შეიქმნა. სიმინდმა ძლივს თავი წამოყო, ცამ კრიჭა შეიკრა – არ აღირსა დედა-მიწას არც წვიმა, არც ნამი. თვით აქაურმა ნაყოფიერმა ადგილმა ვერ გაუძლო ამდენ გვალვასა. სიმინდს ზრდა არ დასცალდა. ჩვეულებრივზე ადრე ტაროების გაკეთება იწყო. წვიმა არც მაშინ ეღირსა. ტაროების ხოლმე: "პერანგში დაიბადაო". არ შემიძლია საკუთარ ბედს მოვუსადაგო ეს გამოთქმა, მაგრამ დარწმუნებით შემიძლია განვაცხადო, რომ ჩემს ცხოვრების გზაზე არსებული სიძნელეების გადალახვისას ვგრძნობდი ზებუნებრივი ძალების მხარდაჭერას და, ამდენად, მიმაჩნია, რომ ბედნიერი ადამიანი ვარ.

ერთხელ, ჩვეულებრივი სოხუმელი ყმაწვილი, რომელსაც გააჩნდა მცირე ცხოვრებისეული გამოცდილება – საშუალო სკოლის დამთავრების ატესტატი და ქალაქის საკონსერვო ქარხნის მუშის რამდენიმეთვიანი სტაჟი, რომლისთვისაც, რა თქმა უნდა, უცხო არ გახლდათ ასაკობრივი ამბიცია, მარტოდმარტო აღმოჩნდა დიდ ქალაქ დონის როსტოვში და ჩაირიცხა უკიდეგანო ქვეყნის ერთ-ერთ პრესტიჟულ უმაღლეს სასწავლებელში – როსტოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე.

სიხარულმა და ემოციამ იმდენად დამძალა, რომ მაშინ მე ამ უნიკალური მოვლენისათვის დიდი ყურადღება არ მიმიქცევია, მაგრამ სწავლის პროცესში დავრწმუნდი, რომ ეს გახლდათ ჩემი ცხოვრების დიდი, უმნიშვნელოვანესი ეტაპი, რამაც მომავალში განსაზღვრა ჩემი ადგილი საზოგადოებაში.

გამოვტყდები: სწავლის პროცესი არც ისე იოლი გამოდგა, როგორადაც მე წარმომედგინა. ზოგჯერ ხელის ჩამოშვებასაც კი ვაპირებდი, როგორც ეს ხშირად ემართებათ ხოლმე პირველკურსელებს... სტუდენტური ყოფა, ცხოვრებაში პირველი, დამოუკიდებელი ნაბიჯები გარკვეულ დაღს ასვამს ჯერ კიდევ გამოუცდელი, "ძლავგაუმაგრებელი" ყმაწვილის სულიერი ფორმირების პროცესებს. ხსნა მხოლოდ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში თავაუღებელი მუშაობისას დავინახე, სადაც ბიბლიოთეკის თანამშრომლები მართლაც ფასდაუდებელ დახმარებას მიწევდნენ, რომლებიც მირჩევდნენ, თუ მეცადინეობისას რომელი პირველწყარო უნდა გამომეყენებინა, საათობით ეძებდნენ ხოლმე და მაინც პოულობდნენ ჩემთვის აუცილებელ ლიტერატურას... შემდეგ დაიწყო საზოგადოებრივი საქმიანობა, სპორტი, სტუდენტური საამშენებლო რაზმების საქმიანობის რომანტიკა, ნასახი ნასახადვე შერჩა ზედ, მარცვალი ვერ გაიკეთა, ფოთლები შეახმა ღეროს. ამდენმა შრომამ, ამდენმა ოფლის წურვამ თითქმის მუქთად ჩაუარა აქაურ მიწის მუშას. მერე ისიც როდის? როცა შარშან მოწეული სიმინდი ფუთი ხუთ და ექვს შაურად ჩაუყარა ვაჭრებს, ასე რომ ყოველ ქილაზე თვითონა ნახა ზარალი სამი შაური.

– – –

ჩვენმა ტაიჭმა 23 კილომეტრის მანძილი სრული 8 საათი გვატარა, არც მეტი, არც ნაკლები. მე, რა თქმა უნდა, იმას არ ვახსენებ, რომ მათრახის ცემისაგან მარჯვენა მკლავში ისე მოვსწყდი, რომ მთელი სამი დღე ამ **"სასიამოვნო"** მოგზურობის შემდეგ ხელში ვერაფერს ვიღებდი. ყველაზე დიდი სამსახური ჩვენმა ტაიჭმა ოქუმთან გაგვიწია. ერთი კილომეტრი მანძილი დაგვრჩენოდა გასავლელი. კოკისპირული წვიმა დაუშვა, საზაფხულოდ გამოწყობილი მხედარი არ დაინდო წვიმამ, ხოლო მისი ტაიჭი, თითქოს დაავიწყდაო ყოველივე ზრდილობა, გაჩერდა ერთ ალაგას. ყვირილი, ცემა ფეხით, მათრახით, ლანძღვა – ყოველივე ამაო შეიქნა, ნაბიჯს არ მოუმატა. კიდევ იღბალი, ღამემ გვისწრო და ოქუმში ჩვენი სტუმართმოყვარე დიასახლისის მეტს გარეშე ცნობისმოყვარე თვალს არ შეეძლო ენახა მართლა-და შესაბრალისი მდგომარეობა ჩვენი ტუალეტისა. სამი საათის შემდეგ, როცა სავსე სუფრას ვუსხედით, მაშინ-და დავაფასე ბედნიერება იმ ადამიანისა, რომელიც: ოჩამჩირეში ნაქირავებ ცხენით ამ სიშორეზე არ მიდის, როგორც მე გავიარე, რომელსაც ასეთ ცხენზე ჯდომის დროს კოკისპირული წვიმა არ მოასწრებს და პერანგი მშრალი შერჩება და დაცინვისა არ ეშინია, და რომელიც პირამდე სავსე სუფრას უზის და მადიანად შეექცევა თბილ ღომსა, ახალს, დაბრაწულ ქათამსა, საწებელსა და სხვას, თბილს ოთახში, ტკბილ მეგობართან ტკბილ ბაასში გართული.

– – –

მეორე დღეს, წინა დღის კოკისპირული წვიმის შემდეგ, ცხრათვალა მზემ თავისი სხივები მოჰფინა დაბა ოქუმს, და მეც გამომიტყუა მის დასათვალიერებლად. ოქუმი სამურზაყანოს ცენტრად ითვლება. სულ პაწაწკუნაა. ორპირად ჩარიგებული აქვს ორმოცამდე ხის დუქანი, სადაც მეგრელი ვაჭრები სხედან და ვაჭრობის დაცემას ჩივიან. აქაური მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ამ დუქნებში გამოკიდულია ზიზია მძივები, შაურიანი **"ცისახოცები"** (თავიჩითები), საეჭვო ღირსების ტარანი, ორაბაზიანი **"ბუწკანტი"** (გარმონი) და ბევრი სხვა. სამაგიეროდ აქაური გაკეთებული მათრახები და უნაგირები ნაქებია.

ოქუმში აქვს რეზიდენცია სამურზაყანოს ნაწილის უფროსს. **"ქრისტიანობის გამავრცელებელ"** საზოგადოებას გახსნილი აქვს ორკლასიანი სკოლა, რომლის შენობა წარსულ ზამთარს დიდ თოვლს ჩაუმტვრევია, და ახალ სახლს აკეთებენ;

– – –

ყველაზე სასიამოვნო და სანუგეშო მოვლენა ოქუმის, ცოტა არ იყოს, მდორე ცხოვრებაში – აქაური წიგნსაცავია, ოქუმის შუაგულ, გამოჩინებულ ადგილას წარმოდგმული. შენობა წიგნსაცავისა ხისაა, პაწია, ერთ-თვალიანი, სამი ადლი სიგრძე აქვს და ამდენივე განი. გაშენებულია აქაური მკვიდრის ივანე გეგიას საფასითა. დამჯდარა სულ თოთხმეტი თუმანი. წიგნსაცავი აკურთხეს წარსულ თიბათვეში. მის კურთხევაზე ბლომად თურმე დაესწრნენ ადგილობრივი მცხოვრებნი, აგრეთვე სოფლელნი.

უკვე ერთი წელიწადი თუ არის, რაც ამ წიგნსაცავის დაარსების შესახებ აღიძრა ლაპარაკი **"ივერიაში"**. ვინც კი გაიგო, დიდი თანაგრძნობა გამოუცხადეს ყველამ წიგნსაცავის დაარსების მოთავეს ბ. ივ. გეგიას; შეძლების-და კვალად, ზნეობრივი და მატერიალური დახმარება გაუწია ყველამ საქართველოს სხვადასხვა დაბა-ქალაქებიდან. ფრიად სასიამოვნოა, ის ერთობლივი შეგნება ამ დიადი საქმის მნიშვნელობისა და ის სიყვარული, რომლებიც წიგნსაცავის დამაარსებლის სახელზე გამოგზავნილ წერილებში ეტყობათ ამ უკანასკნელთა ავქსონებს. ერთი მათგანი უგზავნის ხუთ მანეთს, თავის დარიბ და ხელმოკლე ნაცნობებში ხუთ-ხუთ შაურობით მოგროვილსა, და თანაც წერს: **"ამას წინათ "ივერიის" ფურცლებზე ამოვიკითხეთ თქვენი წერილი, რომელიც ღირსია თანაგრძნობისა ყველა იმ ქართველთაგან, რომელსაც ოდნავაცაა შესტკივა გული ჩვენი ბეჩავი ერის წარმატებისათვის"**... წერილის ბოლოს ის აზრია გატარებული, რომ ჩვენს ერს განათლების სხივი უნდა მოვფინოთ, ვინ იცის, შემდეგში **"ცხოვრების გაზაფხული დაგვიდგესო"** და სხვა. მერე ამასა სწერს, როგორც ეტყობა, კაცი რომელსაც სკოლის გარეშე უსწავლია წერა-კითხვა და ქართულ წიგნებზე აღზრდილა და განვითარებულა.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ყოველკვირეული ამბები აფხაზეთიდან

ალექსანდრე ანქვაბმა როსტოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტს 65 წლის იუბილე მიულოცა

აფხაზეთის პრეზიდენტმა ალექსანდრე ანქვაბმა, რომელიც როსტოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულია, მშობლიური ალმა-მატერის იურიდიულ ფაკულტეტს 65-წლიანი იუბილე მიულოცა.

1965 წელს მოხდა როსტოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის რეორგანიზაცია და იგი სამხრეთის ფედერალურ უნივერსიტეტად გარდაიქმნა.

მოლოცვაში ნათქვამია:

"ძვირფასო მეგობრებო!

ნებისმიერი ადამიანის ცხოვრებაში შეიძლება გამოიყოს განვითარების ცალკეული ეტაპები. ზოგიერთ პიროვნებაზე იტყვიან თანაკურსელებთან ურთიერთობების გაფართოება, რომელიც მალე გადაიზარდა დიდ მეგობრობაში. ბევრ მათგანთან დღესაც გამაჩნია მეგობრული, საქმიანი კავშირები. სწორედ ეს გახლავთ ფაქტორი, რაც ძალას და მხნეობას მატებს ადამიანს!

ახლა, როცა ცხოვრების მნიშვნელოვანი საბაზისო ეტაპი უკან დარჩა, წარსულის ზოგიერთი სიტუაცია გარკვეული ირონიით მახსენდება და სულ სხვა აზრები იპყრობენ ჩემს გონებას.

მე მაშინაც ვიცოდი, მაგრამ მოგვიანებით უფრო ზუსტად დავადგინე, სად და ვისთან ვისწავლე იმაზე ბევრად მეტი, ვიდრე მევალებოდა, როგორც იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტს.

დღეს კი ჩვენი ფაკულტეტი 65 წლის იუბილეს ზეიმობს. მაგრამ მისი ჩამოყალიბების ფესვები ბევრად უფრო ღრმად მიდის და ფორმირდება 1816 წელს – მსოფლიოს ერთ-ერთ წამყვან უმაღლეს სასწავლებელში – ვარშავის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

ეს გახლავთ საგანმანათლებლო ცენტრის უაღრესად მდიდარი და საინტერესო ისტორია, ასობით ადამიანის ბიოგრაფია, რომელთაც საკუთარი ბედი დაუკავშირეს როსტოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტს!

ვერასოდეს დავივიწყებ გამოჩენილ მასწავლებლებს – სამართლის თეორეტიკოსებსა და პრაქტიკოსებს, ფართო სპექტრის სპეციალისტებს, რომელთა მზრუნველობის შედეგადაც მაქვს უფლება საკუთარი თავი მივიჩნიო კვალიფიციურ იურისტად.

ქედს ვიხრი ჩემი პედაგოგების წინაშე, რომელთაც საკუთარი ცოდნა, ძალა და ენერგია არ დაიშურეს ჩვენს აღსაზრდელად, რომლებიც გვპატიობდნენ ახალგაზრდულ ანცობებს, არ გვაკლებდნენ მშობლიურ მზრუნველობას.

ყოველთვის ვიამაყებ ჩემი მასწავლებლებით, ჩემი ფაკულტეტით და უნივერსიტეტით.

ალექსანდრე ანქვაბი,
როსტოვის უნივერსიტეტის
იურიდიული ფაკულტეტის
კურსდამთავრებული,
აფხაზეთის რესპუბლიკის
პრეზიდენტი"

გვერდში გამოყენებულია აფხაზეთის რესპუბლიკის საინფორმაციო სააგენტო "აფსნიპრესის" მასალები

საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი განვითარების სტრატეგია და ეროვნული იდეა

(გაგრძელება 1 გვერდიდან)

გარდა ამისა, ემიგრაციის კატასტროფული ტემპი ძირითადად შეეხო მოსახლეობის ყველაზე შრომისუნარიან, კვალიფიციურ და რეპროდუქციულ ნაწილს. დანაშაულების, ალკოჰოლის მოხმარებისა და ნარკომანიის გავრცელების დონე, თვითმკვლელობათა რაოდენობა, ფსიქიური პათოლოგიის გავრცელების ტემპი და ამის მაქსიმალურად დასაშვებ მაჩვენებლებთან შედარება მიუთითებს საზოგადოებრივ ურთიერთობათა კრიმინალიზაციაზე, მოსახლეობის ფიზიკურ დეგრადაციაზე, მასობრივი შეგნების ფრუსტრაციასა და პიროვნების დაშლაზე.

სამწუხაროდ, ცენტრალური სახელისუფლებო სტრუქტურები აგრძელებენ ქვეყნის რეფორმირებას მორიგი სოციალური მითების, კრიმანალურ-კლანური სოციალურ-ეკონომიკური კონსტრუქციების ბრმა ნასესხობისა და პროვინციული მიბაძვის საფუძველზე. დილეტანტიზმი და უვიცობა პოლიტიკურ და ეკონომიკურ პრაქტიკაში ქართული სახელმწიფოსა და ქართველი ერის არსებობის მთავარ საფრთხედ რჩება.

საყოველთაო სისტემური კრიზისის დაძლევა შესაძლებელია მხოლოდ ქვეყნის განვითარების ეროვნულ-სახელმწიფოებრივი კონცეფციის მაღალპროფესიული რეალიზაციის საფუძველზე, რომელმაც უნდა გაითვალისწინოს როგორც მსოფლიო მოწინავე ქვეყნების გამოცდილება და მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესები, ასევე საქართველოს გეოპოლიტიკური მდგომარეობა, მისი სამეურნეო კომპლექსის სპეციფიკა, ეროვნული ხასიათის თავისებურებები, კულტურული თვითმყოფადობა და ამის საფუძველზე შემუშავებული გამოკვეთილი ეროვნული სტრატეგია, გაცნობიერებული ეროვნული ინტერესები და მათი რეალიზაციის ტაქტიკა.

გასათვალისწინებელია, რომ ნებისმიერ სოციალურ, სახელმწიფო-პოლიტიკურ თუ სოციალურ-ეკონომიკურ სისტემას ამოძრავებენ ცოცხალი ადამიანები, ეროვნული ინტერესებისა და სოციალური მიზნების მათეულ გაგებაზე დაყრდნობით, მათი ეროვნული ხასიათის, ისტორიის, წარსული და მომავალი თაობების წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობის, მათი ორგანიზაციული თვისებების, ტრადიციული მორალურ-ზნეობრივი წესებისა და ეროვნული მენტალიტეტის საფუძველზე. ყოველი ერი და ყოველი ქვეყანა წარმოაგდნეს ცოცხალ ინდივიდუალობას საკუთარი, განსაკუთრებული თვისებებით, საკუთარი განუმეორებელი ისტორიითა და განვითარების სპეციფიკით. ერების, ქვეყნების, ეკონომიკებისა და კულტურების უნიფიცირების ნებისმიერი ცდა განწირულია.

საქართველოს განვითარების ეროვნული სტრატეგიის შემუშავება ეროვნული ინტერესების, როგორც უმნიშვნელოვანესი სოციალური ფასეულობების, საყოველთაო აღიარების საფუძველზე განპირობებულია ობიექტური ცვლილებებით, რომელიც მიმდინარეობს როგორც ქვეყანაში, რეგიონში, ასევე მთელ მსოფლიოში. ეს შეეხება სამრეწველო და სოფლის მეურნეობის წარმოების კრიტიკულ მდგომარეობას. ეროვნული სტრატეგიის შემუშავება განპირობებულია აგრეთვე მსოფლიოს ახალი განაწილების გლობალურ პროცესში საქართველოს ადგილის განსაზღვრის აუცილებლობით, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის, მისი სოციალურ-ეკონომიკური და სოციოკულტურული ერთობის, ტრადიციული სულიერი ფასეულობების, ევრაზიული მენტალიტეტის თავისებურების გადარჩენის საჭიროებით. და ბოლოს, ეროვნული სტრატეგიის შემუშავება გამოწვეულია ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესების ყოველგვარი საშინაო და საგარეო პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო, ეკოლოგიური, ინფორმაციული და სხვა საფრთხისაგან ეფექტური დაცვის აუცილებლობით.

სახელმწიფო ინტერესებზე და ზოგადეროვნულ მიზნებზე საღი წარმოდგენის გარეშე, საკუთარი ისტორიული ბედის გაცნობიერების გარეშე, ერს არ ძალუძს დამოუკიდებლობისა და თვითმყოფადობის შენარჩუნება. ერი, რომელსაც ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მიზნები არ გააჩნია, დაუცველია და მას, როგორც შიგნიდან, ასევე გარედან თავს მოახვევენ საზოგადოებრივი ცხოვრების ნებისმიერ უცხო, დამღუპველ სოციალურ-პოლიტიკურ მოწყობას. პოლიტიკურ ხელისუფლებასაც არ ძალუძს საკუთარი ავტორიტეტის გამყარება, თუ იგი არ ეყრდნობა იმ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ინტერესებსა და მიზნებს, რომლებიც გაგებული და მიღებულია ხალხის უმრავლესობის მიერ. მხოლოდ იმ სახელმწიფოს ხელისუფლებას, რომელიც ზოგადეროვნულ ინტერესებსა და ფასეულობებს ეყრდნობა, შეუძლია აღადგინოს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა, შეწყვიტოს ხალხის გაღატაკების პროცესი, უზრუნველჰყოს წარმოების ზრდა, ბოლო მოუღოს ჩონოვნიკების კორუფციასა და ეროვნული სიმდიდრის გაფლანგვას, მიაღწიოს საზოგადოების სტაბილურ თანმიმდევრულ განვითარებას, უზრუნველჰყოს ქვეყნის ღირსეული ადგილი საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში.

ეროვნული ინტერესები წარმოადგენენ იმ სასიცოცხლო მოთხოვნილებების ერთობლიობას, რომელთა დაკმაყოფილება უზრუნველყოფს ქვეყნის ყოველი მოქალაქის, ქართული საზოგადოებისა და ქართული სახელმწიფოს არსებობასა და პროგრესულ განვითარებას. ეროვნული ინტერესების რეალიზაცია ნიშნავს, უპირველეს ყოვლისა, საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფას, ე.ი. იმ პირობების შექმნას, რომელიც აუცილებელია ქვეყნის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველყოფისათვის, პიროვნების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს განვითარებისათვის, სახელმწიფო კანონების, ადამიანის და მოქალაქის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლების დაცვისათვის, საზოგადოების ეკონომიკური სისტემის სტაბილური ფუნქციონირებისათვის, სამოქალაქო მშვიდობისა და თანხმობის უზრუნველყოფისათვის.

საქართველოს ფუძემდებლური **ეროვნული ინტერესები** შემდეგია:

ქართული სახელმწიფოს დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტის უზრუნველყოფა, რაც ითვალისწინებს:

– ქვეყნის ტერიტორიული და სამართლებრივი ერთიანობის აღდგენასა და გარანტიას;

– საკანონმდებლო, აღმასრულებელი, სასამართლო ხელისუფლების და აგრეთვე ცენტრისა და რეგიონების სახელისუფლებო ძალაუფლების ოპტიმალური თანაფარდობის დადგენას იმ "დაბალანსებული" ხელისუფლების სისტემის შექმნით, რომელიც არ დაუშვებს მის მონოპოლიზაციას ან რეგიონალურ სუვერენიზაციას;

– ეკონომიკური პოტენციალის აღორძინებასა და განვითარებას ინდუსტრიულ ბაზაზე და ბუნებრივ კლიმატურ სიმდიდრეზე დაყრდნობით; სასურსათო დამოკიდებულების დაძლევას, მაქსიმალური სტრატეგიული თვითუზრუნველყოფის მიღწევას, სახალხო მეურნეობის სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტებისა და დარგების სახელმწიფოს განკარგულებაში თავმოყრას;

– სახელმწიფოს პოლიტიკის პრიორიტეტულ ამოცანად ფუნდამენტალური მეცნიერების განვითარებისა და ახალი ტექნოლოგიების შემუშავების აღიარებას;

– ეროვნული კულტურის, მშობლიური ენის, ქართველი ხალხის ტრადიციული თვითმყოფადობის შენარჩუნებასა და განვითარებას, აქტიურ დემოგრაფიულ პოლიტიკას;

– სამხედრო-პოლიტიკური პოტენციალის განმტკიცებას, კომპაქტური, მობილური არმიის ფორმირებას, შეიარაღების სისტემატურ მოდერნიზაციაზე დაყრდნობით;

- საგარეო უსაფრთხოების სისტემაში გარანტირებული მდგრადი ადგილის უზრუნველყოფას, ცივილიზაციათა ურთიერთშეთანხმებისას გეოპოლიტიკური მდგომარეობის ყველა დადებითი ასპექტის აქტიური გამოყენებით; ქრისტიანულ და ისლამურ ცივილიზაციათა შორის, დიდი ქვეყნებისა და სამხედრო-პოლიტიკური ბლოკების სტრატეგიულ ინტერესთა შორის თავისებური "ხიდის" ფუნქციის მოპოვებას, რაც უმნიშვნელოვანესია თანამედროვე ისტორიაში;

საზოგადოებრივი ცხოვრების დემოკრატიზების განვითარება, რაც ითვალისწინებს:

– ადამიანის დემოკრატიული უფლებებისა და თავისუფლებების, უპირველეს ყოვლისა პირადი უსაფრთხოებისა და ღირსეული ცხოვრების უფლების გარანტირებულ დაცვას;

– ჭეშმარიტი დემოკრატიისაკენ ანუ ხალხის ხელისუფლებისაკენ თანმიმდევრულ გადასვლას, უკუკავშირის მექანიზმის დამუშავებას, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა საკვანძო პრობლემაზე გადაწყვეტილებების მიღებას "ქვემოდან", თავისუფალი პოლიტიკური არჩევანის გარანტირებას;

– ცხოვრების დონისა და ხარისხის ამაღლებას, ეკონომიკის ლიბერალიზაციისა და ხელფასის გადიდებას შორის ოპტიმალური ბალანსის დადგენას, მაღალკვალიფიციური ინტელექტუალური და მწარმოებლური შრომის გაუფასურების პროცესის ნეიტრალიზაციას, სამომხმარებლო ბაზრის გაფართოებას;

– ზოგადეროვნული ერთობის განმტკიცებას, ქვეყანაში მცხოვრებ ხალხთა ეთნიკური თვითმყოფადობის შენარჩუნებისა და განვითარების სახელმწიფო მხარდაჭერას, მრავალეროვანი საზოგადოების ოპტიმალური მოდელის ჩამოყალიბებას ევრაზიული ცივილიზაციური სივრცის თავისებურებათა გათვალისწინებით;

– მოსახლეობის სოციალური დაცვის უზრუნველყოფას, უფასო განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის პრიორიტეტულ განვითარებას, საბინაო მშენებლობის სტიმულირებას;

– საზოგადოებრივი თვითმმართველობის სისტემის ჩამოყალიბებას, როგორც მოქალაქეთა ყოველდღიური ინტერესების დაცვის მექანიზმისა, მათი შესაძლო მანიპულირების, სახელმწიფო-სახელისუფლებო სტრუქტურის დიქტატის თავიდან აცილებას;

– მოქალაქეთა საზოგადოებრივი თვითშეგნების ჩამოყალიბებას, ხალხის ტრადიციული სულიერი და მორალურ-ზნეობრივი ფასეულობების, საყოველთაოდ აღიარებული დემოკრატიული ნორმების, პატრიოტიზმის, ეროვნული თვითიდენტურობის, ისტორიული მემკვიდრეობითობის საფუძველზე;

– სტაბილური კონფესიათაშორისო ურთიერთობების, პირველ რიგში მართლმადიდებლობისა და ისლამს შორის ჩამოყალიბებული ტოლერანტული ურთიერთდამოკიდებულებების დაცვას;

– საზოგადოებრივი ცხოვრების დეკრიმინალიზაციას;

– ეკოლოგიური უსაფრთხოების გარანტიას.

პიროვნების თავისუფალი განვითარებისათვის, მისი ინდივიდუალობის გამოვლენისა და პოტენციალის რეალიზაციისათვის ფუნდამენტური პირობების შექმნა, რაც ითვალისწინებს:

– ადამიანის განვითარების აღიარებას სახელმწიფო პოლიტიკის მთავარ პრიორიტეტად, სახელმწიფოსა და საზოგადოების რეფორმირების კრიტერიუმად და მიზნად;

– აქტიური სოციალური მობილურობისათვის, უწყვეტი განათლების მიღების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლებისათვის პირობების შექმნას;

– დედათა და ბავშვთა დაცვის სისტემის განვითარებისათვის, ჯანმრთელი, მაღალი ზნეობრივი ოჯახისათვის ეკონომიკური და სამართლებრივი პირობების უზრუნველყოფას;

– ახალგაზრდობის აქტიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და შემოქმედებითი საქმიანობისათვის სათანადო პირობების შექმნას;

– ყველა სახის შემოქმედების, ადამიანთა ტალანტისა და ნიჭის განვითარებისათვის ხელის შეწყობას, ინტელექტუალური საკუთრების დაცვას.

ისტორიული განვითარების თანამედროვე ეტაპზე, როდესაც ქართული საზოგადოების ყველა ფენას გათვითცნობიერებული აქვს მძიმე ეკონომიკური, სოციალურ-პოლიტიკური და სულიერ-ზნეობრივი კრიზისიდან ქვეყნის გამოყვანის აუცილებლობა, კატასტროფის თავიდან აცილებისთვის საჭირო ძალთა კონსოლიდაციის უმნიშვნელოვანეს წინაპირობას წარმოადგენს ეროვნული შერიგება საქართველოს სახელმწიფოს ზემოთაღნიშნული ეროვნული ინტერესების, როგორც უმნიშვნელოვანესი სოციალური ფასეულობების, გაგებისა და აღიარების საფუძველზე.

საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი განვითარების კონცეპტუალური ხედვიდან და ქვეყნის ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, გამოიყოფა თანამედროვე ეტაპზე საზოგადოების განვითარების შემდეგი **ძირითადი სოციალური პრიორიტეტები**:

– პიროვნების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს ინტერესთა ურთიერთ-შეთანხმების პრიორიტეტი;

– დემოკრატიის, ხალხის ნების პრიორიტეტი ოლიგარქიასა თუ ოხლოკრატიაზე;

– ტერიტორიული მთლიანობის და ერთიანი სამართლებრივი სივრცის პრიორიტეტი;

– საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების ყველა სფეროში წესრიგისა და დისციპლინის პრიორიტეტი;

– სოციალური სამართლიანობის, გონიერი სოციალური თანასწორობის პრიორიტეტი, რაც, კერძოდ, ითვალისწინებს მოსახლეობის მდიდარ და ღატაკ ფენათა შორის შემოსავლების უზარმაზარი დისპროპორციის ლიკვიდაციას;

– საზოგადოების განვითარების სოციალური მაჩვენებლების (მეცნიერების, განათლების დონე, სიცოცხლის ხანგრძლივობა) პრიორიტეტი მაკროეკონომიკურ და სხვა მაჩვენებლებთან შედარებით;

– საზოგადოებრივი შეთანხმების, სოციალური კონსოლიდაციის, საზოგადოებისა და ხელისუფლების შტოთა სოციალურ-პოლიტიკური ორგანიზების პრიორიტეტი;

– სახელმწიფოს მხრიდან აუცილებელი პატრონაჟის ქვეშ ახალი ტექნოლოგიების, მეცნიერებატევადი, ეკოლოგიურად სუფთა წარმოებისა და მაღალეფექტური აგრარული სექტორის განვითარების პრიორიტეტი;

– მმართველობის სახელმწიფო აპარატის საქმიანობაზე საზოგადოებრივი კონტროლისა და სოციალური სტრუქტურის დებიუროკრატიზაციის პრიორიტეტი;

– სოციალურ-პოლიტიკური კურსის შემუშავებისადმი მეცნიერული მიდგომის პრიორიტეტი, დოგმატიზმის, აპოლოგეტიკის, სოციალური მითებისა და მასობრივი შეგნების იდეოლოგიური მანიპულირების უარყოფა.

საქართველოს გრძელვადიანი ეროვნული ინტერესებისა და განვითარების თანამედროვე ეტაპის სოციალური პრიორიტეტების გათვალისწინებით, უახლოეს პერსპექტივაში ქართული საზოგადოების **სტრატეგიული მიზანი** შემდეგნაირად განისაზღვრება: **ერთიანი ზოგადქართული სახელმწიფო-სამართლებრივი და ეკონომიკური სივრცის აღდგენა, ერის გადარჩენა ფიზიკური განადგურებისა და ზნეობრივი დეგრადაციისაგან, მოსახლეობის ცხოვრების დონისა და ხარისხის ამაღლების მიზნით სამართლიანი საზოგადოებისა და პასუხისმგებელი სახელმწიფოს ჩამოყალიბება, ქართული საზოგადოების პოსტინდუსტრიულ მდგომარეობაში გარღვევისათვის სათანადო სოციალურ-პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული ბაზის შექმნა.**

ამ სტრატეგიული მიზნის მიღწევისათვის საჭიროა შემდეგი **ამოცანების** გადაწყვეტა:

ეკონომიკის სფეროში – ქვეყნის აგრარულ-ინდუსტრიული პოტენციალის აღორძინება და განვითარება, ეკონომიკური ზრდის მყარი ტემპისა და მოსახლეობის დასაქმების მაქსიმალური დონის უზრუნველყოფა;

– სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბება, საკუთრების ყველა ფორმის (სახელმწიფო, კერძო, კოოპერაციული, აქციონერული და სხვა) თანაბარუფლებიანი ფუნქციონირება;

– სამამულო სამრეწველო და სოფლის მეურნეობის პრიორიტეტული განვითარება, მცირე და საშუალო მწარმოების სახელმწიფო მხარდაჭერა, ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, განსაკუთრებით სოციალური უბედურების რაიონებში; საგადასახადო, საკრედიტო და საბაჟო პოლიტიკის ადგილობრივი წარმოების სტიმულირებაზე ორიენტაცია;

(გაგრძელება მე-5 გვერდზე)



ბერია XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი

სეიბეი ხიმლიოვი

თარგმანი **როლანდ ჯალაღანიასი**

აქვე წარმოიქმნის რიგი შეკითხვებისა. საიდან იცის მედვედევმა, თუ როგორ დამოკიდებულებაში იყვნენ მასთან, კათედრაზე, კოლეგები? ყმაწვილი როი იმ დროს ხომ საშუალო სკოლაში დადიოდა... მას ეჭვი არ ეპარება, რომ ჩაგინი შინსახკომის აგენტი-დამბეზრებელია, მაგრამ სად არის მტკიცებულება, სად არის დოკუმენტები? ... საქმე იმაშია, რომ ამავე აკადემიის ფილოსოფიის კათედრაზე უფროს მასწავლებლად მუშაობდა როის მამა – პოლკის კომისარი ა.რ. მედვედევი, რომელიც, ამავე დროს, სსრკ შინსახკომის ერთ-ერთი ფარული თანამშრომელი გახლდათ... ისიც ცნობილია, რომ ჩაგინს არ უყვარდა მედვედევი, მისი ამპარტავნობისა და ქედმაღლობისათვის...”

აი, ასეთი მამა იყო... და ასეთი შვილები ჰყავდა.

აქვე, უადგილო არ იქნება, რომ გავიხსენოთ კიდევ ერთი ძმების – მოსკოვის **“სპარტაკელების”** – სტაროსტინების, განსაკუთრებით კი უფროსი ძმის – ნიკოლოზის ისტორია. 1991 წელს გამოცემულ ანტიბერიასეულ კრებულში გამოქვეყნებულია მისი **“მოგონებებიც”**. ესაა გამოგონილი ფაქტებით გაჯერებული ტექსტი, რომელიც მაინც საინტერესოდ გამოიყურება. ამრიგად, სტაროსტინი იხსენებს, როცა ერთხელ, ომამდე, ვარჯიშისას მასთან მივიდა ლავრენტი ბერია და გაესაუბრა სპორტულ თემებზე. შემდეგ კი, აი, რა მოხდა:

“შემდეგ მან (ბერიამ – ს.კ.) **თქვა: “წადით, ნიკოლოზ, იმუშავეთ. თქვენ ყველაფერი განგვიმარტეთ, გმადლობთ ინფორმაციისათვის”** (მკითხველის ყურადღებას მივაპყრობ ბერიას თავაზიანობას – ს.კ.). **შემდეგ მან წარმადგინა თავის გარემოცვასთან: “ეს ის სტაროსტინია, რომელმაც, ერთხელ, თბილისში, საფეხბურთო მოედანზე ფინტით მომატყუა და გამექცა”.**

ბერია აშკარად კმაყოფილი ჩანდა წარმოქმნილი ეფექტით. იგი ყველას შეახსენებდა წლების განმავლობაში მივიწყებულ მატჩზე. მე-20 საუკუნის ოციანი წლების დასაწყისში მოსკოვის საფეხბურთო ნაკრები თბილისში თამაშობდა. ჩვენი მოწინააღმდეგის რიგებში თამაშობდა ჩაფსკვნილი, ტექნიკური, მაგრამ მაინც უხეშად მოთამაშე მარცხენა ნახევარმცველი. ეს იყო ბერია... მეორე ტაიმში მე მართლაც დავაღწიე თავი მის მეურვეობას და გავიტანე გოლი”.

“ჩაფსკვნილი...” – ეს სიტყვა ანტიპატიითაა განპირობებული, რადგამ ბერია იმ დროს საკმაოდ გამხდარი იყო და მოხდენილად გამოიყურებოდა. მიუხედავად არც თუ მყარი ჯანმრთელობისა, ბერიას კარგად ესმოდა სპორტის მნიშვნელობის, იყო შესანიშნავი მსროლელი. შინსახკომის ვეტერანები იხსენებდნენ, რომ ბერია საერთოდ არ ეკარებოდა ალკოჰოლურ სასმელებს, უყვარდა თევზაობა...

და კიდევ ძმები სტაროსტინების შესახებ. 1942 წელს ნიკოლოზი, ალექსანდრე, ანდრეი და პეტრე დააპატიმრეს. მათაც წარმოგვიდგენენ როგორც **“რეჟიმისა”** და ბერიას მსხვერპლს (მაგრამ ეცალა კი მათთვის ბერიას 1942 წელს?). მაგრამ, აი, რა უნდა ითქვას... მილიონობით უბრალო გულშემატკივარი ფიქრობდა, რომ, აი, გვყავს **“ტორპედო”, “სპარტაკი”, “დინამო”** და გულშემატკივრობდნენ იმ გუნდს, რომლის თამაშის მანერა უფრო მოსწონდათ...

მაგრამ იყო **“ელიტაც”.**

მაჩვენეთ მე 30-80-იანი წლების მოსკოველი ინტელიგენტი, რომელიც გულშემატკივრობდა **“დინამოს”** ან **“ტორპედოს”**, ყველანი **“სპარტაკს”** გულშემატკივრობდნენ.

“ტორპედო”? ეს ხომ ქარხნის მუშებითაა დაკომპლექტებული. **“დინამო”**? – თქვენ რა, მილიციელების მხარეს ხართ?

ძმები სტაროსტინები კარგი ფეხბურთელები იყვნენ. მაგრამ ეს ჯანმრთელი ბიჭები რატომ არ იყვნენ ფრონტზე 1942 წელს? მათ რა, ინახავდნენ?

ძმებ ზნამენსკებს კი არ ინახავდნენ? ანატოლი კაპჩინსკი, რომელიც დიმიტრი მედვედევის სპეცრაზმში იბრძოდა და უკრაინის მიწაზე დაიღუპა? კაპჩინსკი ხომ საბჭოთა კავშირის ჩემპიონი იყო! მაგრამ, იგი განსაკუთრებულ მოტომსროლელ ბრიგადაში ირიცხებოდა.

მრავალი სახელოვანი სპორტსმენი პარტიზანთა, დივერსანტთა და მზვერავთა რიგებში ირიცხებოდა. მოკრივეები ნიკოლოზ კოროლიოვი (შემდეგ იგი დიმიტრი მედვედევის ადიუტანტი იყო) და სერგეი შჩერბაკოვი, ყინულზე სრიალის ოსტატი ანატოლი კაპჩინსკი, ძალოსანი ნიკოლოზ შატოვი, ნიჩბოსანი ალექსანდრე დოლგუშინი, ბადროს მტყორცნელები ლეონიდ მიტროპოლსკი და ალი ისაევი, ველოსიპედისტი ვიქტორ ზაიპოლდი, ტანმოვარჯიშეები სერგეი კორჟუევი და სერგეი კულაკოვი, მოჭიდავე გრიგორი პილნოვი, მოთხილამურე ქალი ლიუბოვ კულაკოვა, მინსკის **“დინამოს”** ფეხბურთელთა გუნდი, მორბენალი-სტაიერები ძმები ზნამენსკები.

ისინი ყველანი ბერიასთან მივიდნენ – რათა მასთან ერთად, მისი წინამძღოლობით დაეცვათ სამშობლო! ომის დაწყებისთანავე ხომ ბერია კვლავ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი გახდა. აი, რაც შეეხება **“საბჭოთა სპორტის გმირ”** ძმებ სტაროსტინებს, სამშობლოს დამცველ ნამდვილ გმირებს შორის მათი სახელები არ აღმოჩნდა!

არ ვიცი, რა დააშავეს ამ ძმებმა 1942 წელს. მაგრამ ისინი რომ თავისი ნებით არ აღმოჩნდნენ ციხეში, ეს ფაქტია! არა გვგონია, რომ მთლად უდანაშაულონი ყოფილიყვნენ...

მაინც როგორი იყო იგი – დასაწყისში ამიერკავკასიელი ჩეკისტი, შემდეგ ამიერკავკასიის ლიდერი, სსრკ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი, პოლიტბიუროს წევრი, სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და სახელმწიფო თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სპეციალური კომიტეტის თავმჯდომარე, სსრკ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, სოციალისტური შრომის გმირი, ხუთი ლენინის ორდენის კავალერი, სუვოროვის პირველი ხარისხის ორდენის კავალერი, პირველი ხარისხის სტალინური პრემიის ლაურეატი, საბჭოთა კავშირის მარშალი ლავრენტი პავლეს ძე ბერია?

როგორი იყო იგი არა როგორც ლიდერი, არა როგორც ორგანიზატორი, არა როგორც ხელმძღვანელი, არამედ როგორც *ადამიანი*?

სწორედ ეს შეკითხვა დაუსვა 1953 წელს №817 პლუტონის კომბინატის (საწარმოო გაერთიანება **“მაიაკი”**) ერთ-ერთმა ახალგაზრდა ხელმძღვანელმა ი.ა. გუსევმა თავის დირექტორს ბ.გ. მუზრუკოვს.

ბორის გლების ძე მუზრუკოვი, ომის პერიოდში **”ურალმაშის”** გენერალური დირექტორი, 1955 წლიდან 1972 წლამდე ხელმძღვანელობდა ბირთვული ფიზიკის საკავშირო სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს, ხელმძღვანელობდა ბირთვულ ცენტრს **“არზამას-16”**-ში, გახლდათ საბჭოთა ატომური პროექტის ერთ-ერთი უმწიკვლო და ადამიანური ფიგურა. აი, როგორ იხსენებს მას თანამშრომელი ინსტიტუტიდან ი. გუსევი:

“ლ.პ. ბერიას დახვრეტის შემდეგ მე გავბედე და პირდაპირ ვკითხე მუზრუკოვს: როგორი ადამიანი იყო ლავრენტი პავლეს ძე ბერია, როგორ წყვეტდა იგი კომბინატის სამუშაო საკითხებს? ბორის გლების ძემ ასეთი ისტორია მომითხრო. ბერიას ერთ-ერთი ჩამოსვლის წინ მუზრუკოვს მოსკოვიდან დაურეკეს და აცნობეს, რომ წინა დღით ლავრენტი პავლეს ძემ მოხსნა თანამდებობიდან ქარხნის დირექტორი, ობიექტის სოციალური სფეროს გაუმართავი მუშაობისათვის. ასე რომ, მუზრუკოვი მზად იყო ბერიას დაინტერესებით სოციალური მდგომარეობისადმი. როცა ბერია ჩამოვიდა, მუზრუკოვთან ერთად ჯერ საწარმო დაათვალიერებინა, შემდეგ თვალი მოჰკრა რაღაც მშენებლობას და დაინტერესდა მისი დანიშნულებით. როცა გაიგო, რომ ეს მუშების საცხოვრებელი სახლი იყო, მუზრუკოვი შეაქო...”

ძვირფასო მკითხველო! ერთმა ადამიანმა ჰკითხა მეორე ადამიანს, თუ როგორი პიროვნება იყო მესამე ადამიანი. და ეს ცხოვრების გამოცდილებით დამძიმებული ადამიანი შემკითხველს მოუთხრობს ზემოთ მოყვანილ ისტორიას. ამასთან, მოუთხრობს მას შემდეგ, როცა ბერია ხალხის მტრად შერაცხეს!

არ ვიცი სხვები რას ფიქრობენ, მაგრამ პირადად მე, ერთი ისეთი ადამიანის მონათხრობი, როგორიც მუზრუკოვია, ეჭვს არ მიტოვებს, რომ ყოველივე სალანძღავი სიტყვა, რაც ბერიას მისამართით ითქვა 1953 წლის 26 ივნისის შემდეგ, არის წმინდა წყლის ნაძირალური სიცრუე.

მაგრამ განა სხვანაირი სიცრუეც არსებობს?

ეს იყო თავმდაბალი ადამიანი და ლუბიანკაზე მდებარე შინსახკომის შენობაში შედიოდა სასამსახურო შესასვლელით და ცენტრალურ შესასვლელს არ იყენებდა. მიიღებდა რა ნაჭერს სამხედრო მაზარისათვის (ეს იყო ნაჭრის მთელი თოფი, საიდანაც სამი მაზარა მაინც გამოვიდოდა), დარჩენილ ნაჭერს იგი თანამშრომლებს აძლევდა საჩუქრად.

1941 წლის თებერვალში ბერიამ შემდეგი შინაარსის წერილი მისწერა სსრკ კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტს:

“საქართველოს კინოსტუდიის მიერ გადაღებულ ფილმში “მეგობრობა” (რეჟისორი ს. დოლიძე) სიმღერაში ერთხელ გაჟღერებულია ჩემი გვარი.

დაბეჯითებით გთხოვთ ეს სიმღერა ამოჭრათ ფილმიდან, რადგან იგი მიმაჩნია სავსებით უადგილოდ, ამ ფილმის სხვა ნაკლოვანებებზე რომ არაფერი ვთქვათ.

სსრკ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი

ლ. ბერია

15 თებერვალი 1941 წელი.

№750/ბ”.

ანდრეი სუხომლინოვი კომენტარს უკეთებს რა თავის წიგნში ბერიას ამ წერილს, აღნიშნავს: **“ჩემის აზრით, აქ ბერია მასებზე მუშაობდა”.** მაშ რატომ არ მუშაობდნენ მასებზე **“ძვირფასი ნიკიტა სერგის ძე”, “ძვირფასი ლეონიდ ილიას ძე”** ან სხვა **“ძვირფასი”** ლიდერები, რომელთა მოღვაწეობა მართლაც ძვირად დაუჯდა საბჭოთა კავშირს?

და რომელ მასებზეა საუბარი, როცა ფილმის მიმღებ კომისიაში შედიოდნენ ანდრეევი, ჟდანოვი, მალენკოვი. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ბერია ძირი თანამდებობის დათმობის გარეშე გახდა სსრკ სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე. გაუშვებდა კი პატივმოყვარე თანამდებობის პირი შესაძლებლობას, რომ კიდევ ერთხელ ეგრძნობინებინა კოლეგებისათვის საკუთარი უპირატესობა?

ვფიქრობ, არა!

ლავრენტი ბერია კი არ იყო უადგილოდ ამაყი და პატივმოყვარე. დიახ, შეიძლება იგი არ გახლდათ მთლად უმწიკვლო ადამიანი... როცა 22 წლის ასაკში შენს ხელშია ესოდენ დიდი ძალაუფლება, მუშაობის ასეთი დაძაბული რითმი და ესოდენ დიდი პასუხისმგებლობა, ყოველივე ამან არ შეიძლება გარკვეული გავლენა არ მოახდინოს ქცევის მანერაზე, მანერებზე. მაგრამ – არა თვით პიროვნებაზე!

თუ შენ, რა თქმა უნდა, პიროვნება ხარ!

2003 წელს გაზეთმა **“კრასნაია ზვეზდა”,** 1953 წლის მოვლენებს მიუძღვნა სტატიების ციკლი, რომელთაგან უკანასკნელი იყო სტატია სათაურით **“განაჩენი სისრულეშია მოყვანილი”,** რომელიც დაიბეჭდა 20 დეკემბერს. მართალია, სტატიის ავტორი ალექსანდრე ზახაროვი არ იყენებს კლიშეს **“ჯალათი”** და ზოგჯერ სიმართლესაც კი ამბობს ბერიაზე, მაგრამ ეს სტატია დავიმოწმე იმიტომ, რომ მასში მოყვანილია ბერიას შეფასება სსრკ სოფლის მეურნეობის სახალხო კომისარის, შემდეგ კი მინისტრის ი. ბენედიქტოვის მიერ (შემდეგ იგი 10 წელიწადზე მეტი ხანი მუშაობდა სსრკ საგარეო საქმეთა სამინისტროს სისტემაში – ელჩად ინდოეთსა და იუგოსლავიაში):

“დიახ, ხარვეზები მას ჰქონდა, არც თუ მთლად წესიერი და სუფთა ადამიანი იყო, – როგორც სხვა სახალხო კომისრები, ისე, იგიც ცუდ დღეში გვაგდებდა ხოლმე მაგრამ, მიუხედავად ამისა, ბერია მაინც გამოირჩეოდა სულის სიძლიერით, ორგანიზატორული თვისებებით, უსწრაფესად ითვისებდა რთულ საკითხებს და ელვისებურად ერკვეოდა ხოლმე სიტუაციაში”.

ივანე ბენედიქტოვი სამი წლით უმცროსი იყო ბერიაზე და გარდაიცვალა **“უძრაობის”** ეპოქაში – 1983 წელს. მიუხედავად ყოველივესი, ბენედიქტოვი ვერ აკონკრეტებს ბერიას უარყოფით თვისებებს. ბენედიქტოვს ხომ ბერიასთან არ აკავშირებდა დაზვერვის, მრეწველობისა და სახანძრო დაცვის პრობლემებთან დაკავშირებული საკითხები – მათ აკავშირებდათ სოფლის მეურნეობა. და თურმე ბერია ამ საკითხებშიც გამოირჩეოდა საკითხებისადმი ღრმა წვდომით.

მაგრამ ბერია მხოლოდ ამ თვისებებით არ გამოირჩეოდა... აი, კიდევ ერთი მაგალითი, რომელიც ასახულია 1993 წელს გამოცემულ გენერალ სვარჩევსკის ქალიშვილის წიგნში **“სამი არმიის ჯარისკაცი”.** სვარჩევსკი იყო პოლონელი, წითელი არმიის საკადრო ოფიცერი, ესპანეთში **“გენერალ ვალტერად”** წოდებული მრჩეველი, წითელი არმიის გენერალ-მაიორი, 1943 წელს მივლინებული იქნა პოლონეთის არმიაში, მიიღო არმიის გენერლის წოდება, 1947 წლის 28 მარტს, უკვე პოლონეთის თავდაცვის მინისტრის მოადგილის რანგში, საინსპექციო შემოწმებისას დაიღუპა ბენდეროველის ტყვიით...

1938 წლის მაისში სვარჩევსკი ესპანეთიდან დაბრუნდა და გარკვეული ხნით მისი სახელი გაურკვევლობის ბურუსში მოექცა, რისთვისაც მან 1939 წლის 2 აპრილს წერილი გაუგზავნა ვოროშილოვს:

“...სავსებით გასაგებია ჩემი, როგორც ეროვნებით პოლონელის, ამგვარი გულდასმითი შემოწმება. დავიბადე საზღვარგარეთ, მყავს და, რომელიც ცხოვრობს ვარშავაში, ასევე, მყავს ძმა, რომელიც დაპატიმრებული იქნა შინსახკომის მიერ გასულ წელს... დღემდე მისი საქმე ძიებაშია... სავსებით ნათელია, რომ ამგვარი ბიოგრაფიული შტრიხები სავსებით საკმარისია ადამიანის გულდასმით შესამოწმებლად...”

სვარჩევსკი ითხოვდა პირად შეხვედრას, ან, მისი ბედის საბოლოოდ გარკვევას. ვოროშილოვმა წერილს წააწერა რეზოლუცია: **“საჭიროა მოლაპარაკება ამხანაგ ბერიასთან”.** ორი თვის შემდეგ კი ვოროშილოვმა ხელი მოაწერა პოლკოვნიკ სვარჩევსკის ფრუნზეს სახელობის სამხედრო აკადემიის უფროს მასწავლებლად დანიშვნის ბრძანებას.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚ-ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲢᲠᲐᲢᲔᲒᲘᲐ ᲓᲐ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲘᲓᲔᲐ

(გაგრძელება მე-3 გვერდიდან)

– საგარეო და საშინაო ვალის ზრდის ხარჯზე და ეკონომიკის სტრატეგიულ დარგებში სახელმწიფო ქონების გაყიდვის გზით საბიუჯეტო პრობლემების გადაწყვეტის დამღუპველი პრაქტიკის შეწყვეტა;

– ქვეყნის რეგიონების მიხედვით ეკონომიკური განვითარებისა და მატერიალური კეთილდღეობის დონის შეთანასწორება;

– მეცნიერებისა და მეცნიერებატევადი წარმოების, როგორც ტექნოლოგიური გარღვევის საფუძვლის, პრიორიტეტული განვითარება;

– გლეხთა მიერ მიწით თავისუფლად სარგებლობა, მეურნეობის ფორმების თავისუფალი შერჩევა (კოლექტიური, ფერმერული, კოოპერაციული და ა.შ.), სოფლის მეურნეობის სახნავ-სათესი მიწების გაყიდვის არდაშვება; იმ რაიონებისა და მეურნეობების მიზნობრივი სახელმწიფო მხარდაჭერა, რომლებიც ითვისებენ სამეურნეო საქმიანობის ეფექტურ მოდელებს თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით;

– საგარეო ეკონომიკურ საქმიანობაში სახელმწიფო როლის ამაღლება, სტრატეგიული ნედლეულის უკონტროლო გატანის აკრძალვა, თანამედროვე სამრეწველო და სოფლის მეურნეობის ტექნოლოგიების შემოტანის უზრუნველყოფა;

ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠ ᲡᲤᲔᲠᲝᲨᲘ – აქტიური სოციალური პოლიტიკის გატარება, ძირითადი სოციალური შედავათების საყოველთაო განვრცობა, შრომის, საცხოვრებლის, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურული ფასეულობების ათვისების უფლების უზრუნველყოფა; მოსახლეობის გარკვეული კატეგორიების (ბავშვები, ინვალიდები, ხანდაზმულები, მრავალშვილიანი და მარტოხელა დედები) სოციალური დაცვის გარანტია;

– პიროვნების მიერ საკუთარი ნიჭისა და შესაძლებლობების რეალიზებისათვის თანაბარი სასტარტო პირობების უზრუნველყოფა;

– ბავშვთა და მოზარდთა სიკვდილიანობის შემცირებისა და შობადობის სტიმულირებისათვის სასწრაფო ზომების მიღება, დედათა და ბავშვთა დაცვის სისტემის სახელმწიფო მხარდაჭერის მკვეთრი გაძლიერება.

– საბიუჯეტო სფეროში სახელმწიფო დავალიანების თავიდან აცილება, პენსიებისა და სოციალური დახმარების შეფერხებისათვის შესაბამისი სტრუქტურების ხელმძღვანელთა პერსონალური პასუხისმგებლობის შემოღება;

– ძირითადი კვების პროდუქტების, უპირველესი საჭიროების საგნების, საბავშვო საქონლის, წამლების ფასების სახელმწიფო რეგილირება;

– ხელფასის, პენსიის, სტიპენდიისა და სოციალური დახმარების მინიმალური ოდენობის ორიენტაცია არა ე.წ. "ფიზიოლოგიურ მინიმუმზე", არამედ მინიმალურ სამომხმარებლო ბიუჯეტზე;

– ჯანმრთელობის დაცვის ეროვნული სისტემის აღორძინება და განვითარება, სახელმწიფო და კომერციული სტრუქტურების ეფექტური შერწყმა, სამედიცინო მომსახურების ხარისხობრივ დონეზე მკაცრი სახელმწიფო კონტროლი, მოსახლეობის ყველა კატეგორიის მიერ სამედიცინო დახმარების მიღების გარანტია;

– ნარკოტიკული ნივთიერებების გავრცელებასთან და მოხმარებასთან ბრძოლის სამართლებრივი, სამედიცინო, პროპაგანდისტული ღონისძიებების მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის შემუშავება და რეალიზება;

ᲡᲣᲚᲘᲔᲠ-ᲖᲜᲔᲝᲑᲠᲘᲕ ᲓᲐ ᲰᲣᲛᲐᲜᲘᲢᲐᲠᲣᲚ ᲡᲤᲔᲠᲝᲨᲘ – ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲗᲕᲘᲗᲛᲔᲑᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲫᲘᲠᲔ, ᲡᲣᲚᲘᲔᲠᲐᲓ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ, ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ, ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲚᲐᲓ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲩᲐᲛᲝᲧᲐᲚᲘᲑᲔᲑᲐ;

– ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ, ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲣᲚᲘ ᲤᲐᲡᲔᲣᲚᲝᲑᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲗᲕᲘᲗᲛᲧᲝᲤᲐᲓᲝᲑᲘᲡ ᲐᲦᲝᲠᲫᲘᲜᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲤᲐᲠᲗᲝ ᲞᲠᲝ�პᲐ�გᲐᲜᲓᲐ; ᲛᲐᲡᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲛᲘᲔᲠ ᲪᲮᲝ�ვᲠᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲗᲐ �პᲔᲠᲡᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛ�გᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲦᲔᲑᲐ;

– ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲙᲕᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲢᲔᲑᲘᲡ, ᲣᲞᲘᲠᲕᲔᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲒᲜᲔᲑᲘᲡ, ᲡᲐᲑᲐᲕᲨᲕᲝ ᲡᲐᲥᲝᲜᲚᲘᲡ, ᲬᲐᲛᲚᲔᲑᲘᲡ ᲤᲐᲡᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛ�წᲘᲤᲝ ᲠᲔ�გᲘᲚᲘᲠᲔᲑᲐ;

– ᲮᲔᲚᲤᲐᲡᲘᲡ, �პᲔᲜᲡᲘᲘᲡ, ᲡᲢᲘ�პᲔᲜᲓᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲛᲐᲚᲣᲠᲘ ᲝᲓᲔᲜᲝᲑᲘᲡ ᲝᲠᲘᲔᲜᲢᲐᲪᲘᲐ ᲐᲠᲐ Ე.წ. "ᲤᲘᲖᲘᲝᲚᲝ�გᲘᲣᲠ ᲛᲘᲜᲘᲛᲣᲛᲖᲔ", ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲛᲘᲜᲘᲛᲐᲚᲣᲠ ᲡᲐᲛᲝᲛᲮᲛᲐᲠᲔᲑᲚᲝ ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲖᲔ;

– ჯანმრთელობის დაცვის ეროვნული სისტემის აღორძინება და განვითარება, სახელმწიფო და კომერციული სტრუქტურების ეფექტური შერწყმა, სამედიცინო მომსახურების ხარისხობრივ დონეზე მკაცრი სახელმწიფო კონტროლი, მოსახლეობის ყველა კატეგორიის მიერ სამედიცინო დახმარების მიღების გარანტია;

– ეროვნული საგანმანათლებლო და სამეცნიერო პოტენციალის აღდგენა და განვითარება, განათლების სისტემაში სწავლების საბიუჯეტო ფორმის შენარჩუნება, კომერციულ სასწავლებლებში მომზადების ხარისხზე მკაცრი სახელმწიფო კონტროლის დაწესება, სახელმწიფო უმაღლესი და საშუალო სასწავლებლების ყოველმხრივი მხარდაჭერა;

– სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების ეფექტური სახელმწიფო მხარდაჭერის უზრუნველყოფა;

– კულტურის, მეცნიერებისა და განათლების დაწესებულებებისათვის შედავათიანი საგადასახადო სისტემის შემოღება;

– მოსახლეობის ორიენტირება ტრადიციული რელიგიური კონფესიებისადმი მოკრძალებულ დამოკიდებულებაზე, სინდისის თავისუფლების უზრუნველყოფა, ტოტალიტარული სექტებისა და ფსევდორელიგიური ორგანიზაციების საქმიანობაზე მკვეთრი სახელმწიფო კონტროლის დაწესებით;

ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲛᲨᲕᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲝ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲡᲤᲔᲠᲝᲨᲘ – სამართლებრივი, პასუხისმგებელი, სოციალური სახელმწიფოს, საერთაშორისო ურთიერთობების დამოუკიდებელი სუბიექტის ჩამოყალიბება, რომელიც უზრუნველყოფს საკუთარ ტერიტორიულ მთლიანობასა და ხალხის უსაფრთხოებას, დაამყარებს სხვა ქვეყნებთან ურთიერთსარგებლიანობისა და ურთიერთპატივისცემაზე აგებულ კავშირებს;

– აფხაზ და ოს ხალხთან პირდაპირი დიალოგის გზით, რუსეთის და საერთაშორისო ორგანიზაციების მონაწილეობით, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, ახალი რეალობის გათვალისწინებით და მსოფლიოს დაინტერესებული ქვეყნების პოზიციათა გარანტირებული გათვალისწინებით;

– ეროვნული და სამოქალაქო შეთანხმების, სოციალური პარტნიორობის მიღწევა კანონის უზენაესობისა და სამოქალაქო უფლებების გარანტირებული რეალიზაციის პრინციპის დაცვით;

– ხელისუფლების ყველა შტოს რეალური თანასწორობისა და ეფექტური ურთიერთმოქმედების საკანონმდებლო და ორგანიზაციული უზრუნველყოფა, სახელმწიფო აპარატისა და ძალოვანი სტრუქტურების საქმიანობაზე სამართლებრივი და სამოქალაქო კონტროლის ქმედითი სისტემის ჩამოყალიბება;

– ხელისუფლების ორგანოებში კორუფციის წინააღმდეგ რეალური ბრძოლა, ხელმძღვანელი, მათ შორის არჩევითი კადრების საქმიანობის შედეგებზე პერსონალური პასუხისმგებლობის შესახებ კანონის მიღება; ხელისუფლებაში კლანური ტიპის სტრუქტურების ჩამოყალიბების გამორიცხვა;

– ცენტრალური ხელისუფლების ინტერესებისა და რეგიონთა მოთხოვნილებების ერთმანეთისაგან მოწყვეტის დაძლევა, ცენტრის მიერ რეგიონთა მოთხოვნების უგულვებელყოფის გამორიცხვა; ქვეყნის ყველა რაიონის თანაბარი ეკონომიკური, სოციალური, კულტურული განვითარების უზრუნველყოფა;

– რეალური საგარეო პოლიტიკური კონცეფციის შემუშავება საქართველოს ევრაზიული სპეციფიკის, მისი გეოპოლიტიკური მდგომარეობის თავისებურებების, ახლომდებარე სახელმწიფოების გეოსტრატეგიული ინტერესების, ქვეყნის ისტორიული გამოცდილების, ტრადიციული პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობების გათვალისწინებით;

– ქვეყნის თავდაცვის პოტენციალის თანამედროვე დონის მიღწევა, შესაძლო სამხედრო საფრთხესთან შესაბამისობაში მისი მოყვანა, სამხედრო სამსახურის საზოგადოებრივი პრესტიჟის ამაღლება.

ქართული სახელმწიფოს ეროვნული ინტერესების, თანამედროვე პერიოდის სოციალური პრიორიტეტების, სტრატეგიული მიზნისა და ქართული საზოგადოების წინაშე მდგარი კონკრეტული პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური, სულიერ-ზნეობრივი ამოცანების ერთობლიობა წარმოადგენს **ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚ-ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲢᲠᲐᲢᲔᲒᲘᲐᲡ** მიმდინარე ისტორიულ ეტაპზე.

ამასთანავე, სოციალური ტრანსფორმაციის, რთული საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობის, საკუთრების ფორმების, პარტიებისა და მოძრაობების მრავალფეროვნების, სახელმწიფოში ცენტრიდანული ტენდენციების გაძლიერების პირობებში სამოქალაქო ერთობისა და საზოგადოებრივი თანხმობის მიღწევა, ეროვნული განვითარების გრძელვადიანი კონცეფციის რეალიზაცია შესაძლებელია მხოლოდ **ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚ-ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲘᲓᲔᲝᲚᲝ�გᲘᲘᲡ ᲑᲐᲖᲐᲖᲔ,** რომელიც უნდა ატარებდეს ზეკლასობრივ, ზეპარტიულ ხასიათს და ეყრდნობოდეს ჩვენი საზოგადოების განვითარების სამართლებრივ, კულტურულ, ჰუმანურ, ეთიკურ, ეთნოეროვნულ, რელიგიურ, საინფორმაციო-საგანმანათლებლო, ტექნოლოგიურ ფაქტორებს, მემკვიდრეობითობის, ტრადიციულობის, სოციო-კულტურული თვითმყოფადობისა და მაღალი სულიერი იმპერატივების პრინციპზე ორიენტაციით.

ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის ჩამოყალიბება რთული პროცესია, რომელიც ერის მთელი ინტელექტუალური და სულიერ-ზნეობრივი პოტენციალის მაქსიმალურ მობილიზაციას ითხოვს, ამიტომ ამ პროცესში აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ სახელმწიფომ, პოლიტიკურმა, საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა, ცალკეულმა მოქალაქეებმა, რაც ამ პროცესის ხანგრძლივობას განაპირობებს. ამასთანავე სახელმწიფო იდეოლოგიის შემუშავება შეუძლებელია გამაერთიანებელი ზოგადეროვნული იდეის წინასწარი ჩამოყალიბებისა და მოსახლეობის უმრავლესობის მიერ მისი აღქმის გარეშე.

საქართველოს ეროვნული ინტერესებისა და ქართული საზოგადოების განვითარების სტრატეგიის განსაზღვრა შესაძლებელს ხდის ზოგადეროვნული იდეის ჩამოყალიბებას, რომელიც გამოხატავს ქართველი ხალხის მიზნებსა და ამოცანებს, მენტალიტეტსა და თვითმყოფადობას, განაპირობებს სოციალური აზროვნებისა და სოციალური მოქმედების შინაარსს, ხასიათსა და მიმართულებას.

ეროვნული ხასიათის, ისტორიული გამოცდილების, ტრადიციული სულიერი ფასეულობების, ზნეობრივი წეს-ჩვეულებების თავისებურებებიდან გამომდინარე და ერის წინაშე მდგარი თანამედროვე ამოცანების გათვალისწინებით კანონზომიერად მიმაჩნია საქართველოს **ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲘᲓᲔᲘᲡ** განსაზღვრა, როგორც **ᲡᲣᲚᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ, ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲔᲗᲘᲚᲓᲦᲔᲝᲑᲘᲡ ᲘᲓᲔᲐᲗᲐ ᲡᲐᲛᲔᲠᲗᲘᲐᲜᲝᲑᲐᲡ**.

ᲡᲣᲚᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ იდეა გამოხატავს საზოგადოებრივი ცხოვრების ზნეობრივ საწყისებსა და საზოგადოებაში ადამიანის ქცევის მორალურ ნორმებს, რაც ითვალისწინებს:

– აზროვნების, რწმენის, სინდისის თავისუფლების პრინციპის დამკვიდრებას;

– შემწყნარებლობას, აზრთა სხვაობის, პოლიტიკური და რელიგიური შეხედულებების პატივისცემას;

– სიკეთის, ჰუმანურობის, კაცთმოყვარეობის პრიმატს, სახელმწიფოების, ერებისა და ადამიანთა შორის ურთიერთობებში ძალადობის მიუღებლობას;

– კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობის, ერის მატერიალური და სულიერი კულტურისადმი მზრუნველობით მოპყრობას;

– წარსული თაობების საქმიანობისადმი პატივისცემას, მემკვიდრეობითობის პრინციპის დაცვას, ერის, როგორც წარსული, აწმყო და მომავალი თაობების ერთობის განხილვას;

– ტრადიციული მორალურ-ზნეობრივი კანონებისა და წეს-ჩვეულებების შენარჩუნებას, ოჯახის, კოლექტივის, საზოგადოების ფუნქციონირების ტრადიციული მექანიზმების დაცვას;

– ეროვნული კულტურის განვითარების პრიორიტეტსა და მსოფლიო ცივილიზაციის მიღწევებით მის გამდიდრებას;

– სამშობლოს სიყვარულს, მისი ისტორიული წარსულით სიამაყეს, მომავლის რწმენას, ისტორიულ ოპტიმიზმს;

– საქართველოს სახელმწიფო, ეროვნული ინტერესების დაცვისათვის მზადყოფნას;

– ტრადიციული მორალურ-ზნეობრივი ორიენტაციის ბაზაზე ინდივიდუუმის თავისუფალ განვითარებას, საზოგადოებრივი განვითარების პროცესის დეინდივიდუალიზაციის არდაშვებას;

– ყველა ეთნიკური ჯგუფის, კულტურული და რელიგიური ავტონომიის ეროვნულ-კულტურული ინტერესების დაცვას;

– სახელმწიფოს მართვაში, საზოგადოების ფუნქციონირების ყველა სფეროში სამეცნიერო მიღწევათა ფართო გამოყენებას.

ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲘᲓᲔᲐ ნიშნავს სახელმწიფოს ფუნქციონირებას ხალხის ინტერესთა და მოქალაქეთა რეალური თანასწორობის დაცვის უზრუნველსაყოფად და ითვალისწინებს შემდეგს:

– ხალხის ხელისუფლების სუვერენიტეტს;

– საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების საქმიანობას ხალხის ნებისა და ქვეყნის ეროვნული ინტერესების შესაბამისად;

– ხელისუფლების ნებისმიერ დონეზე ყველა გადაწყვეტილების მიღების საჯაროობას;

– რეფერენდუმის შედეგთა, როგორც ხალხის ნების რეალური გამოხატულების ფორმის, სავალდებულო ხასიათს; წარმომადგენლობითი ორგანოების მუშაობაზე საზოგადოებრივი კონტროლის დაწესებას;

– საქმიანობის შედეგებზე თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობის რეალურ ფორმებს;

– პრინციპების – "ძლიერი სუსტზე აგებს პასუხს", "საზოგადოება ყველა მოქალაქეზე აგებს პასუხს" პრიმატს.

– საბაზრო ეკონომიკის სოციალურ ორიენტირებას;

– სიცოცხლის, შრომის, საცხოვრებლის და ადამიანის ბუნებრივი უფლებების რეალურ უზრუნველყოფას;

– განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის საყოველთაო ხელმისაწვდომობას;

– სახელმწიფოსა და საზოგადოების წინაშე მოქალაქის პასუხისმგებლობას;

– კორუფციის აღმოფხვრას, მაფიოზურ-კლანური სტრუქტურების ლიკვიდაციას, კანონის წინაშე თანასწორუფლებიანობას.

ᲙᲔᲗᲘᲚᲓᲦᲔᲝᲑᲘᲡ ᲘᲓᲔᲐ ნიშნავს მშვიდობისა და ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფას, სამოქალაქო თანხმობას, მოსახლეობის ცხოვრების დონისა და ხარისხის ზრდას, ხალხის ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობას და ითვალისწინებს:

– საერთაშორისო ურთიერთობების ახალ სისტემაში საქართველოს ღირსეულ ადგილს, ქართული სახელმწიფოს საერთაშორისო ფუნქციას, როგორც ცივილიზაციათაშორისო დამაკავშირებელ რგოლს, ევრაზიულ სივრცეში ახალი გეოპოლიტიკური კონსტრუქციის უმნიშვნელოვანეს ნაწილს;

– კავკასიის რეგიონში საქართველოს მარეგულირებელ და მასტაბილიზებელ როლს;

– ტერიტორიული მთლიანობის, ქვეყნის შიგნით ეროვნებათშორისი მშვიდობისა და თანხმობის აღდგენას;

– ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის ოპტიმალური ფორმის შემოღებას, რომელიც გაითვალისწინებს ისტორიულ გამოცდილებას, ეროვნულ, კონფესიურ მრავალფეროვნებას, რეგიონალურ და სამეურნეო სპეციფიკას, გეოპოლიტიკურ სიტუაციას;

– თავდაცვისა და სახელმწიფო უშიშროების ქმედითი სისტემის ფუნქციონირებას;

– აგრარულ-ინდუსტრიული პოტენციალის განვითარებას, წარმოებისა და სოფლის მეურნეობის სისტემატურ მოდერნიზებას, ახალი ტექნოლოგიების დანერგვას;

– მოსახლეობის საყოველთაო დასაქმების უზრუნველყოფას, ადამიანის ძირითად მოთხოვნილებებთან ხელფასის ოდენობის შესაბამისობაში მოყვანას;

– მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის საყოველთაო და ქმედით სისტემას, მოქალაქეთა ნაკლებად უზრუნველყოფილი კატეგორიების სოციალურ დაცვას;

– დედათა და ბავშვთა დაცვის ეფექტურ სისტემას, ოჯახში, სკოლამდელ დაწესებულებებსა და სკოლაში ბავშვთა ჰარმონიული განვითარებისათვის პირობების შექმნას;

– ახალგაზრდობისათვის განათლების მიღების, შრომითი მოწყობისა და ოჯახის შექმნის მაქსიმალურად თანაბარი პირობების უზრუნველყოფას.

ᲡᲣᲚᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ, ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲔᲗᲘᲚᲓᲦᲔᲝᲑᲘᲡ ზოგადეროვნული იდეის შემადგენელ ნაწილებად საყოველთაო აღიარება საშუალებას მისცემს ყველა პატიოსან, ეროვნულად და პატრიოტულად ორიენტირებულ ადამიანს უარყოს წინასწარაკვიატებული ვიწრო-პარტიული შეხედულებები, მსოფლმხედველობითი მიკერძოება, კორპორაციული შეზღუდულობა, დაძლიოს სოციალური აპათია და გაერთიანდეს საქართველოს ეროვნული ინტერესების დაცვის, ქართული სახელმწიფოსა და ქართველი ერის განვითარების სტრატეგიის რეალიზაციის მიზნით.

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲭᲐᲭᲘᲐ,
ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐ "ᲡᲐᲛᲔᲒᲠᲔᲚᲝᲡ"
ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ,
2000 ᲬᲚᲘᲡ ᲛᲐᲘᲡᲘ,
Ქ. ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ

კოლხეთი — კაცობრიობის ცივილიზაციის სათავე

დასაწყისი "ილორი" №171-192

„მაჰაბჰარატა“ და „რამაიანა“ – ეპოსები შექმნილია ჩვენ წელთაღრიცხვამდე დიდი ხნით ადრე, როცა არც არიელები არსებობდნენ და არც მათი დამწერლობა – „სანსკრიტი“. ეპოსში „მაჰაბრჰარატა“ აღწერილია ორი პრეისტორიული სამეფო გვარის პანდუსა და კაურავების ბრძოლა ძალაუფლებისათვის. **„როგორც არ უნდა ავარიდოთ ასეთ მსჯელობას თავი,** – წერს რ. ერისთავი, – **მათში აღწერილი პანდუს გვარს სად წაუვა კაცი? იგი ხომ იბერიული შთამომავლობაზე მიუთითებს“** და განაგრძობს: **ეპოსი „რამაიანა“ იდენტურია ძველი ქართული წარმართული სიმღერა „რამაია“-სი, რომელი ცეკვა-სიმღერაც გავრცელებულია სვანეთში, რაჭაში, სამეგრელოში და მზის ღმერთის საგალობელ ცეკვა-სიმღერას წარმოადგენს“**

ზემოთაღნიშნულის შემდეგ რევაზ ერისთავი ასეთ დასკვნას აკეთებს: **„მსოფლიოს თანამედროვე მეცნიერები: ეთნოგრაფები, ორიენტალისტები, ლინგვისტები, არქეოლოგები და სხვები, ძალზე ბუნდოვნად იცნობენ ქართველი ერის მრავალსაუკუნოვან ისტორიას და კულტურას. მათ არ იციან, რომ ჩვენი პლანეტის უძველესი ცივილიზაციის ბერმუხა საქართველოში დგას და მის განშტოებულ ფესვებზეა ყლორტებად აღმოცენებული: შუამდინარეთის, ეგვიპტის, საბერძნეთის, ინდის ველის, ტიბეტის, ამერიკის და სხვათა კულტურები... რომ უხსოვარ დროიდან „ველურმა ტომებმა იცოდნენ, რომ ეს თეთრი ადამიანები მოვიდნენ მზიდან, შეუცნობელი და საოცრებით აღსავსენი და დათესეს ქვეყნად მშვიდობა, სიკეთე და სიმართლე...“ „მსოფლიომ მართლა ბევრი რამ არ იცის საქართველოსა და ქართველი ხალხის შესახებ. ამ საქმეში არა მარტო უცხოელი, არამედ ქართველ მეცნიერთა გარკვეული ჯგუფიც სცოდავს. ქართველი ხალხის ნაწილმაც სათანადოდ არ იცის დღეისათვის გავრცელებული მეგრულ-ლაზური (ჭანური) და სვანური ენები. ისინი ამ ენებს ქართული ენის დიალექტად თვლიან, ყოველდღიური საუბრისათვის იყენებენ მეგრელები და სვანები, მაგრამ ეს ასე არ არის სწორი... ვფიქრობთ, რომ მეგრულ-ლაზური (ჭანური) და სვანური ენები ის ქართული ენაა, რომელსაც იოანე – ზოსიმე მოიხსენიებს, როგორც საიდუმლო ღვთის ენას...“ აი ვინ იყო ის ხალხი, რომელიც სამხრეთ ამერიკიდან მოვიდნენ აღდგომის კუნძულზე. ამ გზას ქართველმა ტომებმა ანუ იბერებმა დაახლოებით 3500 წელი მოანდომეს. ასე დამთავრდა ამ მართლაც დიდი და ლეგენდარული ხალხის გრძელი და ხიფათით აღსავსე გზა. წყნარი ოკეანის კუნძულებზე ჩაესვენა ამ დიდი ცივილიზაციის შემქმნელთა მზე. სადაც კი არ ყოფილან ისინი, ყველგან მიიტანეს ხვამლის მთაზე მიჯაჭვული ამირანის მოგიზგიზე ჩირაღდანი, რომელიც უძველესი გლობალური ცივილიზაციის კავკასიიდან გასხივოსნების სიმბოლური გამოხატულებაა.**

არსებობს ვერსია, რომ ქართული ეროვნული ეპოსის გმირს – ამირანს, რომელიც შემდეგ ბერძნებმა პრომეთედ მონათლეს, შორეული კავშირი აქვს მზის ღმერთთან „რა“-სთან, ასევე უკავშირდება შუმერულ სიტყვას „ამას“, დედას, ე.ი. ამა-რა-ნი, ანუ, შვილი დედა მზის.“

ასეთი ვრცელი ამონაწერი იმიტომ მოვიტანე, რომ იქ ყველაფერი ობიექტურად და მეცნიერულ დონეზეა გადმოცემული და დასაბუთებული.

“დადგება დრო, როდესაც ქართული ენისა და ანბანის არამიწიერი წარმომავლობის შესახებ მსოფლიო ალაპარაკდება და მის მისტიკურ (ასტრალურ) ოჯახში შემავალი მეგრულ-ლაზური (ჭანური) და სვანური ენები ცივილიზებული სამყაროს ყურადღების ცენტრში მოექცევიან.“

კოლხეთი (საქართველო) არის პირველი ევროპელების წინაპარი და ევროპული ცივილიზაციის ფუძემდებელი. დმანისში (1999-2001 წწ.) ნაპოვნი ადამიანის თავის ქალა დაახლოებით 1,8 მილიონი წლის წინანდელია, აფრიკის 1 მილიონი წლისაა და ძალიან გავდნენ მაიმუნებს..

გამოჩენილი ევროპელი მეცნიერები მიუთითებენ, რომ მარცვლეული მცენარეების, ქერის, პურის, ღვინის სამშობლოა კოლხეთი, ისე როგორც პირველი რელიგიური რწმენის ჩანასახი მიმდინარეობს ღმერთების ღმერთი აიას მიწიდან – კოლხეთიდან.

ცნობილია, რომ, – წერს ვალერი შენგელია, – ღმერთი აია არსებობს ყველა ძველ ხალხში და თვლიან მას ღმერთის ღმერთად, ადამიანის შემქმნელ ღმერთად, წარღვნის დროს კეთილი ღმერთი ეა (აიე) შველოდა ხალხს წარღვნისაგან“. (ვალერიან შენგელია, **“რინა ჭყაფილ მარგალიში ანუ პირველი შემოქმედნი“**, გვ. 26,27,31.)

* * *

ზემოთ აღნიშნული მასალებიდან ჩანს, თუ საიდან მოვიდა ის ხალხი აღდგომის კუნძულზე, რომლებიც იქ დასახლდნენ ჩვენი წელთაღრიცხვით IV საუკუნეში; ამ ხალხს ტურ ჰეიერდალი უშიშარ და მამაც ხალხს, ლეგენდარულს უწოდებს (თეთრი კანით, მოკლე წვერით, არწივისებური ცხვირით), რომელთა წყალობით მოხდა უამრავ კუნძულებზე მცხოვრებ აბორიგენთა განკაცება. ეს იბერიული ტომები მრავალი საუკუნის განმავლობაში სხვადასხვა კონტინენტზე ყველგან მისიონერების როლს ასრულებდნენ.

როდესაც ამირანმა მზისგან ცეცხლი მოიტაცა და ანთებული ჩირაღდანი ხალხს გადასცა (რისთვისაც მას ღმერთი დასჯის და თანამედროვე ქუთაისთან ახლოს ხვამლის მთაზე მიაჯაჭვავს), რაშიც ნაგულისხმევია ცივილიზაციის, განათლების, კულტურის გავრცელება-განთესვა მთელ მსოფლიოში, ხოლო ატლანტიკის ჩაძირვისა და წარღვნის შემდეგ, იბერთა ცივილიზაციის მთელ მსოფლიოში ხელმეორედ განთესვის მეორე პერიოდი დაიწყო.

ამ პერიოდის იბერებზე, ანუ პროტოქართველური ტომების შესახებ დიდმნიშვნელოვანი მასალა აქვს შეკრებილი ცნობილ რუს შუმეროლოგ ანატოლი კიფიშინს თავის 500 გვერდიან მონოგრაფიაში **„შუმერებამდელი პროტოქართველური ტომების ფილოსოფიური აზროვნების ჩამოყალიბება გვიან ნეოლითის პერიოდში“,** (იხ. ჟურნ. **„ტექნიკა მოლოდიოჟი“**, 1975, №12, გვ. 56) რომელიც რუსმა ნაციონალისტებმა არ დაბეჭდეს, რადგან საქართველოს წარსულის კულმინაციურ წერტილზე წარმოჩინება არ აწყობდათ, მითუმეტეს რუსი ავტორის მიერ.

ჩვენ, ამ წინამდებარე ნაშრომში, მითითებული გვაქვს, რომ რუსმა შოვინისტებმა XX საუკუნის 40-იანი წლების ბოლოს აკრძალეს საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელო საშუალო სკოლის მაღალი კლასებისათვის. რომელიც ჯერ რამდენიმეჯერ გამოსცეს ქართულ და რუსულ ენებზე, სტალინური პრემიაც მისცეს ავტორებს, სტალინის სიკვდილის შემდეგ კი აკრძალეს.

ანატოლი კაფიშინი (რომლის შესახებ ზემოთაც გვქონდა საუბარი) წყაროებზე დაყრდნობით ამტკიცებს, რომ შუმერებამდელი პროტოქართველები კავკასიაში ცხოვრობდნენ ძვ. წ. 18-15 ათასი წლის წინ და ალბათ უფრო ადრეც, და შექმნეს ის კულტურა, რომელმაც ხელმეორედ ფეხზე წამოაყენა მსოფლიო ცივილიზაცია.

ანატოლი კიფიშინის კეთილსინდისიერებამ შესაძლებლობა მისცა რევაზ ერისთავს, გაცნობოდა ამ ნაშრომს. აღნიშნულ ნაშრომს იცნობდნენ ვლადიმერ ალფენიძე (მან თავის გაზეთში დიდი სტატია მიუძღვნა ამ ნაშრომს 1999 წელს), შოთა ძიძიგური, ილია ტაბაღუა და სხვები.

იბერები იყვნენ ისინი, ვინც სამხრეთ ამერიკიდან პირველები მივიდნენ აღდგომის კუნძულზე და მიიტანეს ცივილიზაცია. კუნძულს ეწვია პირველი თეთრკანიანი ბელადი ხოტუ მატუა, რომელიც კუნძულზე მივიდა რამოდენიმე ნავით, მანამდე კი შვიდკაციანი დაზვერვა გააგზავნა, ჯერ იყვნენ სხვა კუნძულებზე, ამის შემდეგ გადავიდნენ აღდგომის კუნძულზე. ტურ ჰეიერდალისათვის, ამ შესანიშნავ მკვლევარ-მოგზაურისათვის, არაფრის მთქმელია მატუას გვარი, რადგან მან არც მეგრული და არც ქართული იცოდა. მატუა (ჩემი ბებია (მამიდან) იყო ქეთო (ქეთევან) მატუა – წალენჯიხის რაიონის სოფ. ჯვარიდან. მე დედა ადრე გარდამეცვალა და ჩემი აღმზრდელები იყვნენ ბებია ქეთევან მატუა და უფროსი და მარუსია თუმცა, მამაჩემს ივანე შელიას, რომელიც თავდადებით ზრუნავდა შვილებისათვის, რაც შეეძლო არაფერი დაუკლია ჩემთვის. მამაჩემი ჩემთვის იყო სიკეთის განსახიერება. მამა გარდამეცვალა, როცა 44 წლის ვიყავი, ამ ხნის განმავლობაში არ დამკლებია მისი რჩევა-დარიგებები, რომლებსაც დიდი სიამოვნებით ვიღებდი. აქ ეს ამბები იმიტომ მოვიტანე, რომ მეჩვენებინა ხოტუ მატუას გვარის წარმომადგენლები ცხოვრობენ წალენჯიხის რაიონშიც. მინდა ისიც ვთქვა, რომ მამაჩემი ჩემთვის მამაც იყო და დედაც. უმძიმესად განიცდიდა, რომ მე დედა, მას კი ძვირფასი მეუღლე არ ჰყავდა. მამა ძალიან მანებივრებდა, ძალიან მეფერებოდა და სიყვარულით ძგტის, ძგს მეძახოდა, **ამ სახელის, პატარაობისას** ოჯახის სხვა წევრებიც მეძახდნენ.) მეგრული გვარია. ასევეა ბასკეთშიც: ნოდია, ახურია, მატუა, ალანია, ბოკერია და სხვა.

როგორც სხვა მკვლევარებიც მიუთითებენ, კოლხი (ბასკი) ხოტუ მატუა თავისი ამალით ეტაპობრივად მივიდა კუნძულზე, ჯერ განსახლებულან ტიამოტუს არქიპელაგის კუნძულ მანგარევაზე. ხოტუ მატუას ხალხმა კუნძულზე მოიტანა უამრავი გასამრავლებელი ელიტარული თესლი და **67 ცალი ხის ფირფიტა, რომელზედაც იდიეოგრამები იყო ამოტვიფრული – დამწერლობა – კოჰაუ რობგირ რონგო.** ლეგენდების მიხედვით ხოტუ მატუა გაუშიფრავი დამწერლობის დიდი მცოდნე ყოფილა.

აღსანიშნავია, რომ სიმინდი, ლობიო, კარტოფილი, პომიდორი, კომბოსტო და სხვა ევროპა-აზიაში ვითომ ამერიკიდან შემოვიდა. ეს შეუძლებელია, რადგან ჩამორჩენილი ინდიელები, რომლებიც მაშინ პირველყოფილი ადამიანების წესით ცხოვრობდნენ, ასეთ ელიტარულ ჯიშებს ვერ გამოიყვანდნენ – ამას ვერ შექმნიდნენ 20-30-35 საუკუნის წინათ.

ეს ჯიშები ამერიკაში და წყნარი ოკეანის კუნძულებზე უთუოდ შეიტანეს იბერებმა საყოველთაო მიგრაციის დროს. ისიც ცნობილია, რომ აკად. ნ.ი. ვავილოვმა ჩრდილოეთ ესპანეთში, ბასკების ქვეყანაში მიაკვლია ისეთი ხორბლის ჯიშს, რომლის ენდემური სახეობა მხოლოდ კოლხეთში, ლეჩხუმში არსებობდა.

საინტერესოა, რომ რუსი მეცნიერი ი.კნოროზოვი თავის ნაშრომში ლაპარაკობს კუნძულის მკვიდრებთან შეხვედრაზე მათეოს და გაბრიელ ვარივერებთან, გრძელფეხებიანების შთამომავლებთან. საუბარზე, საიდანაც ჩანს მათი ივერიული წარმომავლობა – ვარივები, ხარივები, ე.ი. ვარივერი, ხარ ივერი. ეს იმაზე მიუთითებს, რომ დღესაც აღდგომის კუნძულზე ქართული გვარებია შემორჩენილი. ზოგიერთები ამბობენ, რომ ვერივერი (უფრო ხარივერი) ნიშნავს ვარ-ქართველი, მაგრამ, სხვები ამბობენ, რომ იმ ძველ პერიოდში სიტყვა, ტერმინი **„საქართველო“, „ქართული“** ჯერ კიდევ არ არსებობდა, ამიტომ ვარივერი ნიშნავს ვარ-ივერი-იბერიელი.

რევაზ ერისთავი, როგორც ითქვა, წერს საიდუმლოებით მოცული ხალხის აიანების შესახებ, რომლებიც ჩრდილოეთ იაპონიაში კუნძულ ხონსიუსა და ხოკაიდოზე ცხოვრობენ; მათი რიცხვი 20 ათასს ბევრად არ აღემატება. აიანების ენა რთულია და საიდუმლოებითაა მოცული, მას ბასკურ ენას ამსგავსებენ. სიტყვა **„აიანი“** გავს სიტყვა **„აიას“** („აია“ ძველი კოლხეთის სახელმწიფოს სახელწოდებაა). აიანების წარმომავლობის საკითხი გარკვეული არ არის დღესაც, მაგრამ გარკვევით, დოკუმენტალურად ჩანს მეგრული ტომებია.

იაპონელი აიანების საკითხს შეეხო ცნობილი ჟურნალისტი მაია ჭელიძე, რომელმაც 2011 წელს სექტემბერ-ნოემბერში. **„საერთო გაზეთში“** (№37-38-39,-47) გამოაქვეყნა ჩემთან ოთხჯერადი საუბარი (ინტერვიუ). სამი საუბრის საერთო სათაურია: „საქართველოს ისტორია თავიდან ბოლომდე გაყალბებულია! როგორ შეიძლება საქართველოს ისტორიაზე სომხების მიერ დაწერილი **„ქართლის ცხოვრებით“ ვმსჯელობდეთ“,** მეოთხე ინტერვიუს სათაურია **„როდემდე შეიძლება დაბრეცილი სარკით თავმოწონება!“** მაია ჭელიძეს გაზეთის 37 ნომერში გამოქვეყნებული აქვს აიანების სურათი წარწერით: **„იაპონელი აიანები – კოლხეთის უძველესი ტომები“. გასაკვირი დამთხვევა მოხდა: 2011 წელს სექტემბრის ბოლოს რუსმა მეცნიერებმა მოსკოვის ტელევიზიით გამოაქვეყნა, რომ ნახევარკუნძულ სახალინზე უძველეს დროში ცხოვრობდნენ, თეთრკანიანი, მხარბეჭიანი, მაღალი აღნაგობის კულტურული ტომები აიანები, რომლებიც ძირითადად ადგილობრივ მოსახლეობაში „გაითქვიფნენ“.** რუსმა მეცნიერებმა აიანების იგივე სურათი გამოაქვეყნეს, რაც მ. ჭელიძეს ჰქონდა გაზეთში გამოქვეყნებული.

„საერთო გაზეთში“ ჩემი მეხუთე ინტერვიუს სათაურია (ჟურნალისტი მაია ჭელიძე) **„კლეოპატრამდე ეგვიპტის ყველა ფარაონი ქართველი იყო“** (2011 წ. 25-31 იანვარი, №03, გვ. 19).

ასევე, გაზეთ **„ასავალ-დასავალის“** შესანიშნავმა ჟურნალისტებმა ქეთევან ხამიცაშვილმა და ნინო გომიაშვილმა გამოაქვეყნა ჩემთან სამი საუბარი (ინტერვიუ) სათაურებით: 1. **„ურჩევნიათ საქართველომ დაკარგოს ისტორიის უდიდესი ნაწილი, ოღონდ ეს ისტორია მეგრელებს არ მიეწეროს! საქართველო (კოლხეთი) – მსოფლიოს პირველი ქვეყანაა, ქართული ენა (კოლხური ენა) კი – მსოფლიოს პირველი ენა!“** (2010წ. №41); 2. **„ქართველები ამ სამყაროს ღირსეული წევრები ვართ და ნუ ვიტყვით, რომ ვართ პატარა ქვეყანის შვილები, რაც გიამბეთ უტყუარი კველევითი მასალებითაა დადასტურებული, ამიტომ, მივხედოთ ჩვენს ქვეყანას, შევიცნოთ ვინა ვართ, საიდან მოვდივართ და თავს ნუ დავხრით სხვათა წინაშე“** (2011 წ. №18) 3. **„შეეიცარიელ მეცნიერთა სენსაციური აღმოჩენა – ეგვიპტელი ფარაონები და თანამედროვე ევროპის ნახევარზე მეტი გენეტიკურად კავკასიელები არიან! რაც შეეხება სომხურ ანბანს, ცნობილია, რომ იგი ქართველებმა – პეტრე იბერმა და მითრიდატე ლაზმა შექმნეს. სხვათაშორის სახარება მითრიდატე ლაზმა თარგმნა სომხურად“** (2011წ. №35).

2011 წლის მარტში, ცნობილმა მეცნიერმა, პროფესორმა ალექსანდრე კუჭუხიძემ თავისი 8-გვერდიანი გაზეთის **„საქართველოს დედაქალაქის“** მე-7 გვერდზე გამოაქვეყნა ჩემი სტატია, რომელიც შედგება ორი ნაწილისა და 17 ქვეთემისაგან: **„კოლხეთი (საქრთველო) – კაცობრიობის ცივილიზაციის აკვანი“,** საერთო ორი სათაურით: **„ძვირფასო მკითხველებო, ვაკმაყოფილებთ თქვენს თხოვნას: ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერს ვუძღვნით ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ კლიმენტი შელიას პუბლიცისტურ ნარკვევებს. იმას, რომ ოდესღაც დიდი კი არა დიდზე დიდი ყოფილა ჩვენი საქართველო... ქართველო მეცნიერ-ისტორიკოსებო! სცადეთ, იქნებ შეძლოთ კაცობრიობას უთხრათ, რასაც თავის წიგნებში და პუბლიცისტურ ნაშრომებში ამბობს პროფესორი კლიმენტი შელია, მითია თუ სინამდვილე???“** იმავე, 2011 **წლის მარტში ჟურნალმა „მოამბე“ (№XV-XVI, გვ. 3-23) მთლიანად გამოაქვეყნა აღნიშნული საგაზეთო სტატია სათაურით „სამყაროს ისტორია“. ჩემი სტატიები ქვეყნდება სხვა ჟურნალ-გაზეთებშიც. ჟურნალმა „აიამ“ 2010 წელს გამოაქვეყნა წერილი „საქართველოს ერთიანობის სახელით – საქართველოს ერთიანობის წინააღმდეგ“ (№2(14), გვ. 3-12), ხოლო 2011 წელს „კოლხეთი (სქართველო) – ჩვენი სამყაროს უპირველესი და უდიდესი ქვეყანაა“** (№1(15), გვ. 3-13).

გაზეთ **„ილორმა“** (მთავარი რედაქტორი – **“აიას“** და **“ფაზისის“** საერო აკადემიების აკადემიკოსი, საპატიო დოქტორი როლანდ ჯალადანია) თავის ფურცელზე გამოაქვეყნა ჩემი 400-ზე მეტგვერდიანი წიგნი **„კოლხეთი – ჩვენი სამყაროს კარიბჭე“** და ნომრიდან ნომერში აქვეყნებს ჩემს სტატიებს კოლხეთ-საქართველოს ისტორიაზე..

გარდა აღნიშნული ჟურნალ-გაზეთებისა, ჩემი წერილები და ინტერვიუები ქვეყნდება სხვა ჟურნალ-გაზეთებშიც, კერძოდ ჟურნალებში **„რიწაში“** (უკვე აღარ გამოდის), **„ცოტნეიდელში“, „ათინათში“, „რაჭველებში“, „სამეგრელოში“, „ფენომენში“** და სხვა.

2011 წლის დეკემბრის შუა რიცხვებში (თითქმის ერთდროულად), ჩემი წერილები დაიბეჭდა 6 ჟურნალში: **„აიაში“, „რაჭველებში“, „სამეგრელოში“ „ათინათში“, „ცოტნეიდელში“** და **„მოამბეში“.**

ყოველივე ამის დაწერა ამ წიგნში საჭიროდ არ მიმაჩნდა, მაგრამ იძულებული ვარ ასე გავაკეთო, რადგან ქართველ მეცნიერებს, ნაცნობ თუ უცნობ ისტორიკოსებს, ზემოთ აღნიშნული ჟურნალისტის სიტყვით, რომ ვთქვათ, ურჩევნიათ საქართველომ დაკარგოს ისტორიის უდიდესი ნაწილი, ოღონდ ეს ისტორია მეგრელებს არ მიეწეროს! აგრეთვე, ქართველი ისტორიკოსები არ პასუხობენ მიმართვას: რასაც თავის წიგნებში და პუბლიცისტურ სტატიებში ამბობს (ეს და ეს პიროვნება), მითია თუ სინამდვილე???

კლიმენტი შელია,
პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ოცნება, რომელიც უნდა ახდეს

1991-92 წლების სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ საქართველოს ბედის ჩარხი უკუღმა დატრიალდა.

მომავალი თაობებისათვის განსაკუთრებით ავად სახსენებელი, წყევლა-კრულვიანი, წკვარამ ღამეში ქვაბ-ავაზაკთა სათარეშოდ ქცეული ე.წ. **"ვარდების რევოლუციის"** შემდგომი 9 წელიწადი აღმოჩნდა.

ბედკრული საქართველოს ისტორიაში ალბათ არ მოიძებნება ამაზე შავ-ბნელი, დამაქცევარ-დამანგრეველი პერიოდი!

ძირძველი, მამა-პაპათა სისხლითა და ოფლით მორწყული მამულის, ქართველ კაცი საცხოვრისის დაკარგვას, ეკონომიკურ კრახს, უმუშევრობას, ქვეყნის მოსახლეობის დიდი ნაწილი ქრონიკულ შიმშილს, უწამლობას და უექიმობას საკუთარი ჩრდილივით მუდამ თან ახლავს ზნეობრივი დაცემის, სულიერი გადაგვარების აღვირახსნილი აგიტაცია-პროპაგანდა დემოკრატიის სახელით!

"ნაცების" ბატონობის კიდევ რამდენიმე წელიწადი და საქართველოში დაიწყებოდა შეუქცევადი პროცესი: ვერავინ და ვერაფერი შეაჩერებდა საქართველოს, როგორც სახელმწიფოს სასიკვდილო აგონიას, ქართული ცნობიერების გარყვნას, პიროვნების დეგრადაცია-ზომბირებას.

ბოლოდროინდელმა მოვლენებმა თვალსაჩინოდ დაგვანახა, რომ საქართველოში არსებობს პათოლოგიური ფსიქიკის მქონე ადამიანთა დიდი ჯგუფი. მათ არ შეუძლიათ კეთილისა და ბოროტის განსხვავება, გამოირჩევიან აგრესიულობით, სასტიკით, უმადურობით, არაადექვატური რეაქციებით. მათ ქცევებს განსაზღვრავს არა ზნეობრივი იმპერატივები, არამედ ცხოველური ინსტინქტები.

ეს ადამიანი-ზომბები სასტიკად სცემენ, სასიკვდილოდ იმეტებენ მშვიდობიან მომიტინგეებს, ფიზიკურად აწამებენ და აუპატიურებენ პატიმრებს (ნეკროფილი მამაძაღლი **"სომეხა"** – მიცვალებულებსაც), ნეანდერტალებივით ქვებს სვრიან სწორედ მათ, ვისაც სურთ და შეუძლიათ მათი სულების გადარჩენა...

არ აწუხებთ სინდისის ქენჯნა!

ასეთი სადისტი, ზნედაცემული საზოგადოებისათვის მით უფრო საშიშია, რაც უფრო დიდი სახელმწიფო პოსტი უკავია, ანუ ხელთ რაც უფრო დიდი ძალაუფლება აქვს!

არ აწუხებთ სინდისის ქენჯნა იმ პროკურორებს, გამომძიებლებს, მოსამართლეებს, რომლებიც ამა ქვეყნის ძლიერთა დაკვეთით ახდენენ ფაქტების ფაბრიკაცია-გაყალბებას და ციხეში ხანგრძლივი ვადით საწამებლად იმეტებენ უდანაშაულო მსხვერპლთ...

არ აწუხებთ სინდისის ქენჯნა იმ სახელმწიფო დამნაშავეებს, რომლებიც ამომრჩეველთა ხმებს აყალბებენ...

საქართველოს არაეროვნული ხელისუფლება, კალიასავით შემოსეული უჯიშო გვარგადაკეთებულთა ლეგიონი ჩვენი სამხრეთელი მეზობლის ათასწლოვან ოცნებას აუცილებლად აიხდენდა, თუ არა ცნობილი მილიარდერის, ქველმოქმედის და დიდი მამულიშვილის ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში მოსვლა.

მისი უდიდესი დამსახურებაა ერის დარაზმვა გადარჩენისათვის გადამწყვეტი ბრძოლის დროშის ქვეშ და ამ ბრძოლის გამარჯვებამდე მიყვანა.

ქართული ოცნება აუცილებლად ახდება!

თენგიზ კუბლაშვილი

"კანიბალები ბულბულებად იქცნენ"

სიმართლე არის მახვილი რომლითაც კეთილი იმარჯვებს ბოროტებაზე"
აკად. ა. ბიწაძე

არჩევნების ციებ-ცხელებამ კულმინაციის წერტილს მიაღწია – ქართველმა ხალხმა **"დიდგორის ომი მოიგო"**. პირველ ოქტომბერს აღსრულდა ქართველი ხალხის ოცნება: დიდი უპირატესობით დაამარცხა ქვეყანაში მოთარეშე კაცი-ჭამია **"ნაციონალური მოძრაობა"** და მისი ლიდერი მიხეილ სააკაშვილი. ბატონი ბიძინა ივანიშვილის მიერ სწორად, ნაბიჯ-ნაბიჯ გათვლილი, დემოკრატულ პრინციპებზე აგებული საარჩევნო ბრძოლა წარმატებებით დამთავრდა – სიმართლემ იზეიმა, ბოროტება დამარცხებულია.

ეს ისტორიული გამარჯვება ოქროს ასოებით შევა საქართველოს უახლოეს ისტორიაში და პირველი ოქტომბერი, ალბათ, სადღესასწაულო დღედ გამოცხადდება (ამის მომხრე და ავტორია ცნობილი კინორეჟისორი ბატ. რეზო ჩხეიძე). დამთავრდა **"ნაციონალური მოძრაობის"** ბოროტების ისტორია, მათ ელოდებათ საპყრობილე, სადაც, წლების განმავლობაში, სასტიკი მეთოდებით აწამებდნენ პატიმრებს. ამის ამსახველი ამაზრზენი ტელეკადრები, რომლებიც მთელმა მსოფლიომ იხილა, მრავალი ათეული წელი დარჩება მათ მეხსიერებაში და ყოველი ამ დანაშაულის გახსენებისას წყევლა-კრულვით მოიხსენიებენ **"ნაციონალურ მოძრობას"** და მის ლიდერს სააკაშვილს, რომლებიც დამარცხების შემდეგ **"გარდაიქმნენ"**, თავი ისე მოაქვთ თითქოს დღე და ღამე საქართველოს მოსახლეობის ბედნიერი მომავლისათვის აღამებდნენ და ათენებდნენ.

არა, ჩემო **"კარგებო"** – თქვენგან მიყენებულ ჭრილობებს და ავკაცობას დიდხანს ვერ მოირჩენს საქართველო და ქართველი მოსახლეობა.

თქვენ ქონებას დაეხარბეთ, დღემუდამ ზრუნავდით საკუთარი ბედნიერებისათვის და არა სახელმწიფოს გაძლიერებისათვის, რის გამოც ვერ აცნობიერებდით იმას, რომ საკუთარ მომავალს ღალატობდით. მომავალი თაობისათვის მხოლოდ მატერიალური მდგომარეობა არ არის მთავარი. მთავარი მაღალ ღირსებებზე დამყარებული მორალურად ჯანსაღი ატმოსფეროს შექმნაა, რაც თქვენ ვერ შეძელით.

ამიტომ, მოვიდა დრო, პასუხი აგოთ ერის წინაშე იმ დანაშაულებზე, რაც წლების განმავლობაში ჩაიდინეთ!

მორალურად და იდეოლოგიურად ხელმოცარულმა **"ნაციონალურმა მოძრაობამ"** და მისმა ლიდერმა სააკაშვილმა უამრავი ახალგაზრდა ჩაითრიეს ბინძურ საქმიანობაში და სახელმწიფოს მოღალატეებად აქციეს. სააკაშვილის განცხადება **"ჩვენ ვაღიარებთ "ქართული ოცნების" გამარჯვებას და გადავდივართ ოპოზიციაში"** – ნაკლებად სანდოა, შეფუთულს უფრო გავს.

დიახ, გადავიდეს ოპოზიციაში, ღმერთმა მოახმაროს! – მაგრამ ქვეყნის პირველი პირი, მთავარსარდალი ოპოზიციაში დაუშვებელია. ასეთი რამ ისტორიას არ ახსოვს. ეს ნონსენსია!

ყველაფერი ეს არის იმ გაუწონასწორებელი **"ქადაგების"** შედეგი, რასაც სააკაშვილი **"აფრქვევდა"** სხვადასხვა ტრიბუნებიდან.

მისი აზროვნება სახელმწიფო მმართველობას ვერ გაწვდა. ამიტომ მიხეილ სააკაშვილი უპირობოდ უნდა გადადგეს და დანიშნოს ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები. ეს არის ერთადერთი და საუკეთესო გამოსავალი რაც მისთვის ძნელი იქნება. მაგრამ ეს მწარე და სამართლიანი განაჩენი მას საქართველოს მოსახლეობამ პირველ ოქტომბერს გამოუტანა, როცა სახელმწიფოს მართვის მანდატი ჩამოართვა.

ეს არის რეალობა და როგორი მტკივნეულიც არ უნდა იყოს, სისრულეში უნდა მოვიდეს, რაც საშუალებას მისცემს ახალ მთავრობას დინჯად, ნორმალურად და კანონიერად მართოს ქვეყანა. ასეთი ქმედება ქვეყანასაც წაადგება და მასაც. თუ გაჯიუტდება, რაც გამორიცხული არ არის, ეს გამოიწვევს ჯაჭვურ შეუთავსებლობას, აღელვებული საქართველოს მოსახლეობა ადარც ბატ. ბიძინა ივანიშვილს დაემორჩილება და ადარც საერთაშორისო საზოგადოებრივ აზრს. იგი თავად მიიღებს რადიკალურ გადაწყვეტილებას.

შედეგი როგორი იქნება, ამის წინასწარ მისი განსაზღვრა შეუძლებელია!

ბატონო მიხეილ სააკაშვილო! თქვენ საკმარისად ისარგებლეთ ბატონი ბიძინა ივანიშვილის მაღალი ინტელექტით და ჰუმანურობით (რაც თქვენ და **"ნაციონალურ მოძრაობას"** არ გაგაჩნიათ), ყოველნაირი სიბოროტე ჩაიდინეთ მის მიმართ, რაშიც ბატ. ბიძინა არ აგყვათ და თავისი საქმე მიზანმიმართულად აკეთა – მიზანსაც მიაღწია, მოიპოვა საქართველოს მოსახლეობის სიყვარული და ნდობა.

კვლავაც რომ არ ჩაიდინოთ მსგავსი ქმედებები, მე, როგორც ქართველი რიგითი მოქალაქე, გირჩევთ გადადგეთ უპირობოდ და დანიშნოთ საპრეზიდენტო არჩევნები! ეს იქნება მომავალი დემოკრატიულ ქვეყნის აღმშენებლობის მყარი გარანტია.

თქვენი და თქვენი ხროვის კანონსაწინააღმდეგო ქმედებები უკვე ყელში ამოუვიდა ქართველ ხალხს. ტელეეკრანიდან მოსმენილმა და ნახულმა საარჩევნო პროცესების თქვენებური გაყალბების უტაფარმა ქმედებებმა შესძრა მთელი საქართველო. დარღვევები, რაც ხდებოდა არჩევნების დროს საარჩევნო უბნებში, როგორც დასავლეთ საქართველოში ისე აღმოსავლეთ საქართველოში, სწორედ თქვენი **"შემოქმედების"** შედეგია. თქვენ უამრავი თანამდგომი, რომლებიც წესიერი განაზრახით ამოგიდგნენ გვერდში, სისხლის სამართლის დამნაშავეებად აქციეთ. ამიტომ, დაფიქრდით და ცივი გონებით განსაჯეთ, თუ რამდენად ესადაგება თქვენი მდგომარეობა დღევანდელობას!

პარტიულ ინტერესებს არ უნდა შევწიროთ სამშობლო, რადგან სამშობლო ყველას ერთი გვაქვს – პოზიციასაც და ოპოზიციასაც. ამიტომ, მას თვალისჩინივით უნდა გავუფრთხილდეთ!

თქვენ კი საქართველო საჯიჯგნად მიუგდეთ ახალაიებს, წიკლაურებს, კუბლაშვილებს, გაბაშვილებს, სხვა უჯილაგოებს!..

დღეს საქართველოში მძიმე ეკონომიკური მდგომარეობაა. როგორც საინფორმაციო საშუალებებმა გვაცნობეს – ბიუჯეტი დაცარელებულია (ვანო მერაბიშვილის ინფორმაციით ბიუჯეტში ორი მილიარდი დოლარია, რაც დიდ ეჭვს ბადებს). **"ნაციონალურმა მოძრაობამ"** არჩევნების შემდეგაც (3 ოქტომბერს) მოასწრო უზარმაზარი პრემიების დარიგება.

როგორც ფორუმის წევრი და **"ქართული ოცნების"** მხარდამჭერი მოვითხოვ: ახალი მთავრობის ჩამოყალიბების შემდეგ, პარლამენტის უახლოეს სხდომაზე შეიქმნას საპარლამენტო საგამომძიებლო კომისია რომელშიც ჩართული იქნებიან რიგითი მოქალაქეები. აღნიშნულმა კომისიამ უნდა შეისწავლოს საქართველოს ეკონომიური მდგომარეობა და იმ პირებს (პრეზიდენტის ჩათვლით), რომელთაც ევალებოდათ ეკონომიკის განვითარება და მოსახლეობის სოციალური პირობებს გაუმჯობესება, მოსახლეობის გაწბილებისათვის დაეკისროთ პოლიტიკური თუ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა!

"ნაციონალური მოძრაობა" "დატკბა", მაგრამ ზიზღსა და სიძულვილს ვერ მალავს ქვეყანაში მიმდინარე სიახლეებისადმი. არ ვიცით, როდის რას მოიმოქმედებენ ეს ზომბირებული არსებები. ამიტომ, მთელი საქართველო ფხიზლად უნდა იყოს. ბედნიერ მონაპოვარს დარაჯად უნდა დავუდგეთ. ყოველივე წვრილმანი უკანონობა ადგილზევე უნდა იქნეს აღმოფხვრილი. დიდი სტალინი ამბობდა: **"ნურასოდეს ვიტყვით წვრილმანზე უარს, რადგან წვრილმანიდან შედგება დიდი"**.

თუ ამას არ გავაკეთებთ, ავად ჩასაფრებული ბარამიძეები, წიკლაურები, დარჩიაშვილები, მინაშვილები, კუბლაშვილები, ბაქრაძეები, გოგორიშვილები, ოჩიაურები, თაქთაქიშვილები, ხერხეულიძეები და მათი მსგავსი კვლავაც გააგრძელებენ ქვეყნის ნგრევას!

გამარჯვებულ ეროვნულ პოლიტიკურ ძალას კი მივმართავ: **ბატონებო, ფეხბედნიერი იყოს თქვენი მოსვლა ქართული სახელმწიფო მართველობაში!**

ლეონტი ბიწაძე,
ინჟინერ-ეკონომისტი

ძლიერი წვიმის შედეგად ბაგრატის ტაძარში წყალი ჩავიდა

ძლიერი წვიმის შედეგად ბაგრატის ტაძარში წყალი ჩავიდა. ამის შესახებ ჟურნალისტებს საპატრიარქოს ხუროთმოძღვრების, ხელოვნებისა და რესტავრაციის ცენტრის პრესმდივანმა თამარ კვანტალიანმა განუცხადა. ამგვარ ტრაგედიას არავინ გაუოცებია, რადგან ქართული საზოგადოება მიჩვეულია ნაჩქარევად აშენებული თუ გარემონტებული შენობა-ნაგებობების ნგრევას ჯერ კიდევ მის ექსპლუატაციაში გაშვებამდე. ასე იყო თბილისის აეროპორტში, რომელიც ლამის საქართველოს საზღვრებამდე ათრია ძლიერმა ქარმა...

მისივე ინფორმაციით, ვითარებაში გასარკვევად ბაგრატის ტაძრის ერთერთ მღვდელმსახურს დაუკავშირდა, რომელმაც განმარტა, რომ წყალი ტაძარში არა სახურავიდან არამედ სარკმლიდან ჩავიდა, თითქოს ამას რაიმე არსებითი მნიშვნელობა ჰქონდეს.

"არის რაღაც ტექნიკური პრობლემა, რომლის გამოსასწორებლადაც მშენებლები მუშაობენ", – დასძინა თამარ კვანტალიანმა. ჯერ, ახლადაშენებული პარლამენტის შენობაში წყალი რომ ჩადის, ის ვერ მოგვინელებია, ახლა კი ყოველივე ამ უბედურებას ბაგრატის ტაძარიც დაემატა...

ნამდვილად არ გვეგონა, თუ ასე მალე შეუდგებოდა წყალი ბაგრატის ტაძრის დამახინჯების ერთ-ერთ ინიციატორს, სააკაშვილის **"აღმაშენებლად"** მომნათვლელ მეღვინე კალისტრატეს...

ვივა, კუბა! ვავა, ცხაკაია...

(ირონიული სტრიქონები)

წერილის სათაურად გამოტანილი ფრაზა ერთ-ერთ საწყალ ძუკუს წამოსცდა 1963 წელს, როცა ავადსახსენებელმა ნიკიტა ხრუშჩოვმა საქართველოში ჩამოიყვანა მსოფლიო რევოლუციის ლიდერად აღიარებული საერთაშორისო დამნაშავე, კუბის ლიდერი ფიდელ კასტრო და ლამის მთელი საქართველოს ბიუჯეტი მიაფშვნა წვერებიანი მონსტრის მასპინძლობას. იგრძნო მაშინ ძუკუმ, რომ მთელი სამეგრელო ღომის, შემწვარი ქათმის, ტყემლის საწებელისა და სულგუნის გარეშე რჩებოდა და სწორედ ამიტომ აღმოხდა მწარედ: **"ვავა, ცხაკაია"**-ო.

მას შემდეგ ათწლეულები გავიდა და მეგრელ გლეხებს კვლავ გაუჩნდნენ ღომისა და სულგუნის მოცილეები, ნაციონალებისა და მათი **"ნეტარღიმილიანი ბელადის"** სააკაშვილისა და მისი თანამზრახველების სახით, რომელთაც ძირითად მიზნად ქვეყნის ძარცვა-გასხვისება განიზრახეს, რასაც პირადად მათთვის მრავალმილიონიანი მოგებები მოჰქონდა. კორუფცია ნაციონალთა სახელმწიფო პოლიტიკის განუყრელ ნაწილად იქცა, ქრთამმა კიდევ ერთხელ გაანათა ჯოჯოხეთად ქცეული საქართველო, ცოდვის დოლაბი დატრიალდა პატიოსანი მშრომელი კაცის თავზე...

მაგრამ, იქ სადაც სააკაშვილის მსახვრალი ხელი ვერ სწვდებოდა, მის მიერ ერთპიროვნულად დანიშნული გუბერნატორები **"აკვარახჭინებდნენ"** საქმეებს. უხვად მოედინებოდა მათ ჯიბეში ის არამი შემოსავალი, რომელიც ასევე უხვად მიედინებოდა ჩვენი ალალი შრომით შევსებული ჯიბეებიდან.

სახელმწიფო ერთ დიდ უსახურ ჯიბგირს დაემსგავსა, რომელიც ურცხვად აფათურებდა ხელს ჩვენს ჯიბეებში, უკანასკნელ კაპიკებს გვაცლიდა პირიდან, შიმშილით სიკვდილისათვის გვწირავდა. მართალია, **"ნაცებმა"** საპარლამენტო არჩევნები დიდი ანგარიშით წააგეს, მაგრამ მართლაც დიდი ჭეშმარიტება ყოფილა ხალხური თქმა: **"ჩვეულება რჯულზე უმტკიცესია"**-ო და სააკაშვილი და მისი თანამზრახველები კვლავაც აგრძელებენ სახელმწიფო ბიუჯეტის ერთპიროვნულად განკარგვას და ახლა ნაციონალთა ჯიბის ტელევიზიებს დაახლოებით 15 მილიონი ლარი დავალიანების ჩამოწერას უპირებენ, თუმცა იმაზე საუბარი არ სურთ, თუ როგორ დაუგროვდათ კომერციულ ტელევიზიებს სახელმწიფოს ამხელა ვალი. რიგით გადამხდელს ასი ლარის დავალიანების გულისთვის ასიათასობით ჯარიმას დააკისრებდნენ ხოლმე ფინანსური პოლიციის მესვეურები, თავიანთი ჯიბის ტელევიზიების მიერ ამხელა დავალიანების დაგროვება კი, რატომღაც, მხედველობიდან **"გამორჩათ"**.

აი, ასეთი კუდები რჩებათ სააკაშვილსა და ნაციონალებს და ამიტომაც ცდილობენ გუბერნატორთა შემადგენლობის გადახალისებას, რათა ეს კუდები წაშალონ, შემდგომი პასუხისმგებლობისაგან თავის დაძვრენის მიზნით...

ამიტომ, თბილისის მერიამ ლამის საკუთარი დამცავი მექანიზმის ჩამოაყალიბა, როცა დაცვის პოლიცია კერძო დაცვითი სტრუქტურით შეცვალა (გასაკვირი ამაში არაფერია, რადგან, მათ განკარგულებაში მყოფ ზონდერებს, რომლებიც ხალხის დასაშინებლად და მიტინგების დასარბევად ჰყავდათ მობილიზებული რურუების, ბასიშვილებისა და უდესიანების თავკაცობით, უმუშევრად ხომ არ დასტოვებდნენ). უსაქმოდ არც სააკაშვილი იჯდა: მან სამეგრელოს გუბერნატორად ახლახან სოფლის მეურნეობის მინისტრად დანიშნული, მაგრამ სავარძელგამოცლილი ზაზა გოროზია დააბრუნა, კახეთში გუბერნატორად ზურაბ ჭიაბერაშვილი დანიშნა, იმერეთი კი მამუკა ქაცარავას უკან დაბრუნებით **"გააბედნიერა"**.

როგორც იქნა გვეღირსა **"კვალიფიციური კადრები"** ადგილობრივი მმართველობის ორგანოებში, მაგრამ ახლა სადარდელი ისაა, თუ რა ეშველება საქართველოს სოფლის მეურნეობას თუნდაც იმ რამდენიმე დღის განმავლობაში, ვიდრე ამ მთავრობაში **"ქართული ოცნების"** კადრები მივლენ. საქართველოს სოფლის მეურნეობა ხომ ყოველთვის გამოირჩეოდა **"პროფესიონალი"** მინისტრების სიჭარბით. მაგალითად, ნაციონალი პეტრე ცისკარიშვილი დედალ და მამალ ძროხებს პირველივე შეხედვისთანავე არჩევდა ერთმანეთისაგან. მის შემდგომ მოსულ ბაკურ კვეზერელს ამ განსხვავების დაფიქსირება უჭირდა, მაგრამ, სამაგიეროდ, **"ცხვრების ნალების"** დამზადებისა და მარცვლეულის დარგის განვითარების **"უბადლო"** სპეციალისტად ითვლებოდა, ასევე ნაკლებ სარწმუნოა, რომ პროფესიით ექიმი ზაზა გოროზია გამოირჩეოდეს სოფლის მეურნეობისა და მენეჯმენტის ღრმა ცოდნით, და თუ რის საფუძველზე ვამტკიცებთ ამას, ქვემოთ მოგითხრობთ.

მოკლედ, ვაკანტური თანამდებობა იყოს, თორემ, სააკაშვილს მისი დაკომპლექტება არ გაუჭირდება, ისევე, როგორც არ გასჭირვებია, გარემოს დაცვის მინისტრად მომღერალ გოგა ხაჩიძის (თუ – გევორქ ხაჩიკიანის) დანიშვნა.

ამჯერად მსუბუქი გინების მოყვარულ კახელებსაც **"გაუმართლათ"**, რომელთაც სააკაშვილმა გუბერნატორად ზურაბ ჭიაბერაშვილი გაუმწესა. ეს ის **"ფალოსოფოსი"** ჭიაბერაშვილია, თბილისში აღმართული **"ქართლის დედა"** რომ გვიტირა, შემდეგი ისტორიული ფრაზით: **"მაგას რომ ხელში უკავია, ხმალი კი არა, მამაკაცის სასქესო ორგანოა"**-ო. მართლაც რომ გაგვიმართლა, თორემ ჭიაბერაშვილს რომ მტერზე საიერიშოდ მისული ხმალამოღებული ქართველები დაენახა, ალბათ წარმოიდგენთ, თუ რა ასოციაცია აღეძვროდა.

მოკლედ, არა მგონია, რომ ამით მთავრდებოდეს **"ტანგრძელი ფაშათ-ფაშას"** (სააკაშვილი) მიერ **"ტანმოკლე ფაშას"** (ჭიაბერაშვილი) გუბერნატორად დანიშვნის ეპოპეა და ვიდრე სააკაშვილი კვლავაც გაგრძელებს საქართველოს პრეზიდენტის ტახტზე თავის უბადრუკ მოღვაწეობას, კვლავაც გავხდებით უამრავი სკანდალური დანიშვნის, სახელმწიფოს ხარჯზე მათთვის სასურველი კომერციული სტრუქტურებისადმი დავალიანებების ჩამოწერისა და სხვა სკანდალური ფაქტების მოწმენი...

მოკლედ, საქართველოს ყველა კუთხეს თავისი სატკივარი შეატოვეს სააკაშვილმა და მისმა ნაციონალებმა, ჩვენ კი, კიდევ ერთი ჩვენი მიცვალებული დავიტიროთ და კვლავ სამეგრელოში დავბრუნდეთ!

რაც შეეხება **"გასოფლისმინისტრებულ"** ზაზა გოროზიას, ეს ის გოროზიაა, რომლის სამეგრელო-ზემოს-სვანეთის გუბერნატორად დანიშვნის შემდეგ მეგრელი გლეხების უმეტესობა საძოვრებისა და სახნავსათესი მიწების გარეშე დარჩა, რადგან გოროზიამ, **"ფაშათ-ფაშა"** სააკაშვილის ხელდასხმით მთელი ეს მიწები უცხოელებზე გაასხვის. უმიწოდ და უსასოოდ დარჩენილი მეგრელი გლეხები კი იძულებული გახდნენ სამშობლო მიეტოვებინათ და უცხოეთში გადახვეწილიყვნენ ლუკმაპურის საძიებლად. სამეგრელო მალე ლამის დაიცალა მოსახლეობისაგან – თითქმის ყოველი მეორე ოჯახის კარი სამუდამოდ თუ არა, დიდი ხნით მაინცაა გამოკეტილი, ბალახმა გადაიარა ხალხის ნატერფალებზე!..

ალბათ სწორედ მაშინ დასცდა მწარედ ემიგრანტობისათვის განწირულ მეგრელ კაცს: **"ვივა, გოროზია! ვავა, სამარგალო..."**, შემდეგ ცრემლიანი თვალები მოავლო მშობლიურ გარემოს და გულდადარდიანებულმა მიატოვა ოდაბადე. კაცმა არ იცის, რამდენ ასეთ შორეთში გადაკარგულ მეგრელს ესიზმრება დღეს ტეხურის ჭალები, მდინარე ცივში მოციაგე ახტუნებული კალმახები, **"ცაშკიბულას"** განუმეორებელი სანახები...

და, კიდევ ერთი დანაშაულებრივი ფაქტი, რომელიც უშუალოდ გოროზიას უკავშირდება!

აი, რა მოგვითხრო ახალგაზრდა ქართველმა არქიტექტორმა. შპს **"არტჯგუფის"** ერთ-ერთმა პროექტანტმა და ზუგდიდის ცენტრის რეკონსტრუქციის ავტორმა ლევან დავიდოვ-სოლოდაშვილმა: **"დაახლოებით ოთხი წელიწადი მოვანდომეთ ზუგდიდის ცენტრის რეკონსტრუქციის პროექტის შექმნას. გათვალისწინებული იქნა ყველა გარემოება, განსაკუთრებით კი ის, რომ არ უნდა დაჩრდილულიყო ქალაქის ისტორიული ნაწილი, ხელი არ უნდა გვეხლო რეაკრიაციული ზონისათვის. ეფექტურად ჩავატარეთ საველე სამუშაოები, მხედველობაში მივიღეთ და პროექტში დავაფიქსირეთ ყოველივე ნიუანსი, რაც ქალაქის სიძველეებსა და ახალ ნაგებობებს უნისონში მოიყვანდა ერთმანეთთან. კეთილსინდისიერად გადაგვიხადეს პროექტის შექმნის ღირებულება – 120.000 ლარი და ახლა მხოლოდ იმის მოლოდინში ვიყავით, რომ დღედღეზე დაიწყებოდა ჩვენი პროექტის რეალიზაცია..."**

მაგრამ ამაო აღმოჩნდა ახალგაზრდა არქიტექტორთა მოლოდინი, რადგან ზაზა გოროზიას, თურმე, საკუთარი მიზნები გააჩნდა. მან სოლოდაშვილის ჯგუფის მიერ შექმნილი უნაკლო პროექტი თაროზე შემოსდო, თავად კი დაუკავშირდა ესპანელ არქიტექტორთა ჯგუფს და ორ თვეში გააკეთებინა ახალი პროექტი, რომელშიც მათ თითქოსდა გადაუხადა 500.000 ლარი (ყოველი შემთხვევისათვის – საბუთებით ასეა).

სწორედ აქ აღიძვრის იმის **"გონივრული ეჭვი"**, რომ საქმე გვაქვს კორუფციულ გარიგებასთან, რადგან თუ ქართველმა არქიტექტორებმა ოთხი წლის განმავლობაში ჩატარებული ხდვა სამუშაოსა და უნაკლო პროექტის შექმნაში მიიღეს 120.000 ლარი, ვიდაც, გოროზიას მიერ მოწვეულმა გადამთიელებმა, რომელთაც ბევრი არაფერი შეუმატებიათ უკვე არსებული პროექტისათვის, და პირიქით, დაამახინჯეს კიდეც იგი, ორიოდ თვეში საქართველოს ბიუჯეტს **"აახიეს"** ნახევარი მილიონი ლარი. არსებული მდგომარეობით აუცილებლად უნდა დაინტერესდეს პროკურატურა, რომელსაც ჩვენ გაზეთის ამ ნომერს გადავუგზავნით, სისხლის სამართლის საქმის აღძვრის მოთხოვნით, რაც აშკარად იკვეთება ამ ხელოვნურად აბურდული დანაშაულებრივი სქემიდან.

შემდგომში კი მოვლენები ზუსტად ისე განვითარდა, როგორც რეალობაზე მახინჯი წარმოდგენის მქონე გოროზიას სურდა.

ცნობილია, რომ ბოლშევიკებმაც კი, რათა გამოერიცხათ დადიანების მამულში მოსახლეობის შეჭრა და მრავალსაუკუნოვანი ნაგებობისათვის ისტორიული მისიის შერყვნა, მის შემოგარენში სტადიონი ააშენეს და ამით მთელი ზონა ჩაკეტეს.

ზაზა გოროზია კი სხვანაირად ფიქრობდა და სწორედ მის კაბინეტში აუხსნეს ქართველ არქიტექტორებს, რომ ზუგდიდის ცენტრში მდებარე ისტორიულ ზონაში ფართობი არაკანონიერად გასხვისდა და გოროზიას იქ სასტუმროს აშენება უნდა, რაც ნიკო დადიანისეული ისტორიული სასახლის გადაკეთების ხარჯზე შესრულდებაო, რასაც ქართველი არქიტექტორები კატეგორიულად შეეწინააღმდეგენ. თურმე თვით იუსტიციის ყოფილმა მინისტრმა ზურაბ ადეიშვილმაც კი უთხრა გოროზიას, რომ სარეაკრიაციო ზონაში სასტუმროს აშენება არ შეიძლებაო, მაგრამ ვინ დაუჯერა!

გოროზიას მომდევნო ნაბიჯი იქნებოდა ნიკო დადიანის სასახლის გვერდით მრავალსართულიანი სასტუმროს აშენება. შემდეგ კი მან იუსტიციის სახლის მშენებლობა წამოიწყო, რომლის შენობა პრაქტიკულად ჩაკეტავდა ისტორიულ ლანდშაფტს და დაინტერესებული თვალისათვის უხილავად აქცევდა მას. სტადიონის დანგრევა და სხვაგან გადატანა ითვალისწინებდა არა უსახური ბუჩქნარის გაშენებას, როგორც ეს გოროზიამ და მისმა ესპანელმა არქიტექტორებმა გააკეთეს, არამედ უნიკალური ბოტანიკური ბაღის გაგრძელებას და ქალაქის ბულვართან შეერთებას.

ერთი სიტყვით, საქმის ისტორიულ და ესთეტიკურ მხარეზე რომ არაფერი ვთქვათ, სახეზეა კანონდარღვევათა მთელი ჯაჭვი, რითაც აუცილებლად უნდა დაინტერესდნენ სამართალდამცავები...

ამასობაში კი, უმუშევრობით, უსაქმობითა და შიმშილით გატანჯული ქართველები ერთიმეორის მოყოლებით მიდიან და მიდიან საქართველოდან. მოკლედ, მამელუქები აღარ დაელია საქართველოს, ოცდამეერთე საუკუნეშიც კი! თუმცა, იმედს აჩენს ის გარემოება, რომ ქვეყნის სათავეში ახალი პოლიტიკური ძალის მოსვლის შემდეგ შეინიშნება სამშობლოდან გადახვეწილ ქართველთა უკან დაბრუნების ტენდენცია, რაც უდავოდ გასახარელი და მისასალმებელია.

მამელუქები კი იმ სააკაშვილმა გვიმრავლა, რომლის ეთნიკური და სულიერი არაქართველობისათვის ჩვენ არაერთგზის გაგვისვია ხაზი. სწორედ ამან განაპირობა ის, რომ ზოგიერთი ვაისომეხის მიერ გაზეთ **"ილორის"** მთავარი რედაქტორი, თქვენი მონა-მორჩილი, სომეხთმოძულე ქსენოფობად გამომაცხადეს დიდ რეჟისორებთან რობერტ სტურუასა და რეზო ჩხეიძესთან ერთად. სიმართლე გითხრათ, ამან დიდად არ დამწყვიტა გული, რადგან ასეთ დიდ ქართველებთან ჩემი გვარის თუნდაც უარყოფით კონტექსტში მოხსენიება ფრიად საშურ და საამაყო საქმედ მიმაჩნია. მიხეილ სააკაშვილი კი კვლავაც აგრძელებს თავისი ანტიქართული საქმეების კეთებას (თუმცა, უკვე ნაკლები ინტენსივობით, რადგან მართვის ბერკეტის დიდი წილი უკვე გამოეცალა ხელიდან). აგრძელებს იმიტომ, რომ საქართველო და ქართველი ხალხი მას არასოდეს მიაჩნდა თავისად და იგი ყოველთვის **"სხვისი"** იყო მისთვის.

ქართველები კი ამბობენ: **"სხვას, სხვისი მკვდარი, მძინარე ეგონაო"**. დიახ, მართლაც ყურზე გვეძინა ქართველებს უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში, თორემ ვერც შევარდნაძე გვაკადრებდა ამდენ საძაგლობას და ვერც მისი პოლიტიკური პირმშო სააკაშვილი.

მაინც რატომ შეუჩინა დმერთმა საქართველოს ამდენი სიმახინჯე, რომლებიც ავადსახსენებელი წარსულის ნებისმიერ მთავარ ბოროტმოქმედთა გალერეას შეავსებდნენ?

ალბათ ჩვენი უდარდელობისა და გულარხეინობისათვის მოგვივლინა უფალმა ეს განსაცდელი.

მეორე ამგვარ განსაცდელს კი საქართველო ვეღარ გაუძლებს!

ამიტომაც, დროულად უნდა გავთავისუფლდეთ სააკაშვილის, გოროზიების და გოროზიებისნაირებისგან!

როლანდ ჯალაღანია,
"ფაზისი"-ს და "აია"-ს
აკადემიების ნამდვილი წევრი,
გაზეთ "ილორი"-ს მთავარი
რედაქტორი

ზუგდიდის იუსტიციის სახლის მშენებლობა, რომელიც სასწრაფოდ უნდა შეჩერდეს

საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარეს ილია მეორეს!

უწინარეს ყოვლისა, ღმერთს ვთხოვ, მაპატიოს, თუ რამეს ვცოდავ!

უწმინდესო და უნეტარესო!

წინასწარ გილოცავთ დაბადების მე-80 და აღსაყდრების 35-ე მოახლოებულ წლისთავს და გისურვებთ მრავალი წლის ჯანმრთელ, ბედნიერ სიცოცხლეს ქართველი ერის შემწედ და იმედად.

გთხოვთ პატიებას, რამე თუ, გაწუხებთ საერთო-ქართულ ინტერესებთან დაკავშირებულ ფრიად საჭირბოროტო საკითხზე.

გვჯერა თქვენი, როგორც საქართველოში სულიერების გადამრჩენისა, ეკლესიათა აღმაშენებლისა და ღვთის უპირველესი მსახურისა. გვწამს, ჯეროვნად განსჯით ჩვენს კადნიერებას და ყურად იღებთ თხოვნას დაყენებულ საკითხთან დაკავშირებით.

მოგეხსენებათ, მაღალმა ღმერთმა შექმნა მთელი სამყარო, მათ შორის, პლანეტა დედამიწა, ადამიანი, ხალხები და ენები. მანვე მოავლინა დედამიწაზე თავისი პირმშო – იესო ქრისტე, რომელიც ეწამა ცოდვილი კაცობრიობისათვის, და რომელმაც სულთმოფენობაზე ბრძანა, რომ ბიბლია თარგმნილიყო ყველა ენაზე, რათა ყველა ენაზე ექადაგათ ქრისტიანული სარწმუნოება და არც ერთი ენა არ გამქრალიყო დედამიწიდან.

რასაკვირველია, გვჯერა, რომ ღვთისგანვეა გაჩენილი კოლხური ენა და მისი უშუალო გაგრძელება, – მეგრული ენა, როგორც ერთ-ერთი ქართველური ენათაგანი, საკუთრივ ქართულ (ქართლურ), სვანურ და ლაზურ (ჭანურ) ენებთან ერთად, ერთიანი იაფეტური ენიდან რომ მომდინარეობენ დასაბამიდან.

ასევე გვჯერა, შემთხვევითი არ ყოფილა ის ფაქტი, რომ მარიამ ღვთისმშობელი კოლხურ ენაზე უმღეროდა დედის (დიდი ქალ-ღმერთის) საგალობელს – **„ნინენა“**-ს თავის აკვანში მწოლიარე ღვთიურ პირმშოს – იესო ქრისტეს, და ის ფაქტიც, რომ ყოველივე ამის გამო გადაურჩნენ გადაშენებას, მტერთაგან მუდამ დასაღუპად ხელყოფილი ქართულ-ქართველური ენები და მათ შორის მეგრული ენა.

რად ღირს მარტო ის ფაქტი, რომ კოლხები ანუ კოლხურ ენაზე მეტყველნი იყვნენ წმინდა ნინო კაბადოკიელი და წმინდა გორგი კაბადოკიელი.

რად ღირს ის ფაქტი, რომ კოლხურ ენაზე ქადაგებდნენ ქრისტიანულ სარწმუნოებას კოლხეთში, მისი პირველმქადაგებლები და აქედან დაიწყო ამ სარწმუნოების დამკვიდრება ქართულ-ქართველური ეთნოსის ხალხებში.

ბუნებრივი პირობების, მრავალნაირი კატაკლიზმების, ისტორიული ქარტეხილების, ჟამთა სვლის სიავეთა შედეგად მრავალგზის დაყოფილ-დანაწევრებული, ერთმანეთისაგან დაშორიშორისებული ქართულ-ქართველური ეთნოსის ხალხები, ლამის მთელი დედამიწის ზურგზე რომ იყვნენ მოდებულნი უშორეულეს წარსულში, ცალ-ცალკე ეწეოდნენ ცხოვრებას, ქმნიდნენ თავ-თავიანთ ენებს, აშენებდნენ სოფლებსა და ქალაქებს... მრავალგზის განიცადეს მათ განადგურება, დამცრობა, გადაშენების პირას დგომა... მაგრამ განგების ნებით გადარჩენილმა ქართულ-ქართველური ეთნოსის ხალხებმა, ამ ხალხების გარკვეულმა ნაწილმა, საბოლოოდ, თავი მოიყარეს მათს ისტორიულ ოდაბადესა თუ შურობუმუში ანუ ძირძველ მშობლიურ მიწა-წყალზე და ერთად განაგრძეს ცხოვრება და ბრძოლა არსებობისათვის. საკუთარი გენის ყივილით, მათ მოახდინეს ტომობრივი და ეროვნული კონსოლიდაცია, შექმნეს ერთიანი მშობლიური ენა – ქართული ენა, და სახელმწიფოებრიობა; რასაკვირველია, შეინარჩუნეს თავ-თავიანთი ტომობრივი (ზოგისთვის, ოდესღაც, მრავალი საუკუნეობით სახელმწიფოებრივი) ენებიც, ვითარცა (ასედაც იტყვიან ხოლმე) აკვნის ენები.

როგორც მსოფლიო ენათმეცნიერება აღიარებს, დიდი ენა, დედა ენა დიდ მდინარესა ჰგავს. როგორც დიდი მდინარე საზრდოობს და ძლიერდება თავისი შენაკადებით, პატარა მდინარეებითა და წყაროებით და დაშრებიან რა ისინი, შრება დიდი მდინარეც, ასევე, დედა ენა, დიდი ენა საზრდოობს მონათესავე ენებითა და დიალექტებით, და, მოკვდებიან რა ესენი, წყდება განვითარება დიდი ენისა და კვდება ისიც.

ამ მიზეზით მრავალი ენა გადაშენდა მიწის პირისაგან. შორს რომ არ წავიდეთ, ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში ლათინურ ენაზე მეტყველებდნენ, სწავლობდნენ, დისერტაციებს წერდნენ... მაგრამ ამ ენაზე, როგორც მშობლიურ ენაზე, დღეს არავინ მეტყველებს; ეს ენა მკვდარ ენად იქცა. იგი მხოლოდ აფთიაქებს შემორჩა წამლების სახელების სახით.

ქართული და ქართველური ენების სიკვდილის შემთხვევაში, ისინი ხომ არსად შემორჩებიან. სიკვდილი კი, თანაც ძალიან მალე, როგორც ხშირად გვესმის, მრავალ ენას უწერია. უკანასკნელ ხანს პრესაში დაუფარავად იწერება, რომ მსოფლიოში გამალებით მიმდინარე გლობალიზაციის პროცესების შედეგად 21-ე საუკუნეში მოსალოდნელია გადარჩეს დედამიწაზე არსებული ენების მხოლოდ 10 პროცენტი, ანუ 555 ენა, 5545 ენიდან.

ცნობილი ჭეშმარიტებაა: ენის, და კერძოდ, ეროვნული ენის,– როგორც საერთოდ ყოველგვარი ეროვნულის, – გადარჩენის ერთადერთი პირობაა ერის არსებობა, ერისა და ეროვნულობის შენარჩუნება და დაცვა. ამიტომაც ებრძვიან, ასე გამალებით, ყოველგვარ ეროვნულს გლობალისტები და მათი დამქაშები მთელ მსოფლიოში.

თუ არა ენათმეცნიერისთვის, სხვა ვისთვის შეიძლება ცნობილი იყოს, ყველაზე უკეთ, ყოველივე ზემოაღნიშნულის შესახებ?

და გასაკვირი ის არის, რომ სწორედაც ცალკეული ენათმეცნიერები გამოდიან ამა თუ იმ ენის (ენების) წინააღმდეგ და უბიძგებენ მას (მათ) გადაშენებისაკენ.

ცნობილია, რომ ჩვენს სინამდვილეში, საქართველოში, მავანთაგან, მრავალი საუკუნის მანძილზე, აშკარად თუ ფარულად იდევნება არენიდან მეგრული, სვანური და ლაზური ენები. მიზეზად, მუდამ, ერთიანი ეროვნული ინტერესები სახელდება. სინამდვილეში კი სულ სხვა რამესთან გვაქვს საქმე.

ვინ არ იცის, რომ აღმოსავლეთ საქართველოში თითქმის მუდამ მძლავრობდა შფოთი და განხეთქილება სამთავროებსა და სამეფოებს შორის. ამაზე ნათლად მეტყველებს ლევან სანიკიძის შრომები, მის მიერ აღწერილი „309 სირცხვილი“. სამეგრელო კი, მუდამ იყო ქართველთა გაერთიანების ცდაში, მუდამ ასრულებდა გამაერთიანებლის როლს, არასოდეს ცალკე სამეფოდ გამოყოფა არ უცდია, თუმცა ყველაზე მეტი შანსი სწორედ მას ჰქონდა. მან კარგად იცოდა ეროვნული მთლიანობის მნიშვნელობისა და აუცილებლობის შესახებ. თვით საბჭოთა პერიოდშიც, როცა ხელისუფლებას გათვალისწინებული ჰქონდა სამეგრელოს ავტონომიის შექმნა, იგი ამ აზრს არ თანაუგრძნობდა და ეს არც მომხდარა. ვერავინ დაასახელებს თუნდაც ერთ მეგრელს, რომელსაც საქართველოსაგან სამეგრელოს გამოყოფის სურვილი გამოეხატოს. ფსევდოპატრიოტი ქართველები (მ. შ. მეგრულენოვანნი) კი, სამეგრელოს მუდამ სეპარატიზმზე უკიჟინებენ. თვითონ იგონებენ ასეთს და თავადვე ებრძვიან მას. ამით იწერენ ქულებს და ხშირად ინადდებენ კიდეც ნასუფრალს ან გარკვეულ სკამებს ხელისუფლებაში, მეცნიერებაში და ა. შ. ყოველივე ამაზე მთელი წიგნები დაიწერება.

უკანასკნელ პერიოდში მეგრული ენის წინააღმდეგ აშკარა ბრძოლა გააჩაღეს ენათმეცნიერებმა: ტარიელ ფუტკარაძემ, თემურ გვანცელაძემ, მანანა ტაბიძემ და მიტროპოლიტმა ანანიამ (ჯაფარიძემ).

პირდაპირ მოგახსენებთ:

როგორც ჩვენთვის ცნობილია, მათ, მიტროპოლიტ ანანიას (ჯაფარიძის) ხელმძღვანელობით საქართველოს საპატრიარქოსთან დააარსეს ე. წ. ენათმეცნიერების განყოფილება და შექმნეს ცნობილი სამთა „თეორია“, რომლის მიხედვითაც მეგრული, ლაზური და სვანური ენებს კი არ წარმოადგენენ, არამედ ქართული ენის ისეთივე დიალექტებია, როგორიც ქართლური, კახური, გურული, ფშავური და სხვები არიან.

ცხადია, მეგრული, სვანური და ლაზური (ჭანური) ენებისთვის ენის სტატუსის წართმევას ისინი ესწრაფვიან იმ მიზნით, რომ ამ ენებს არ შეეხოთ ევროსაბჭოს კონვენცია მცირერიცხოვანი ხალხების, რეგიონალური და უმწერლობო ენების დაცვის შესახებ და ეს ენები დარჩნენ ყოველგვარი დაცვის გარეშე, სასიკვდილოდ განწირვისთვის. მათივე ძალისხმევით ამ ენების სწავლება ათ წელზე მეტია, რაც ამოღებულია უმაღლესი სასწავლებლების ფილოლოგიის ფაკულტეტის სასწავლო პროგრამიდანაც. აქამდე, როგორც კი საქართველოს მთავრობა გააუღერებდა სიტყვას ევროსაბჭოს კონვენციების რატიფიკაციის შესახებ, ტ. ფუტკარაძე და მისი თანამზრახველები ატეხდნენ ხოლმე ხმაურს, რომ ეს ანტიეროვნული საქმეა, და ისინიც უკან იხევდნენ.

თავიანთი ამბიციური ანტიმეცნიერული, იდეოლოგიურად ფრიად საშიში, აშკარად ანტიეროვნული, შოვინისტური და ფაშისტური თეორიის დასამტკიცებლად ისინი აქამდე არაფერს და არავის ერიდებიან; მიმართავენ ჭეშმარიტი და პატიოსანი ენათმეცნიერების მიმართ, საერთოდ მეგრელების მიმართ საზიზღარ ცილისწამებებს, შანტაჟს, დაშინებას; ჯაშუშურს უწოდებენ ევროსაბჭოს აღნიშნულ კონვენციებსაც და ა. შ.

რაც ესოდენ გასაკვირია, ისინი, მეგრელთ-მოძულეობით იმდენად არიან დაბრმავებული, რომ სრულიად არ ერიდებიან საკუთარ ენათმეცნიერულ პრესტიჟსაც და წარმოიდგინეთ, სინდისსაც კი.

არადა, არავითარი სპეციალური ენათმეცნიერული განათლება არ არის საჭირო იმისათვის, რომ ვერკვეოდეთ: მეგრული, ლაზური (ჭანური) და სვანური დიახაც წარმოადგენენ ცალკე დამოუკიდებელ ენებს, – მოძმე ქართველურ ენებს.

ნებისმიერი მეხუთე-მეექვსე კლასელი ბავშვისთვისაც უთუოდ ადვილი გასაგებია შემდეგი რეალობა:

მეგრული, ჭანური და სვანური რომ ენები არ იყვნენ და ქართულის ისეთივე დიალექტები იყვნენ, როგორიცაა კახური, იმერული, გურული და სხვა:

1) განა შეიძლება, შედგენილ იქნას მეგრულ-ქართული, სვანურ-ქართული, ლაზურ-ქართული, სვანურ-მეგრული და მისთანა ლექსიკონები, და რატომ არ შეიძლება ქართულ-ქართლური, კახურ-ქართული, კახურ-გურული, იმერულ-კახური და მისთანა ლექსიკონების შედგენა? ანდა:

2) რატომ ითარგმნება მეგრული, ლაზური და სვანური ქართულად და ასევე რატომ არ ითარგმნება ქართლური, კახური, გურული და სხვანი?

3) რატომ შეიძლება დაიწეროს ლექსები და შესრულდეს სიმღერები სვანურ, მეგრულ და ლაზურ ენებზე, და არ შეიძლება, იგივე, – გურულ, კახურ, ქართლურ და სხვა დიალექტებზე?

4) რატომ სჭირდება შესწავლა ქართულისა მეგრელს, ლაზს, სვანს და არ სჭირდება იგი ქართლელს, კახელს, იმერელს და სხვებს?

5) ვინმეს სმენია ან წაუკითხავს სადმე, ცნებები: კახური ენა, იმერული ენა და მისთანანი, და, ვის არ სმენია და არ წაუკითხავს ცნებები: მეგრული ენა, ჭანური ენა, სვანური ენა.

6) განა შემთხვევითია, რომ ენების ძალზე დიდ ნაწილში, საუკუნეების მანძილზე უმთავრეს სამეტყველო ორგანოს – ენას და მეტყველების საშუალებას ენას, ერთი და იგივე სახელები ჰქვია. მაგ.: ქართული ენა, ენა; მარგალური ნინა, ნინა; რუსსკიი იაზიკ, იაზიკ; ლაზური ნენა, ნენა და სხვა. რას დაარქმევენ, ამ თვალსაზრისით, მათ, კახურად, გურულად, ფშავურად და ასე შემდეგ, ისინი, ვინც მეგრულს, ლაზურსა და სვანურს ამათთან ათანაბრებენ?

აქ კომენტარები ზედმეტია. და მაინც, ერთ ფრიად დიდმნიშვნელოვან გარემოებაზეც:

როგორც ეს ჩვენი გამოკვლევებით არის წარმოჩენილი, **მეგრული ენა მსოფლიოს ენებს შორის გამორჩეულია ლექსიკის განსაკუთრებული, გასაოცარი, დიახ ფანტასტიკური სიმდიდრით. იგი 1 მილიარდ 410 მილიონზე მეტ სიტყვას ითვლის პარალელური, იშვიათად ხმარებადი და პოტენციურად შესაძლებელი ფორმებითურთ, საიდანაც, სავარაუდოდ, თანამედროვე მეგრულში მეტ-ნაკლები სიხშირით ხმარებადია ან შეიძლება იხმარებოდეს 500 მილიონი (თუ არა მეტი) სიტყვა. ამრიგად:**

7) სხვა რომ არა იყოს რა, განა შეიძლება, ასობით მილიონი სიტყვის მქონე ენა იყოს დიალექტი რომელიმე ათობით, გნებავთ, ასობით ათასი სიტყვის მქონე ენისა?

რაკი მეგრული ენის ლექსიკის სიმდიდრეს შევეხეთ, ძალიან მოკლედ მოგახსენებთ მის ზოგიერთ სხვა ღირსებებზეც.

მოგეხსენებათ, რომ ცივილიზებულმა ადამიანმა ზუსტად გაიანგარიშა დედამიწის, მზის, მთვარის, სხვა პლანეტების ზომები, მასები, დაშორებანი ერთმანეთისაგან, დათვალა მეგაგალაქტიკების ვარსკვლავთა რიცხვი და ა. შ. მაგრამ ვერა და ვერ წარმოაჩინა ენის წარმოშობის საფუძვლები. მეტიც, მან ენის წარმოშობის საკითხის შესწავლა შეუძლებლადაც კი გამოაცხადა. ამასთან, ენათმეცნიერებმა ჩათვალეს, რომ სიტყვები, საგანთა და სხვათა სახელები ადამიანის მიერ ხელოვნურად შემოღებული პირობითი ნიშნებია.

ამის მიხედვით, გამოდის, რომ ადამიანი ბუნებრივისა (სხეულებრივად) და ხელოვნურის (ენისა) რაღაც ნაერთს, კონგლომერატს წარმოადგენს.

მეგრული ენის მეცნიერულად შესწავლამ კი გვიჩვენა, რომ ამ ენაში ცოცხლად არის დაუნჯებული ენის (მოცემული ენის, ზოგადად ანუ საერთოდ ენის და სხვადასხვა ენის) წარმოშობისა და განვითარების საფუძვლები. კერძოდ, წარმოჩნდა, რომ საგნის (სხვა ობიექტური მონაცემის) სახელდებისა და ენის წარმოშობის საფუძველს წარმოადგენს ბუნებაში მოცემული ბგერებისადმი ანუ ბუნების საგნების მიერ გაღებული ბგერებისადმი ხმაბაძვითობა, რაც ადამიანს განგებამ დაანათლა ბუნების საგნებთან თანაცხოვრების პირობებში მათთან შეხმიანებისა და გარკვეული კომუნიკაციის დამყარებისათვის.

ენის წარმოშობის ბუნებითობის, კერძოდ ხმაბაძვითობის თეორიის აღიარება-დამტკიცებით, ჩვენ, წარმოვაჩინეთ ისიც, რომ ადამიანი მთლიანობაში ანუ სხეულებრივადაც და ენობრივადაც წარმოადგენს ერთიან ბუნებრივ ქმნილებას, შექმნილს იმავე უდიადესი ძალის მიერ, რომელმაც შექმნა მთელი სამყარო.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, ჩვენ დავამტკიცეთ, რომ ენის წარმოშობის პირობითობის (იგულისხმება ენობრივი ნიშნების ანუ სიტყვების წმინდა წყლის“ პირობითობა) თეორიის, იგივე შეთანხმების თეორიის აღიარება და ბუნებითობის თეორიის უარყოფა,– რაც გაბატონებული მოსაზრებაა მსოფლიო ენათმეცნიერებაში, – პრაქტიკულად, ნიშნავს ბუნების თვით იმ უდიადესი ძალის უარყოფას, რომელმაც შექმნა მთელი სამყარო, მათ შორის, ჩვენი დედამიწა, და, თვით ადამიანი, როგორც მეტყველი, მოაზროვნე და გონიერი არსება, ხატად და სახედ თავად ღმერთისა.

მსოფლიო ენათმეცნიერებაში, და არა მხოლოდ აქ, რა ხანია არსებობს განსხვავებული მოსაზრებანი სხვადასხვა ენის არსებობის შესახებ. ამის მიზეზად თვლიან იმას, რომ დედამიწაზე უნდა წარმოშობილიყო არა მხოლოდ ერთი, არამედ სხვადასხვა ენა სხვადასხვა ადგილას და თვით სხვადასხვა ეპოქაშიც კი. ეს მაშინ როდესაც ბიბლიის მიხედვით თავდაპირველად შეიქმნა ერთადერთი ენა.

ჩვენი მტკიცებულებები აღიარებაა იმისა, რომ ბიბლიის ეს გადმოცემა ჭეშმარიტებას წარმოადგენს, ვინაიდან დედამიწის ზურგზე არსებული ნებისმიერი ენა, რა დროსაც და რა ადგილასაც არ უნდა წარმოშობილიყო იგი, ისტორიულად, შექმნილია (მომდინარეობს) ერთი ენისაგან – ბუნების ენისაგან, რადგანაც ენის წარმოშობის საფუძველს წარმოადგენს ბუნებაში მოცემული ანუ ბუნების საგანთა მიერ გაღებული ბგერებისადმი ხმაბაძვითობა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სამეტყველო ბგერები წარმოადგენენ ბუნებაში მოცემული ბგერების ადამიანისეულ რეპროდუქციას, ანუ, რაც იგივეა, მსოფლიოს ენების ენობრივი ნიშნები ანუ სიტყვები შექმნილია ერთი საერთო მასალისაგან – ბუნებაში მოცემული ბგერებისაგან. და, კიდევ სხვანაირად და მოკლედ რომ ვთქვათ, პირველყოფილი მეტყველება – ეს იყო, განგების ნებით, ადამიანის მიერ ბუნებაში მოცემული ბგერებისადმი ხმამიბაძვის საფუძველზე წარმოქმნილი მეტყველება ერთ ენაზე – ბუნების ენაზე.

რაც შეეხება კითხვას, თუ რატომ ეწოდა ერთსა და იმავე საგანს სხვადასხვა სახელი სხვადასხვა ენაში ანუ რატომ გვაქვს სხვადასხვა ენა ადამიანებს, რაც ხელს უშლიდა საგნის სახელდებისა და ენის წარმოშობის ბუნებითობის თეორიის, კერძოდ, ხმაბაძვითობის თეორიის აღიარებას, იხსნება შემდეგი რეალობის წარმოჩენით: მართალია, ერთი და იმავე საგანი ყველგან, ჩვეულებრივ, ერთნაირ ბგერებს გამოსცემს და გამოსცემდა სხვა დროსაც, მაგრამ სხვადასხვა ადამიანები მათ აღიქვამდნენ და წარმოთქვამდნენ კიდეც რამდენადმე განსხვავებულად. ასე, მაგალითად, ის ბგერა, რომელიც ჩვენ ქართველებს და ჩვენს წინაპრებს გვესმით და ესმოდათ **ჭ**-თი, სლავებს და მათ წინაპრებს ესმით და ესმოდათ **ჩ**-თი. მათდამი ხმამიბაძვის საფუძველზე კი განვითარდა შესაბამისი ბგერების საწარმოთქმო ჩვევა ანუ საარტიკულაციო ბაზისი, და, მაშასადამე, შესაძლებელი გახდა სათანადო ბგერების წარმოშობა, რაც საფუძვლად დაედო საგანთა სხვადასხვაგვარად სახელდებას და სხვადასხვა ენის წარმოშობას, ენების სხვადასხვა ბგერითი შემადგენლობის შექმნის პირობებში.

ამრიგად, ღვთის ნებითა და შეწევნით, ჩვენ (ჩემთან ერთად მხედველობაში მყავს ჩემი თანაავტორი ქალიშვილი ცირა ძაძამიაც) მოგვეცა შესაძლებლობა წარმოგვეჩინა ენის წარმოშობის ჭეშმარიტი საფუძვლები ქართული ენის, იგივე ლაზარეს ენის, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, კერძოდ, ერთ-ერთი ქართველური ენის – მეგრული ენის მონაცემების საფუძველზე, სხვა ქართველური ენების, ასევე სხვა ენების მონაცემებთან შედარებითი ანალიზის საფუძველზეც.

(გაგრძელება მე-10 გვერდზე)

საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარეს ილია მეორეს!

(გაგრძელება მე-9 გვერდიდან)

რაც მეტად მნიშვნელოვანია, წარმოჩნდა, რომ თანამედროვე მეგრულ ენაში ცოცხლად არის დაუნჯებული ამ ენის ქართულ-ქართველური ენების, ზოგადად ანუ საერთოდ ენისა და სხვადასხვა ენის (მსოფლიოს ყველა ენის) წარმოშობისა და განვითარების საფუძვლები და მთელი თავგადასავალი ანუ ისტორია.

მეგრული ენა რომ გადაშენებულიყო, კაცობრიობა სამუდამოდ დაკარგავდა ენის წარმოშობის საიდუმლოებით მოცული ცხრაკლიტულის გასაღებს.

ღვთის განგებით, ახდა წმინდა იოანე-ზოსიმეს წინასწარმეტყველება: – ლაზარე აღსდგა! ლაზარეს ენა აღსდგა! ლაზარეს ენის (ქართულ-ქართველური ენების) მეშვეობით ეუწყა მსოფლიოს ყველა ენაზე მოლაპარაკეთ, ქვეყნიერების უდიდესი საიდუმლოებანი და, კერძოდ, ენის, – როგორც საგანთა უნივერსალური სამყაროს უნივერსალური მოდელის – წარმოშობის საიდუმლოება.

წარმოჩნდა ჭეშმარიტება, რომ მეგრული ენა, ლექსიკის კოლოსალური სიმდიდრისა და სიტყვების აღწერილობითი ხასიათის მეშვეობით წარმოადგენს საგანთა უნივერსალური სამყაროს უნივერსალურ მოდელს.

აღნიშნული და სხვა მონაცემების მიხედვით მეგრული ენა წარმოადგენს მსოფლიოს ნომერ პირველ საოცრებას.

მეგრული ენა, რომელიც უშუალო გაგრძელებაა კოლხური ენისა, – იმ საფუძველზე, რომ ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, უშუალო გაგრძელებაა იაფეტური (იგივე პროტოქართული) ენისა, – სხვა ქართველურ ენებთან ერთად, ისტორიულად, წარმოადგენს ადამუამიერ ენას, ადამის ენას. ადამისა და ადამის ენის ასაკი კი, დაახლოებით, 2 მილიონ წელს ითვლის. ამის დასტურია შემდეგი ფაქტები: 1. ადამის ნაშიერს, ადამიანი, მსოფლიოს ენებიდან, ქართულ-ქართველურ ენებში ჰქვია; 2. დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე ნაპოვნი უძველესი პირველყოფილი ადამიანების ჩონჩხების ასაკი, გერმანელი სპეციალისტების გაანგარიშებით, დაახლოებით 1 მილიონ 800 ათას წელს ითვლის და ეს ჩონჩხები კავკასიური (კოლხური) ტიპის ადამიანებისაა, რის გამოც იმავე მეცნიერებმა მათ, პირობითად, ზეზვა და მზია უწოდეს; 3. მეგრული ენის ლექსიკა მოიცავს კოლოსალურ, დიახ ფანტასტიკურ სიმდიდრეს, ითვლის 500 მილიონამდე სიტყვას და ამ მხრივ მას მსოფლიოს ვერც ერთი ენა ახლოსაც კი ვერ მიუვა.

აი, ასეთი ენის გაქრობას ესწრაფვიან მეგრელთმოძულენი, ვისაც ეს ეხებათ.

და ბოლოს:

მეგრული ენა დიდი წმინდანებისა და დიდი ღმერთების ენაა. კოლხები იყვნენ წმინდა გიორგი კაბადოკიელი და წმინდა გიორგი კაბადოკიელი. კოლხურ ენაზე უმღეროდა „ნინენას“ (დიდი ქალღმერთის საგალობელს) წმინდა მარიამი აკვანში მწოლიარე თავის ღვთიურ პირმშოს, ანუ დედით კოლხი იყო ღვთის პირმშო იესო ქრისტე. მზის ღმერთის ჰელიოსის ნაშიერი იყო კოლხეთის მეფე აიეტი, ასევე მისი და პასიფაე, – მეუღლე საბერძნეთის კუნძულ კრეტას მბრძანებლის მინოსისა (მინოსის სასახლის ნანგრევებში იქნა ნაპოვნი, ასი წლის წინათ, წარწერებიანი ფირფიტა, რაც ამ უკანასკნელად გ. კვაშილავამ ამოშიფრა და სწორედაც კოლხური „ნინენას“ ტექსტი აღმოჩნდა. კოლხებს კი, ჰეროდოტეს (V ს. ძვ. წ.), აპოლონიოს როდოსელისა და სხვათა გადმოცემით, „ოდესდაც დამწერლობა ჰქონდათ“. ეს სხვათა შორის); კოლხები იყვნენ ბერძნული პანთეონის ღმერთები: ზევსი, ჰერა და სხვ.

სავსებით ნათელია: იმის გამო, რომ კოლხეთში ქრისტიანულ სარწმუნოებას მისი პირველმქადაგებლები სწორედაც საკუთარ ენაზე – კოლხურ ენაზე ქადაგებდნენ, ბიბლია ამ ენაზე არ (ვერ) ითარგმნებოდა და არა იმიტომ, რომ მაშინ კოლხური ენა არ არსებობდა, როგორც ეს მიტროპოლიტ ანანიას (ჯაფარიძეს) სურს დაამტკიცოს და რაზეც ააგეს, ტ. ფუტკარაძემ და მისმა თანამზრახველმა მეგრელთმოძულეებმა, თავიანთი ცნობილი ახალი „თეორია“.

ამჟამად, მეგრულ, ლაზურ (ჭანურ) და სვანურ ენებზე მეტყველი ადამიანების რიცხვი დედამიწაზე, დაახლოებით, 10 მილიონს შეადგენს.

ეგრეთწოდებული სამთა „თეორია“, უპირობოდ ითვალისწინებს მეგრული, ლაზური და სვანური ენებისა და მათი მატარებელი ხალხების – 10 მილიონამდე ადამიანის – მიწის პირისაგან გაქრობას. ეს კი მხოლოდ მასშტაბებში ჩამორჩება ჰიტლერელი ფაშისტების ნახელავს.

აი, ამიტომაც არის, ტარიელ ფუტკარაძისა მისი ამფსონების ანტიმეცნიერული „თეორია“, – უაღრესად შოვინისტური, იდეურად მეტისმეტად საშიში, და აშკარად ფაშისტური თეორია.

განსაკუთრებით სამწუხაროა ის, რომ ამ თეორიას ბინა დაუმკვიდრებია საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიაში, კერძოდ, საპატრიარქოში, ე. წ. ენათმეცნიერების განყოფილების სახით, მიტროპოლიტი ანანიას (ჯაფარიძის) თავკაცობითა და მფარველობით.

უმორჩილესად გთხოვთ, უწმინდესო და უნეტარესო, დაუყოვნებლივ აღკვეთოთ საპატრიარქოში ცხვრის ტყავში გახვეული მგლების, იგივე მეგრელთმოძულე, ადამიანთმოძულე, ქრისტეს მცნების უარმყოფელი სატანისტების არსებობა! გევედრებით, მუხლებზე დაჩოქილი მონა თქვენი, აარიდეთ სრულიად საქართველოს მოსალოდნელი უბედურება, ვიდრე ძალიან გვიანი არ იქნება!

კიდევ ერთხელ გთხოვთ პატიებას, კადნიერებისათვის, უწმინდესო და უნეტარესო!

უაღრესი კრძალვით, მოწიწებითა და თქვენი დიდი კეთილდღეობის სურვილით.

მამანტი ძაძამია,
პროფესორი, აკადემიკოსი.
წალენჯიხა, ეწერი. 5 სექტემბერი, 2012 წ.

P.S. ერისა და ბერის საყურადღებოდ!

ისედაც დიდი ხნის ორჭოფობის შემდეგ დაწერილი ეს წერილი თუმცა მზად იყო, მაგრამ გაგზავნისგან თავს ვიკავებდი. ამასობაში გაზეთ **„ილორის“** ამა წლის 2 ოქტომბრის ნომერში (90) წავიკითხე გამაოგნებელი წერილი სათაურით: **„ჭეშმარიტებას ზურგშექცეული ნაძირალები“**. აი. რას ვკითხულობთ ამ წერილში, წინგამსწრებად:

წერილი, რომელიც მეგრელთმოძულეობით ცნობილმა ტარიელ ფუტკარაძემ მისწერა თავის ერთ-ერთ ინკოგნიტო მეგობარს:

„საქმე იმაშია, ჩემო... რომ ჩვენ არ უნდა შევცვალოთ პოზიცია. ყველამ მშვენივრად იცის, რომ მეგრული და სვანურიც ენებია და ჩვენი თეორიის საპირისპიროდ იმის დამტკიცება თუ მოახერხეს, ჩათვალე, რომ ქვეყანა თავზე დაგვექცევა. არც ერთი ნაბიჯით უკან არ უნდა დავიხიოთ და ვეცადოთ, რომ მივაღწიოთ მეგრულის დიალექტად საერთაშორისო აღიარებას. სვანური არ არის იმდენად საშიში, როგორც მეგრულია. ამიტომ, მცდარია თუ არა ჩვენი პოზიცია, ახლა უკან დახევა ქვეყნის ღალატის ტოლფასი იქნება. საპატრიარქო სრულად იზიარებს ჩვენს აზრს და მხარდაჭერას გვპირდება, რაც ჩვენი თეორიის აღიარების გარანტიაა. საპატრიარქოსთან დაპირისპირებას ერიდებიან ეს ახლადაღმოცენებული კუთხისტები, თორემ აქამდე გადაგვივლიდნენ.

აქ გემშვიდობები ჩემო მეგობარო, ღვთის მადლი გფარავდეს!

ტარიელი“.

წერილი, რომელიც ტარიელ ფუტკარაძის წერილის ადრესატმა-ინკოგნიტო მეგობარმა მისწერა თავის ასევე ინკოგნიტო მეგობარს:

„მოგესალმები! იძულებული ვარ ეს წერილი ინკოგნიტოდ მოგწერო, რადგან მასალა, რომელსაც ახლა გიგზავნი, იმდენად სკანდალურია, რომ ის პირადად მე მომწერა ტარიელ ფუტკარაძემ, მე კი გადავწყვიტე ხალხს სიმართლე გაეგო ამ ადამიანის შესახებ, მართალია, მეგობარს მიწოდებს, მაგრამ მე უკვე მიძნელდება მასთან მეგობრობა.

დიდი ბოდიშის მოხდით,

ავთანდილ ნს...“

ამათ მოსდევს მაკა გუგუჩიას **„ღია წერილი მეგრული ენის მოძულე ტარიელ ფუტკარაძეს“**, რომელშიც ავტორი საკმაოდ ამათრახებს ადრესატს.

ამის შემდეგ, შეიძლებოდა ტ. ფუტკარაძის პერსონა, – აგრერიგად არარაობად წარმოჩენის გამო, – სავსებით დავიწყებისთვის მიგვეცა, და ეს წერილიც არ გაგვეგზავნა თქვენთვის, საქმე რომ აგრერიგად მარტივად იყოს, უწმინდესო და უნეტარესო!

განგებამ უბიძგა თუ ეშმაკმა აცდუნა, ტ. ფუტკარაძემ, როგორც ვხედავთ, ინტერნეტით ანუ საქვეყნოდ წარმოაჩინა-ამხილა თავისი თავიც და დანარჩენი ნაძირალა ამფსონებიც, და ეს ხომ ყველაფერს ნათელს ჰფენს და დიდი ბედნიერებაცაა, მაგრამ დიდი, კატასტროფული უბედურებაა მისი იქვე მოცემული შემდეგი განაცხადი: **„საპატრიარქო სრულად იზიარებს ჩვენს აზრს და მხარდაჭერას გვპირდება, რაც ჩვენი თეორიის აღიარების გარანტიაა. საპატრიარქოსთან დაპირისპირებას ერიდებიან ეს ახლადაღმოცენებული კუთხისტები, თორემ აქამდე გადაგვივლიდნენ“.** აი, თურმე რა აძლევთ ამდენი გამბედაობის, თავხედობის, უზნეობისა და ფაშიზმის აშკარად გამოვლინების უნარს, ტ. ფუტკარაძესა და მის ამფსონებს, რათა **„ერთი ნაბიჯითაც არ დაიხიონ უკან და მიაღწიონ მეგრულის დიალექტად საერთაშორისო აღიარებას“**, ამით კი უბიძგონ მის (მასთანავე სვანურისა და ლაზურის, რომელთაც ზვარაკად სწირავენ მეგრულ ენას) და მათი მატარებელი ხალხების არენიდან გაქრობას.

უბედურება, უდიდესი უბედურება იმაშია, რომ ტ. ფუტკარაძის განაცხადში ის კი არ წერია, რომ საპატრიარქოში არიან ადამიანები, რომლებიც ჩვენს აზრს სრულად იზიარებენო, არამედ წერია, **„საპატრიარქო სრულად იზიარებსო“** და ა. შ.

ნუთუ, ეს მართალია!!!

აქამდე კი, ჩვენ ვიცოდით, რომ საპატრიარქოდან მათი თანამგრძნობი იყო მხოლოდ მიტროპოლიტი ანანია (ჯაფარიძე) და მისი მხარდაჭერით იყვნენ ესოდენ ძალმოცემულნი დაუძინებელი მეგრელთმოძულენი. ამის გამოც, გვეგონა (ეს, კვლავაც ასე გვინდა გვჯეროდეს), რომ თქვენ, ადრე, საკვირაო ეპისტოლეში (თანაც ორჯერ) შეგაპარეს გამოთქმა: **„ზოგიერთებს სურთ მეგრული, სვანური და ლაზური ცალკე ენებად გამოაცხადონ და ამის შემდეგ ხომ ორი ნაბიჯია დარჩენილი საქართველოს დაშლამდეო“.**

დიახ, უთუოდ შეგაპარეს საკვირაო ეპისტოლეში, უწმინდესო და უნეტარესო, თორემ თქვენ ხომ ძალიან კარგად იცით, რომ მეგრული, სვანური და ლაზური ენები მრავალი საუკუნის მანძილზე არსებობენ, – როგორც ცალკე დამოუკიდებელი ქართველური ენები, – მაგრამ საქართველო ამის გამო არ დაშლილა. არადა, ამ ხნის მანძილზე როგორ არ გაილეოდა ის ორი ნაბიჯი და როგორ არ აღსრულდებოდა ტარიელ ფუტკარაძისა და მისი ამფსონების ყბადაღებული სისულელე, და, როგორ არ **„დაექცეოდა მათ თავზე ქვეყანა“.**

ჩვენ, მეგრელები, ჩვენთვის ოდითგანვე დამახასიათებელი ღვთისმოყვარეობისა და კაცთმოყვარეობის მეოხებით, დიახაც ვიჩენდით, ვიჩენთ და მუდამჟამს გამოვიჩენთ კრძალულებას ანაფორიანი ჭეშმარიტი მღვდელმსახურისადმი და არა ყოველგვარი ანაფორიანისადმი, იმდენად, რამდენადაც ჩვენი უდიდესი კრძალულება სწორედაც ღმერთისადმია მიმართული.

ჩვენ არც მეგრელთმოძულე ანაფორიანი ანანიას მიმართ გამოგვიჩენია, აქამდე უკრძალველობა, მაგრამ ახლა, როდესაც ტარიელ ფუტკარაძემ განაცხადა, რომ მათს თეორიას მხარს უჭერს საპატრიარქოს არა მხოლოდ ერთი ან რამდენიმე წარმომადგენელი, არამედ სრულიად საპატრიარქო, – რაც წარმოუდგენლად, და, მისივე შეგნებულ მონაჩმახად მიგვაჩნია (ამგვარი თავხედური დამოწმებები ხომ მისთვის დამახასიათებელი მოვლენაა), – არ შეიძლებოდა გაეჩუმებულიყავით.

ტ. ფუტკარაძეც აღნიშნული განაცხადი რომ სინამდვილეს შეეფერებოდეს, განა ნაკლებად შემაზრზენი ფაქტი იქნებოდა იგი, ვიდრე ის, რაც ამას წინათ გამოვლინებულ იქნა საქართველოს პენიტენციალურ სისტემაში?

იქ გამოვლინებული შოკისმომგვრელი მოვლენა თუ შეეხებოდა 20.000-მდე პატიმარს, საპატრიარქოში მოკალათებული ადამიანთმოძულეთა ზრახვები, ხომ შეეხება შეეხება 10 მილიონამდე ადამიანს, მათს ყოფნა-არყოფნას?

საქართველოს ხელისუფლებამ, რომელსაც გამოუვლინდა არაადამიანური მოვლენა აღნიშნულ სისტემაში, მასზე თავადვე მოახდინა სწრაფი რეაგირება (სხვა საკითხია, თუ რამდენად ადეკვატურია იგი). ანალოგიურად მოველით სათანადო რეაგირებას საპატრიარქოსგან, და პირადად თქვენგან, უწმინდესო და უნეტარესო!

მეგრელების, საერთოდ კოლხების წინააღმდეგ ბრძოლა, მათი მოძულეობა და დევნა-დალაშქვრა გარეშე და შინაურ მტერთაგან რომ უშორეულესი წარსულიდან მომდინარე და დღღემდე დაუმთავრებელი ამბავია, ვინ არ იცის. შედეგად ის მივიღეთ, რომ თუკი ოდესდაც **„კოლხებს თითქმის მთელი მსოფლიო ეპყრათ“** (ჰეროდოტე, V ს. ძვ. წ.), ხოლო შემდგომში ფლობდნენ ტერიტორიას თვით შიდა ქართლის ჩათვლითაც კი – (ი. ჯავახიშვილი, დ. ბაქრაძე, ი. გოგებაშვილი), გვიან კი (II ს.-მდე ძვ. წ.) დღევანდელი იმერეთი და გურია მაინც მის განუყოფელ ნაწილს შეადგენდა, დღეს იგი დასავლეთ საქართველოში 6 პატარა რაიონსღა მოიცავს.

ძველი მოვლენებისათვის ახლა პასუხს ვერავის მოვთხოვთ, მაგრამ იქ მაინც, სადაც დავრჩი, და ძლივსღა გადავრჩი, დამაყენე, ძმაო!.. (ვისაც ეს გეხება) და დამანებე ჩემი აკვნის ენა, ტომობრივი ენის სახით, ანუ ისევე, როგორადაც ის გამაჩნია!.. რა მოხდა ისეთი, რომ მაინცდამაინც გინდა მისი, – მაშასადამე ჩემი, და ამ ენის მფლობელი ადამიანების – მიწის პირისაგან აღგვა?!!

გავიხსენოთ ფაქტები, ძალიან მოკლედ:

თავის დროზე, თავისი სამფლობელოდან გაძევებულ ქართლის ერისთავს ფარნავაზს (იქ მაშინ სამეფოც არ იყო) კოლხეთის მეფე ქუჯიმ დახმარება გაუწია, – მეფედ დასვა, ფარნავაზმა კი მალე ღალატით უპასუხა: **„შექმნა რა ქართული მწიგნობრობა, ყველგან განავრცო ქართულ ენა და ქართლსა შინა არა იზრახებოდა სხუა ენა, თვინიერ ქართულისა“** (მროველი). (ჩანს, უარყო და განდევნა არენიდან კოლხური დამწერლობაც, რაც ცხადია, მაშინ მხოლოდ სამეფო კარზე არსებობდა; იგი მხოლოდ სასულიერო პირთა – ქურუმთა – კუთვნილება იყო, და, მისით იყო დაწერილი, ჯერ კიდევ 7.000 წლის წინათ, უძველესი საღვთო (სიბრძნის) წიგნი **„ეფუთი“**).

გადმოვინაცვლოთ აქეთ, ჩვენი წინაპრებისა და ჩვენს დრომდე:

„მეგრელთა საქმე“, „მეგრული სეპარატიზმი“, „მაფალუისტები“, „ჩხოუშიაელობა“ და ბოლოს **„პროვინციული ფაშიზმი“**, – აი, რა სახელწოდებებითაც ნათლავდნენ, მეგრელთმოძულეები, სამეგრელოში არასდროს არსებულ, არავის გულშიაც არ გავლებულ **„მეგრულ სეპარატიზმს“.**

ეს იყო ფსევდოპატრიოტი მომეცნიერო სწავლულების – ენათმეცნიერების, ისტორიკოსების და სხვათა წინსვლის საშუალებაც, და, არც თუ იშვიათად, ხელისუფალთა მიერ თავიანთი შერყეული ძალაუფლების შენარჩუნება-განმტკიცების საშუალებაც (არაფერს ვამბობთ მწირი გონებისა ადამიანებზე, რომლებიც ნებით თუ უნებლიედ ეგებოდნენ ან ეგებიან ხოლმე მათ მიერ გადაგდებულ ანკესზე.

ვის არ ახსოვს, თავის დროზე, ქვეყნის პირველი პირის (ე. შ.) სატელევიზიო განაცხადი: **„ამ მეგრელებს მე თვითონ ჩემი ხელით დავსერავ და ჭრილობაში მარილს ჩავყრი“**-ო, რაც მეორე პირმა (ჯ. ი.) ასე დააკონკრეტა: **„ეს მეგრელები უნდა ამოვხოცოთ და მათ ადგილას სხვა ხალხი უნდა დავასახლოთ“**-ო.

ქვეყნის ბოლო პერიოდის ხელისუფალთათვის უფრო დიდი (საგარეო) საფრთხის არსებობის მოშველიების შესაძლებლობისა და **„მეგრული სეპარატიზმის“** ნაკლებ საფრთხედ წარმოჩენის მიუხედავად, ტ. ფუტკარაძემ და მისმა ამფსონებმა არა თუ არ შეანელეს მათი დაუღალავი ბრძოლა ქართველური ენებისა და მათი მატარებელი ხალხების წინააღმდეგ, არამედ გააძლიერეს კიდეც და მანამდევ არ მოისვენეს, სანამ ამ საქმეში ჩირქი საპატრიარქოსაც არ მოსცხეს და, საბოლოოდ, საკუთარი ბინძური სახეც სრულად არ წარმოაჩინეს – ვიდრე საკუთარი თავი ბოლომდე არ ამხილეს.

ვაი, სირცხვილო! სად არის შენი სიწითლე! სად არის ელემენტი მორალისა, ზნეობისა, კაცობისა?!

„რაცა ღმერთსა არა სწადდეს, არა საქმე არ იქნების“-ო – ღაღადებს ქართული სიბრძნე. ეს წერილიც ალბათ ამან განაპირობა.

კიდევ ერთხელ გთხოვ მიტევებას, თუ რამე შევცოდე, დიდო ღმერთო!

შემინდე მკრეხელობა, უწმინდესო და უნეტარესო!

იცოცხლე ბედნიერად, მრავალჟამიერ!

მამანტი ძაძამია,
კოლხური კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისა და დაცვის ასოციაციის პრეზიდენტი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია „აია“-ს პრეზიდენტი. 7 აკადემიის ნამდვილი წევრი, აკადემიკოსი, 5 უნივერსიტეტის საპატიო პროფესორი.

ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘ ᲙᲐᲪᲘ ᲡᲐᲛᲐᲚᲐᲕᲘᲓᲐᲜ ᲢᲐᲚᲐᲮᲘᲡ ᲡᲠᲝᲚᲐᲡ ᲐᲠ ᲘᲙᲘᲡᲠᲔᲑᲓᲐ

(ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲨᲘ "ᲡᲐᲛᲔᲒᲠᲔᲚᲝ", №8, 2012 ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲘ ᲔᲠᲗᲘ ᲣᲡᲐᲮᲔᲚᲝ ᲬᲔᲠᲘᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ)

ნებისმიერმა საშუალო განათლების მქონე ადამიანმა იცის, რომ იმპერიული ძალების არსებობისა და მოქმედების პრინციპი **„გათიშე და იბატონე"**-ა; იცის, რომ დაშლილ-დაქუცმაცებული ქვეყნის იმპერიული ძალების გავლენის ქვეშ მოქცევა ძალზე ადვილია; ვერ იშლის თავის მგლურ თვისებებს, თორემ იმპერიულმა ძალებმაც ბრწყინვალედ იცის, რომ ასეთი ქმედებები დიდი უსამართლობაა. მით უმეტეს, თქვენ და თქვენმა თანამოაზრეებმა, საქართველოს ისტორიის უსირცხვილოდ გამყალბებლებმა და ამით ქვეყნის ძლიერების ძირგამომთხრელებმა ბრწყინვალედ იცით, რომ თქვენი საქმიანობაც ერისა და ღმერთის წინაშე უდიდესი დანაშაულია, მაგრამ საქართველოს ყალბი ისტორიის შემოქმედთ ფეხებში ებლანდებათ შეუვალი სინამდვილე – **ადამურ-იაფეტურ-იბერიული (მეგრული) ენის პროტოქართულობა და კაცობრიობის დასაბამიდან მომდინარეობა. მეგრი** იბერის ცინიკურად სახელშეცვლილი ფორმაა (იბერი იგერი ეგერი ეგრი მეგრი).

რაკი, თქვენი გამოკვლევით, პროფ. ა. ცაგარელის (ის ს. კასპიდან იყო. სამჯერ ჩავიდა სამეგრელოში მივლინებით, რომ შეესწავლა მეგრული ენა, რომლის შემდეგ დაწერა **„მეგრული ეტიუდები"**. ის იყო უპატიოსნესი მეცნიერი და დიდი პასუხისმგებლობით გამოიკვლია ჭეშმარიტებაც. რა თქმა უნდა, ეს არ მოსწონდა საქართველოში მყარად დამკვიდრებულ ანტიეროვნულ ძალებს, მაგრამ ქართველმა ხალხმა მას ღირსეული პატივი მიაგო და მთაწმინდის პანთეონში მიუჩინა სამარადისო განსასვენებელი) საქციელი (მეგრული ენის – ენად აღიარება) დიდი ილიას და მის თანამებრძოლთა მიერ **„ღალატად იქნა შერაცხული"**, ისიც გეცოდინებათ, რომ **„ღალატისთვის"** მოკლეს თქვენნაირმა **„ქართული ენის ქომაგებმა"**, გაურკვეველ ვითარებაში გარდაცვლილი – პროფ. იოსებ ყიფშიძე, უნიჭიერესი მეცნიერი, 37 წლის ენერგიით სავსე ახალგაზრდა კაცი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი, რომელმაც პეტერბურგის უნივერსიტეტში მუშაობისას, რუსეთის იმპერიის მესვეურთა დავალებით, მაგრამ მეცნიერული სინდისიერებით შეისწავლა და დაწერა წიგნი **„Грамматика Мингрельскаго (Иверьскаго) языка"**.

მაგრამ, ბატონო ტარიელ ფუტკარაძევ, ჩვენ უფრო გვაინტერესებს, თქვენ და თქვენს თანამოაზრეებს, ქართველი ერის ისტორიის უმოწყალოდ გამყალბებლებს, ჩვენი სალიტერატურო ენის დაშლის შიში გაწუხებთ, თუ ქართველ მეცნიერთა მიერ მეგრული ენის ენად აღიარების შემთხვევაში, მსოფლიოს საენათმეცნიერო საზოგადოება დაინტერესდება ამ ენის ფენომენით და გამოაშკარავდება, რომ ე.წ. ქართული ენა უფრო იბერიულია (მეგრულია), ვიდრე ქართლური და არაკანონზომიერად, არასამართლიანად ჰქვია არა **იბერიული**, არამედ **ქართული** (ეს სამართლიანად ეჩვენება მხოლოდ იმათ, ვისაც არაფერი ესმის მეგრული ენისა), რომლის შემდეგ, ბუნებრივია, ბევრ ცრუ მეცნიერს წყალში ჩაეყრება ცრუ მეცნიერების განვითარებისათვის მრავალი წლის განმავლობაში გაწეული **„ღვაწლი"**.

ასე, რომ არ იყოს, ეროვნული წარმოშობის ლექსიკას ძირისძირამდე შეისწავლიდა **ქართლური** და არა **მეგრული** (იბერიული).

ასე, რომ არ იყოს, ავტორიტეტთა გამონათქვამებს (ისინი არცერთი არ ყოფილა ღმერთი და მათი უშეცდომობაც გამორიცხული არ არის) და მათაც თავისებურად ინტერპრეტირებულს კი არ მიაწვდიდით საზოგადოებას, არამედ ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, ენათმეცნიერს სინდისის ქენჯნა შეგაწუხებდათ და არგუმენტირებულად, წმინდაენათმეცნიერულად სცდიდით მეგრულის ქართულთან კავშირის, მისი კილოკავურობის, თუ გლოტოგონიურობის დადგენას. მაგრამ ამას სჭირდება შეუვალი მეცნიერული სინდისი, ჭეშმარიტების წვდომაში დაუოკებელი სურვილი და განზრახვა, რაც, როგორც გეტყობათ, ღმერთს თქვენთვის არ მოუმადლებია, თორემ ანონიმურობას და ყურცქვიტობას კი არ იკისრებდით და სირაქლემას პოზაში დამდგარი არ დაუწყებდით სამეგრელოს ტალახის სროლას, ამასთან, არ შეეცდებოდით ისეთი ილუზიის შექმნას, თითქოსდა, არაფერი გსმენოდეთ. გ-თ **ილორში** გამოქვეყნებულ ჩემს ღია წერილზე თქვენი მისამართით, არამედ უპასუხებდით კითხვებს:

– თუ სახელმწიფოებრივი აზროვნება გაგაჩნიათ, თუ გსურთ სამართლიანი და ერთიანი მონოლითური სახელმწიფოს შექმნა, თუ მიზანმიმართულად არ იბრძვით ქართველი ერის დაშლა-დაქუცმაცებისა და კოლხ-იბერების, საბოლოოდ, მოსპობისათვის და, ბოლოსდაბოლოს, თუ კოლხ-იბერები მშობლიურად მიგაჩნიათ და არა უცხო ტომელებად, ამასთან, თუ თვითონ ქართველები ხართ, რატომ ცდილობთ საკაცობრიო მნიშვნელობის კოლხურ-იბერიული მონაპოვრების საგულდაგულოდ მიჩქმალვას და ამ მონაპოვრების, ყველა შესაძლო შემთხვევაში, მხოლოდ ქართებისთვის მიწერას, როცა ეს მონაპოვრები მოპოვებულია იბერთა დიფერენციაცია-დივერგენციის დაწყებამდე და ბუნებრივია, ყველაფერი ქართებსაც თანაბრად ეკუთვნის, ხოლო ეთნიკური სახელწოდება **ქართი** გაჩნდა არაუადრეს ახ.წ.აღ. II საუკუნისა და სახელმწიფოებრიობა IX საუკუნის ბოლომდე აღარ ჰქონია, ხოლო იბერია და იბერიული ცივილიზაცია ცნობილია ათასწლეულობით წინარე ხანიდან და **„ვრცელდებოდა პირინეიდან ინდოეთამდე ტერიტორიაზე"?**

– თუ ფარნავაზის ეპოქიდან **ქართლური** ენა, სახელმწიფო და სამწერლობო ენა იყო, მაინცდამაინც ეგრის-აფხაზეთისა და ქართლის გაერთიანების (1008წ.), ანუ ქართლური ენისთვის საერთო სახელმწიფო ენის სტატუსის მინიჭების შემდეგ, პეტრიწის წინარე ხანაში, რატომ მომრავლდნენ უნიჭო და უმეცარი მთარგმნელები, რომელთა თარგმანებს შორის „შეუსაბამობათა უსაზღვროობა დაულეველი იყო", ხოლო ასეთს მანამდე არასოდეს ჰქონია ადგილი?

– თუ ქართული ენა ფარნავაზის ეპოქიდან სახელმწიფო და სამწერლობო ენა იყო, რატომ დარჩა პეტრიწის ეპოქამდე (1075-1125), თოთხმეტი საუკუნის განმავლობაში, მდაბიოთა ენად, როცა პეტრიწის ეპოქიდან რუსთაველის ეპოქამდე, ერთ საუკუნეში, ისეთი რეფორმის გატარება ყოფილა შესაძლებელი, რომ მდაბიოთა ენა კლასიკურ ენად ქცეულიყო?

– თუ **„წმინდა შუშანიკის მარტვილობა"** და სხვა წერილობითი ძეგლები დედანში, V საუკუნეში ქართულ ენაზე დაწერილი ძეგლებია, რომლებშიც ძველი ქართული ენის არასპეციალისტისთვისაც არაფერია გაუგებარი, ხოლო **ენა** ექვსი საუკუნის შემდეგ მცხოვრები უგანათლებულესი პეტრიწისა, რომელმაც იკისრა ქართული ენის რეფორმა, 50% გაუგებარია და თარგმნა მოითხოვა, რატომ დამდაბლდა და გაუხეშდა მდაბიოთა ენამდე, როცა ქართლმა პეტრიწამდე ორი საუკუნით ადრე მიიღო დამოუკიდებელი სამეფოს სტატუსი (888, თუ 899წ.) და კანონზომიერება მოითხოვდა მის განვითარებას?

– თუ დავუშვებთ, იბერები და ქართები, როგორც ცნობილი მეცნიერი ანდრია აფაქიძე ირწმუნება, ეთნიკურად ერთი და იგივე იყო, ხოლო მათი სამეტყველო ენა ქართული, რატომ გამოეყვნენ ქართები იბერებს ახ.წ.აღ. II საუკუნეში და ექვსი მეფის მეფობის განმავლობაში აღარ ემორჩილებოდნენ?

– თუ ფარნავაზის ეპოქიდან ქართული ენა სახელმწიფო და სამწერლობო ენა იყო, რატომ ერქვა ფარნავაზის სამეფო ქვეყანას **იბერია**?

– თუ პეტრე იბერის მშობლიური ენა ქართული იყო, რატომ გააყოლეს ბიზანტიაში, 11 წლის ყრმას, იოანე ლაზი, რომ მშობლიური ენა არ დავიწყებოდა? ნუთუ ქართლში ვერ მოიძებნა მშობლიური ენის ლაზზე უკეთ მცოდნე?

– თუ მეგრული (იბერიული) ქართული ენის კილოკავია, საიდან და როგორ განვითარდა კილოკავს ძირეულ ენაზე **მრავალჯერ** მეტი საგფიქსაციო საშუალებები და, შესაბამისად, **მრავალათასჯერ** მეტი ლექსიკური მარაგი? უძველეს ხანაში თვით ქართლური ხომ არ იყო იბერიულის კილოკავი?

თუ ფარნავაზის დროიდან და, როგორც ზოგ მეცნიერს მიაჩნია, ბევრად ადრე ქართული ენა სახელმწიფო და სამწერლობო ენა იყო, რატომ ამტკიცებს თვით ე.წ. ქართული ანბანი (მხედრულიცა და ასომთავრულიც) არა ქართლურ, არამედ კოლხურ-იბერიულ წარმომავლობას?

მეტი არ იყოს ჩემი მტერი, ბატონო ტარიელ, რამდენიც თქვენ ამ კითხვებს გასცეთ პასუხი.

ᲙᲣᲙᲣᲠᲘ ᲤᲘᲤᲘᲐ,
„ᲤᲐᲖᲘᲡᲘᲡᲐ" ᲓᲐ „ᲐᲘᲐᲡ"
ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲘ

ᲣᲐᲛᲠᲐᲕ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲬᲧᲐᲚᲘ ᲑᲔᲜᲖᲘᲜᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲘᲖᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲬᲕᲐᲕᲖᲔ ᲑᲔᲕᲠᲐᲓ ᲫᲕᲘᲠᲘ ᲦᲘᲠᲡ!

ჩვენი გაზეთის მკითხველებს წარმოვუდგენთ ინფორმაციას საქართველოდან სასმელი წყლის აზერბაიჯანში გატანის თაობაზე, რაც დღესაც ამოუხსნელ ფენომენად რჩება ქართული ეკონომიკისათვის, რადგან არავინ იცის, აქვს თუ არა ამ გარიგებიდან რაიმე სარგებელი საქართველოს მხარეს, თუ სარგებელს ნახულობდა მხოლოდ საკაშვილი და მისი სომხური ნაცბანდა.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ დღეს მსოფლიოს მრავალი რეგიონი, განსაკუთრებით არაბული სამყარო, სასმელი წყლის მწვავე დეფიციტს განიცდის, რაც მნიშვნელოვნად ზრდის ფასებს ამ სასიცოცხლოდ აუცილებელ პროდუქტზე. არაბეთის ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად, 1 ლიტრი სასმელი წყლის ღირებულება სამ დოლარსაც კი აჭარბებს. სასმელის წყლის დეფიციტის მქონე რეგიონებს შორისაა ჩვენი მეზობელი აზერბაიჯანის რესპუბლიკაც, რომელიც, მართლაც, გამორჩეულად მდიდარია ნავთობისა და გაზის საბადოებით, მაგრამ მოკლებულია როგორც წყალუხვ მდინარეებს, ასევე გრუნტის წყლების მოსახლეობისათვის საკმარის რესურსებს. აქედან გამოდინარე, აზერბაიჯანი იძულებულია საზღვარგარეთ მოიძიოს მტკნარი წყლის რესურსებით მდიდარი ტერიტორიები, მაგალითად საქართველოს სახით.

ამ პრობლემის მოსაგვარებლად ჯერ კიდევ 50-იან წლებში აზერბაიჯანულმა მხარემ საქართველოს მთავრობის თანხმობით სართიჭალის ტერიტორიაზე, მდ. იორზე ააგო საკაპტაჟო ნაგებობა, რომლის მიზანი იყო მდ. ივრის ფილტრატების დაჭერა და მისი ერთი ნაკადის მიწოდება ბალბიანის (საქართველო) გამანაწილებელი უბნისაკენ, მეორის კი ჯეირან ჩოლის (აზერბაიჯანი) საძოვრებისათვის.

სამწუხაროდ სისტემამ სულ რამოდენიმე წელიწადს იმუშავა და წყალმიმღები ხვრელების თიხური ფრაქციებით გაბიდვნის გამო დაკარგა პირვანდელი ფუნქცია.

უნდა აღინიშნოს რომ იმ გარემოების გამო, რომ. მდ. იორი ტრანსსასაზღვრო ობიექტის სტატუსს ატარებს, მისი წყლები, როგორც ზედაპირული ასევე ფილტრატები პარიტეტულ საწყისებზე უნდა გადანაწილდეს მფლობელ ქვეყნებს შორის.

ისარგებლა რა აღნიშნული გარემოებით, აზერბაიჯანულმა მხარემ საქართველოს მთავრობის ნებართვით 60-იან წლებში მდ. ივრის მარცხენა სანაპიროზე გაიყვანა მილოვანი წყალმიმღები, რომელმაც შეკრიბა არა მდ. ივრის ფილტრატები, არამედ სართიჭალის აუზის ფარგლებში კომპაქტურად განლაგებული დაუნაწევრებელი მეოთხეული ნალექების წყალშემცველი ჰორიზონტის წყლები. ეს წყლები ადრე აგებული დიუკერის მეშვეობით თვითდენით იქნა მიწოდებული გამანაწილებელ კამერაში, იქიდან კი ჯეირან ჩოლის საძოვრებზე.

აზერბაიჯანის მხარე აცხადებდა პრეტენზიას წყლის უფასო მიღებაზე, რადგან თვლიდა , რომ ეს წყალი მდ. იორის ფილტრატია, ხოლო რადგან მდ. იორი ტრანსსასაზღვრო წყლის სტატუსს ატარებს, აქედან გამომდინარე მისი ფილტრატიც ტრანსსასაზღვრო პრივილეგიებით სარგებლობს, რაც გამორიცხავს საქართველოს მხრიდან რაიმე პრეტენზიის დაყენებას. შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელსაც უნდა დაედგინა ამ წყლის წარმომავლობის საკითხი. 1997 წლის 15-16 აპრილს თბილისში ჩამოვიდა აზერბაიჯანის დელეგაცია, რომელშიც შედიოდნენ: ნ. კაზიბეკოვი (აზერბაიჯანის მელიორაციისა და წყლის მეურნეობის კომიტეტის თავჯდომარის მოადგილე), მ. იმამალიევა (მელიორაციისა და წყლის მეურნეობის კომიტეტის მთავარი სამმართველოს უფროსი) და ა. ალეკპეროვი (აზერბაიჯანის გეოლოგიისა და მინერალური რესურსების სახელმწიფო კომიტეტის ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის სამმართველოს უფროსი). საქართველოს მხარეს წარმოადგენდნენ იუსტიციის მინისტრის მოადგილე ვ. გვარამია, საქ. გეოლოგიის სახელმწიფო დეპარტამენტის თავჯდომარე თ. ჯანელიძე, შპს **„უდაბნო"**-ს პრეზიდენტი გ. უსტიაშვილი, **„ჰიდროინჟგეო"**-ს დირექტორის მოადგილე ჯ. გაბეჩავა და მელიორაციისა და წყლის მეურნეობის დეპარტამენტის თავჯდომარე ტ. ჩიკვაიძე. ადგილზე შემოწმებით კომისიამ დაადგინა, რომ სართიჭალის წყალშემკრები სისტემის შევსება ხდება **„არამდინარისეული წარმოშობის წყლებით და მას არ შეიძლება მიენიჭოს ტრანსსასაზღვრო საწყლოსნო ობიექტისსტატუსი"**.

აღნიშნული დასკვნა გაფორმდა სათანადო ოქმის (1997 წლის 15-16 აპრილი) სახით რომელსაც ხელი მოაწერეს, აზერბაიჯანის მხრიდან – ნ. კაზიბეკოვმა. საქართველოს მხრიდან კი ვ. გვარამიამ.

როგორც ჩანს ამგვარმა დასკვნამ არ დააკმაყოფილა აზერბაიჯანული მხარე და მათ კვლავ დააყენეს სართიჭალის წყალშემკრები კამერების შემავსებელი წყლის წარმომავლობის საკითხი. ეს პოზიცია აისახა ოქმში **„წყლის რესურსებით სარგებლობის შესახებ საქართველოს და აზერბაიჯანის სამთავრობო დელეგაციების მოლაპარაკებათა შედეგები, რომელიც მიღწეულია 1997 წლის 16-27 დეკემბერში"** აღნიშნულ ოქმს საქართველოს მხრიდან ხელი მოაწერა სახელმწიფო მინისტრმა ბატონმა ნ. ლეკიშვილმა, აზერბაიჯანის მთავრობის სახელით კი ბატონმა რასიმ-ზადემ ამ ოქმის მე-5 პუნქტში აღნიშნულია:

„მხარეები შეთანხმდნენ, რომ 1998 წლის 15 თებერვლამდე, ექსპერტების მონაწილეობით დაადგინონ სართიჭალის წყალშემკრებ სისტემაში შემავალი წყლის წარმომავლობა, რათა დადგენილ იქნას მისი სტატუსი (ტრანსსასაზღვრო, არატრანსსასაზღვრო)". ამ საკითხის გადასაწყვეტად შეიქმნა ახალი კომისია შემდეგი შემადგენლობით: ნ. კაზიბეგოვი (აზერბაიჯანის მელიორაციისა და წყლის მეურნეობის კომიტეტის თავჯდომარის მოადგილე), პროფესორი რ. ისმაილოვა (აზერბაიჯანის გეოლოგიისა და მინერალური რესურსების სახელმწიფო კომიტეტის მთავარი ჰიდროგეოლოგი), ა. ალეპერკოვი (აზერბაიჯანის გეოლოგიისა და მინერალური რესურსების სახელმწიფო კომიტეტის ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის სამმართველოს უფროსი), ი. წულუკიძე (საქართველოს გეოლოგიის სახელმწიფო დეპარტამენტის ჰიდროგეოლოგიის, საინჟინრო გეოლოგიისა და გეოეკოლოგიის სამმართველოს უფროსი), პროფესორი ლ. ვარაზაშვილი, პროფესორი ე. გონიაშვილი, გ. სულიკაშვილი (საქართველოს ბუნების დაცვის სამინისტროს წიაღისეული დაცვის სასამართლოს უფროსი) და ჯ. გაბეჩავა (საქ. გეოლოგიის დეპარტამენტის „ჰიდროინჟგეოს" დირექტორის მოადგილე).

აღნიშნული კომისია 1998 წლის 12 თებერვალს გავიდა ადგილზე და მისი დათვალიერებით დაადგინა შემდეგი:

- **სართიჭალის წყალშემკრები სისტემის სადამკვირვებლო ჰორიზონტალური სადრენაჟეო ჭები ავსებულია წყლით, გარდა პირველი (უკიდურესი ჩრდილოეთით მდებარე) ჭისა. ყველა სხვა დანარჩენი 14 სადამკვირვებლო ჭაში წყლის დონე მიწის ზედაპირიდან ერთი მეტრის სიღრმეზე და მდინარე იორის კალაპოტიდან 6 მეტრის ზევით. წყლის ნაკლებობა პირველ ჭაში განპირობებულია იმით, რომ იგი მდებარეობს მიწისქვეშა წყლების ფრონტალური ნაკადის პერიფერიულ ნაწილში, რომელიც ფერდობის მხრიდან მოედინება;**
- **აზერბაიჯანის მხარის მიერ, მდინარე ივრის გასწვრივ, არხისქვეშა წყლის შეგროვების მიზნით აშენებული კაპტაჟური ნაგებობა არის აბსოლუტურად მშრალი;**
- **ასევე დადგენილია, რომ სოფლის წყალსადენის ერთ-ერთ ჭაში, რომელიც წყალშემკრების ტერიტორიაზე მდებარეობს. ხელოვნურადაა დაზიანებული 540 მილიმეტრიანი ასბოცემენტის წყალსადენის მილი. საიდანაც იტბორებდა ტერიტორია და წყალი გადადის სართიჭალის წყალშემკრების ჰორიზონტალური სადრენაჟო სისტემაში**

ქართული მხარე ასკვნის:

მხედველობაში ვიღებთ რა, რომ მდინარე იორის დონეზე ბევრად მაღლა დგას ჰორიზონტალური სადრენაჟო სისტემა, აგრეთვე ფიზიკურ-ქიმიური მაჩვენებელთა განსხვავება ივრის წყალსა და სადრენაჟო სისტემების წყალს შორის (მინერალიზაცია, ტემპერატურა ქიმიური შემადგენლობა, ფერი), შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სართიჭალის წყალშემკრებ სისტემაში წყალი გროვდება მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე მიოცენ-ოლიგოცენური გრუნტებიდან. ამდენად, ამ წყალს არ შეიძლება გააჩნდეს ტრანსსასაზღვრო საწყალოსნო ობიექტების სტატუსი და არის საქართველოს საკუთრება".

წინამდებარე წერილის შედგენისას ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ მიუხედავად იმ გარემოებისა, რომ დასაბუთებულ უნდა იქნას სართიჭალის წყალშემკრებ სისტემაში მიღებული წყლის ქართული წარმომავლობა, აზერბაიჯანის მხარე მაინც განაგრძობს ამ წყლის ექსპლუატაციას, წელიწადში მოიხმარს დაახლოებით მილიონნახევარ ტონა სასმელ წყალს, რის გამოც საქართველოს ბიუჯეტი ყოველწლიურად ორ მილიარდზე ბევრად მეტ დოლარს ჰკარგავს.

ამდენად, აუცილებელია, დაინიშნოს კომპეტენტური კომისია, რომელიც დაწვრილებით შეისწავლის აღნიშნულ საკითხს და აზერბაიჯანულ მხარესთან ერთობლივი მუშაობით გადაიყვანს მას კომერციულ ჭრილში, რაც უაღრესად ხელსაყრელი იქნება საქართველოსთვის.

ᲜᲣᲑᲖᲐᲠ ᲑᲝᲒᲣᲐ
„ᲡᲐᲘᲜᲟᲒᲔᲝᲡ" ᲒᲔᲜ. ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ, ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲝ ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲘ
ᲠᲝᲚᲐᲜᲓ ᲯᲐᲚᲐᲦᲐᲜᲘᲐ
ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲘ, ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲝ ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲘ

სპორტული კუთხე მიჰყავს ჟურნალისტ გიორგი ჯალაღანიას

გიორგი დემეტრაძე – “ჩემთვის ჩემი შეწყალება ისეთივე გაურკვეველია, როგორც ჩემი დაპატიმრება”

საქართველოს საფეხბურთო ნაკრების ყოფილი თავდამსხმელი გიორგი დემეტრაძე თავს სრულიად უდანაშაულოდ მიიჩნევს და აცხადებს, რომ პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ მისი შეწყალება მისთვის გაუგებარია. და ეს მით უმეტეს მაშინ, როცა საზოგადოებაში აქტიურად დადის ხმები იმის თაობაზე, რომ დემეტრაძე სწორედ მიხეილ სააკაშვილის უშუალო მითითებით იქნა დაპატიმრებული სავსებით დაუსაბუთებელი და შეთხზული ბრალდებით.

“ჩემთვის პრეზიდენტის ეს შეწყალება ისეთივე ბუნდოვანი და გაურკვეველია, როგორც ჩემი დაპატიმრება. ვერ გავიგე, ან რას მიჭერენ, ან რას მიწყალებენ, მე არავის შეწყალება არ მჭირდება. ერთადერთი, რაც მჭირდება, სასამართლოს მიერ ჩემი გამართლებაა – მე სავსებით უდანაშულო ვარ. იმედი მაქვს, მალე საქართველოში კანონმდებლობა შეიცვლება და მომეცემა საშუალება, ჩემი სისხლის სამართლის საქმე გადაიხედოს”, – აცხადებს გიორგი დემეტრაძე.

ყოფილი ცნობილი ფეხბურთელი არ გამორიცხავს, რომ სტრასბურგის სასამართლოდან სარჩელი უკან გამოიწვიოს.

“სტრასბურგის ევროსასამართლოში ჩემი საქმის განხილვა ჯერ არ დაწყებულა. იმედია, ჩვენს ქვეყანაში მივაღწევ სამართალს და სტრასბურგი აღარ დამჭირდება”. არც ის მინდა, რომ კიდევ ერთხელ გავაშავო საქართველო საერთაშორისო საზოგადოების თვალში – განაცხადა მან.

დემეტრაძე კახი კალაძის რეგიონალური და ინფრასტრუქტურის განვითარების მინისტრის კანდიდატად წარდგენას დადებითად გამოეხმაურა. მისი თქმით, კახი კალაძის სამინისტროს წარმატებაში მალე ყველა დარწმუნდებ, რადგან იგი კარგი მენეჯერია და წარმატებით განკარგავს იმ მილიონებს, რაც სამართლიანად, მსოფლიოს ფეხბურთის მოედნებზე ოფლის ღვრით, მოიხვეჭა, რასაც ვერ იტყვის ბევრ ქართველ ჩინოვნიკზე, რომლებიც მექრთამეობითა და მამაძაღლობებით გახდნენ მილიონერები.

“კახი კალაძე წარმატებული ფეხბურთელი იყო და დარწმუნებული ვარ, ასეთივე წარმატებული იქნება ნებისმიერ საქმეში, რასაც ხელს მოკიდებს”, – აღნიშნა დემეტრაძემ.

როგორც ყოფილი ფეხბურთელი ჟურნალისტებთან საუბრისას აცხადებს, პატიმრების წამების ამსახველი კადრების გავრცელების შემდეგ პროტესტის ნიშნად ორი დღე შიმშილობდა, თუმცა მისი თქმით, მსგავსი ფიზიკური ძალადობა მის მიმართ არ ყოფილა.

“გლდანის საპყრობილეში ერთხელ კარცერში ჩამსვეს მხოლოდ იმიტომ, რომ ვიცინოდი. პატიმრები მათთვის მონებთან ასოცირდებოდნენ. ფიზიკური ზეწოლა ჩემს მიმართ არ ყოფილა”, – აღნიშნა გიორგი დემეტრაძემ.

ვლადიმერ გუცაევი “ალანიაში” ქართველებს მოამრავლებს?

ცნობილია, რომ მიმდინარე წლის ოქტომბრის დასაწყისში ჩრდილო ოსეთის რესპუბლიკის ქალაქ ვლადიკავკაზის საფეხბურთო კლუბ **“ალანიას”** პრეზიდენტმა ვალერი გაზაევმა გუნდში ვლადიმერ გუცაევი დააბრუნა. მან თბილისს **“დინამოს”** ყოფილი ვარსკვლავი რუსეთის საფეხბურთო პრემიერლიგის კლუბში სპორტული დირექტორის პოსტზე მიიწვია.

საერთოდ, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, რუსეთის გუნდები, განსაკუთრებით კი ვლადიკავკაზის **“ალანიას”** ხელმძღვანელები ყოველთვის დიდ ინტერესებს ავლენდნენ ქართველი ფეხბურთელებისა და ფეხბურთის სპეციალისტების მიმართ. ეს არც არის გასაკვირი, რადგან სწორედ ქართული ფეხბურთის სამყაროში გაიზარდნენ და დაოსტატდნენ აფხაზი და ოსი ფეხბურთელები, რომელთა შორის ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი უკავია ვლადიმერ გუცაევს. თბილისის **“დინამოს”** 1981 წელს ევროპის თასის მფლობელთა თასი ხომ სწორედ ოსმა ვლადიმერ გუცაევმა და აფხაზმა სულგანათლებულმა ვიტალი დარასელიამ მოაპოვებინეს დიდი ოსტატობით გატანილი გოლებით!

ვლადიკავკაზის **“ალანიაში”** გუცაევის მესამე დაბრუნების შემდეგ რუსული გაზეთის, **“კომსომოლსკაია პრავდას”** ჟურნალისტი გამოთქვამს ვარაუდს, რომ ვლადიკავკაზური კლუბის საკადრო პოლიტიკა ახლო მომავალში **“სამხრეთულ იერს”** მიიღებს:

ფეხბურთში მუშაობის შემდეგ, გუცაევმა თავი პოლიტიკური საქმიანობითაც გამოიჩინა და პარლამენტის დეპუტატად აირჩიეს.

აღსანიშნავია, რომ **“ალანიაში”** მეზობელი ქვეყნის კიდევ ერთი მოქალაქე თამაშობს – საქართველოს ნაკრების 26 წლის ნახევარმცველი შოთა გრიგალაშვილი, რომელმაც კლუბთან კონტრაქტი წლეულს ზაფხულში გააფორმა.

სპეციალისტები ფიქრობენ, რომ ვლადიკავკაზის საფეხბურთო კლუბ **“ალანიაში”** ვლადიმერ გუცაევის დაბრუნებას, შესაძლოა, ოსურ კლუბში რამდენიმე ქართველი ფეხბურთელის გადმოსვლა მოჰყვეს. ადრე ხომ ამ კლუბში ქართველები მრავლად თამაშობდნენ”.

საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილი მთავარი მწვრთნელი **“ალანიაში”** 1994-1995 წლებშიც მუშაობდა, როდესაც ვლადიკავკაზური კლუბი თავისი არსებობის ისტორიაში პირველად და უკანასკნელად გახდა რუსეთის ჩემპიონი – მაშინ გუცაევი გუნდის უფროსი იყო.

მერე საქართველოში დაბრუნდა და ახალგაზრდული ნაკრები ჩაიბარა, სადაც წარმატებული მუშაობა დაუფასეს და ეროვნულ ნაკრები ჩააბარეს.

გუცაევი **“ალანიაში”** მეორედ 1999-2000 წლებში დააბრუნეს – ამჯერად, მთავარი მწვრთნელის პოსტზე და მის დროს, **“ალანიაში”** ბევრი ცნობილი ქართველი მოთამაშე გადავიდა.

იუმორი

– რა მოხდა, ექიმო? ადამიანის სახე არ გადევთ!

– პაციენტი მომიკვდა.

– ახია თქვენზე! სხვა დროს წინასწარ გამოართმევთ ფულს.

* * *

კახელი ცოლთან ერთად ველურებმა დაიჭირეს, ხეზე მიაბეს და გარშემო ცეკვავენ.

– გაუპატიურება არ აგვცდება,– ამბობს ცოლი.

– არა, შეგვჭამენ!

– სულ საჭმელზე როგორ უნდა ფიქრობდე, შე უბედურო...

* * *

ახალი ამბები: შეიქმნა ონანისტების პარტია. პოლიტოლოგები ვარაუდობენ, რომ გარდაუვალია მისი ორ ფრაქციად, მემარჯვენეებად და მემარცხენეებად დაყოფა.

* * *

ტურისტი ცოლ-ქმარი “ოცნების ჭასთან” მივიდა. ჯერ ქმარმა ჩააგდო მასში ხურდა ფული და სურვილი ჩაიფიქრა. შემდეგ ცოლი გადაიხარა ფულის ჩასაგდებად, ფეხი დაუცდა და ჭაში ჩავარდა.

– ვა! რა სწრაფად ამიხდა! – გაუხარდა ქმარს.

* * *

სტუდენტი გოგონა მშობლებს გამოუტყდა:

– ფეხმძიმედ ვარ...

– მამა ვინ არის? – ეკითხება გაოგნებული მამამისი.

– იცით, გაგეცინებათ, მაგრამ სათვალე სახლში დამრჩა, ოთახში კი ძალიან ბნელოდა და, საერთოდ, უამრავი ხალხი იყო წვეულებაზე...

“ენ-ტე-ვემ” გივი თარგამაძისა და რუსი ოპოზიციონერის სერგეი უდალცოვის შეხვედრის ფარული ვიდეოჩანაწერი გაავრცელა

რუსულმა ტელეკომპანია **“ენ-ტე-ვემ”** 2008-2012 წლების მოწვევის საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის გივი თარგამაძისა და რუსეთის **“მემარცხენე ფრონტის”** ლიდერის სერგეი უდალცოვის შეხვედრის ამსახველი ფარული ვიდეოჩანაწერი გაავრცელა.

ვიდეოჩანაწერი ნაჩვენებია ფილმში – **“ანატომია 2”**, რომელიც მოსკოვში რუსეთის ოპოზიციის აქციებს ეძღვნება.

რუსული მედიის ცნობით, **“ენ-ტე-ვეს”** ეთერში გასული ვიდეოჩანაწერის მიხედვით, გივი თარგამაძესა და სერგეი უდალცოვს რუსეთში რევოლუციის ორგანიზება სურთ. მისი მიხედვით, რევოლუცია შესაძლოა, კალინინგრადში დაიწყოს, სადაც რუსეთი დამატებით ჯარებს ვერ გადაისვრის, რადგან ამის გაკეთება **ნატო**-ს წევრი ქვეყნების ტერიტორიის გავლით მოუწევს.

“ენ-ტე-ვეს” მტკიცებით, სერგეი უდალცოვი **“ქართველი კურატორებისგან ძალისმიერი აქციების ორგანიზებისთვის თვეში 35 ათას დოლარს იღებს და ეს მხოლოდ დასაწყისია”.**

ფილმის მიხედვით, საქართველოსთან ლამის მთელი ოპოზიციურად განწყობილი რუსი ჟურნალისტები და ბლოგერები არიან დაკავშირებულნი – ალექსეი ვენედიქტოვი, ევგენია ალბაცი, მიხეილ კოზირევი და რუსტამ ადაგამოვი.

ფილმის ავტორების მტკიცებით, ოპოზიციის მხარდასაჭერად და რევოლუციის მოსაწყობად ფინანსების გაღებისთვის მზად არის **“მოსკოვის ბანკის”** ყოფილი პრეზიდენტი ანდრეი ბოროდინი. **“ანატომია 2”**-ის ავტორებმა საქართველოსთან ბოროდინიც დააკავშირეს – მათი მტკიცებით, ბოროდინი მზად არის, საქართველოში საცხოვრებლად გადავიდეს, თუ ლონდონში დარჩენა არ გამოუვა.

არავის გაჰკვირვებია ის ამბავი, რომ ავანტურისტთა ჯგუფი **“თარგამაძე & K”** საკმაოდ სოლიდური თანხით ამარაგებდნენ რუსეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში შფოთის შემტანთ. არავისთვის დასამალი არ გახლავთ ის ხმებიც, რომ საქართველოში ბიტუმის შემოტანაზე მონოპოლია სწორედ გივი თარგამაძეს ჰქონდა დაწესებული, საიდანაც იგი მილიონობით მოგებას ნახულობდა.

სწორედ ნაციონალი ბობოლების მიერ მოხვეჭილი ამ შავი ფულით ცდილობდნენ საქართველოს გულ-გვამში ჩათესლილი არაკაცები ფერადი რევოლუციის იმპორტირებას საბჭოთა კავშირის ყოფილ რესპუბლიკებში, მაგრამ, საბედნიეროდ, მათ საბოლოოდ გაუვარდათ კოვზი ხელიდან. ახლა კი მხოლოდ ის დაგვრჩენია, ყველა ამ ხალხებს ბოდიში მოვუხადოთ იმ გველაძუების უღირსი საქციელის გამო, საქართველოდან რომ ცდილობდნენ შფოთისა და პოლიტიკური ავანტურების ექსპორტირებას!

მამა მიხეილი, დედა ჩიორა, შვილები ბაჩო და დათა ახალაიები, ბიძა თემურ იაკობაშვილი, ბაბუა როლანდი, ბებია რუსიკო კერვალიშვილი, დეიდები ხათუნა გოგორიშვილი, ხათუნა ოჩიაური და ეკა ხერხეულიძე, სიძეები წუგზარი და აკო, მამიდა მარიკა ვერულაშვილი, გერები გოკა გაბაშვილი და თეა თუთბერიძე, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, მეგობრები, თანამშრომლები და თანამზრახველები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ საკუთარ კეთილმოწყობილ ოფისში გარდაიცვალა

ერთიანი ნაციონალური მოძრაობა

სამოქალაქო პანაშვიდები გაიმართება კახეთის შოსეზე მდებარე ოფისში. მიცვალებული დაიკრძალება ქალაქ ლაზიკის უნიჭო შემოქმედთა და უბადრუკ საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში, სადაც უნდა მობრძანდეთ ცისფერი მაისურებით (უბედურმა ასე დაიბარა).

მესაფლავეთა დასტა

ISSN 1987-8966 “ილორი”

ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 მე-4 სართული სარეგ. №01018002930 234-32-95

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
სარედაქციო საბჭო: თემურ ქორიძე, ზურაბ ჯამბურია, თენგიზ კუბლაშვილი, კლიმენტი შელია, გივი სომხიშვილი, ანზორ შონია, დავით ქობალია, გიორგი სიჭინავა, ნუგზარ სალაყაია (გალი)
ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოდრიშვილი
გაზეთის მენეჯერი: ზურაბ ქობალია 599-34-37-27

გაზეთ “ილორის” გაცნობა შეგიძლიათ “საქინფორმის” ვებგვერდზე WWW.saqinform.ge